ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
26
იანვარი
№ 4 (2732)
გამოცემის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო



ჟამი რაი წვლილთა და ხმელთა
აღმოფშვინვათაი წარმოდგეს,
ზარი მეფოზისაი წარხდეს
და დიდებაი დაშრტეს,
შვებანი უქმ იქმნენ,
ყვავილოვნებაი დაჭნეს,
სხვამან მიიღოს სკიპტრაი,
სხვასა შეუდგენ საანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რაი-ეღოს წიგნი
დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედ-დადრეკილი
წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართალ სჯიდე,
მსახურთა რისხვაი ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

მაგრამ დავით მეფე მარტო ქართველ მწირლებსა და მეცნიერებზე ხომ არა ზრუნავდა, მარტო თავის თანამოძმეებს ხომ არ ეხმარებოდა და ამხნევებდა. საგულისხმიერო ეს არის, რომ დიდებული გვირგვინოსანის სულიერი თვისება ყოველმხრივი და ფართო ყოფილა: თვით მეფე ხომ კათილმორწმუნე და უერთგულესი მართლმადიდებელი ქრისტიანე იყო; მაგრამ მაინც მას სხვა მოძღვრებისა და სჯულის კაციც უყვარდა და პატივისცემა იცოდა. ამიტომაც იყო, რომ მაჰმადიან ისტორიკოსთა სიტყვით, იგი უცხო ეროვნების შვილებსაც თავის ზანათლებულ და ძლიერს მფარველობას არ აკლებდა; მას, ქრისტიანეს, მაჰმადიანთა პოეზიისა და მეცნიერებისადმიც უძგერდა სიყვარულით გული.

**ივანე ჯავახიშვილი**

## გვესაუბრება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი

# ჭეშმარიტება: ისტორიული და დღევანდელი

## ვალერიან ადვაძე



I

გარდაქმნის პროცესში ჩვენს ქვეყანაში და მის პარლამენტში მიმდინარეობს ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს უნიტარული სახელმწიფოს ლიკვიდაციასთან და მის ნანგრევებზე ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული და თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნასთან.

ეს ბრძოლა მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული პროცესის შემადგენელი ნაწილია. იმპერიები ყველგან დაიშალა. ქვეყნებმა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე კოლონიებს წარმოადგენდნენ, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. უფრო მეტიც, ხალხები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ ჯუნგლებში ცხოვრობდნენ და, ცხადია, არავითარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდათ, სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ეს ისტორიული პროცესი დასასრულს უახლოვდება. ჩვენ დავიგვიანეთ.

დაიწყო სხვა პროცესი — სუვერენული, თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების ინტეგრაცია. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივაც ჩამორჩა. ამის შედეგია ის, რომ ეროვნულმა საკითხმა სსრ კავშირში განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა.

სამწუხაროდ, ცენტრში არ სურთ გაიგონ ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათა შორის დაძაბულობის, კონფლიქტების ნამდვილი მიზეზები, ხშირად მას უკავშირებენ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რაც საფუძველშივე მცდარია. ამავე დროს, ნათელია, რომ, თუ არ გამოვავლენთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მიხედვით ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების ნამდვილ მიზეზებს, შეუძლებელი იქნება სწორი გზის დასახვა იქიდან გამოსასვლელად.

სამწუხაროა ისიც, რომ თვით სკკპ პლატფორმაც ეროვნული პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვანწილად ძველი სტერეოტიპების მიხედვითაა დაწერილი, კონსერვატიული აზროვნების შედეგია. ეს მაინც არ არის ის დოკუმენტი, რომელიც უნდა შექმნილიყო მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში, საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლების პროცესში. პირადად ჩემთვის ნათელია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1989 წ.) პლენუმის დადგენილება, შემდეგ კი მის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და თვით სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებაც, რომელიც მიღებულ იქნება ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, ვერ გადაჭრის ეროვნულ საკითხს ქვეყანაში და უნდა ველოდოთ ახალ სოციალურ და ეროვნულ აფეთქებებს. გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ობიექტურ რეალიებს, ქაღალდზე დარჩება, ცხოვრება კი თავისი გზით წავა.

ჩემი საერთო შეხედულება „პლატფორმაზე“ ასეთია: ცენტრისათვის ნათელი გახდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებს არ სურთ ცხოვრება ძველებურად, ხოლო ცენტრს არ შეუძლია მართოს ისინი წინანდებურად და იძულებულია რაღაც გააკეთოს — მიმართავს კოსმეტიკას, რასაც რადიკალურ გარდაქმნად ასაღებს. ნამდვილად კი აღნიშნულ დოკუმენტში რადიკალიზმის ნატამალიც არაა, ერთი ნაბიჯიც არაა გადადგმული წინ პრობლემის გადაჭრის გზაზე, იგი თავისმოტყუებაა, და ეს მაშინ, როდესაც მდგომარეობა ამ მხრივ კატასტროფულია.

პლატფორმის პროექტი მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზეც კი არ განუხილავთ. ცენტრალურ პრესაში კი განხილვა წარიმართა ძველი სტერეოტიპებით, მოწონებულ იქნა „სავსებით და მთლიანად“. ბევრგან იცავდნენ და ასაბუთებდნენ კიდეც ჩვენი სახელმწიფოს უნიტარულობას, ფედერაციის მიერ გამოცემული კანონების უზენაესობას მისი სუბიექტების მიერ გამოცემული კანონების მიმართ. „ვფიქრობთ, აუცილებელი არ არის ვაჩვენოთ, რომ ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საკავშირო კანონის უზენაესობა. ამის გარეშე ერთიანი სახელმწიფოს არსებობა უაზრობაა“ („პრავდა“, 19 აგვისტო, 1989 წ.).

სტატიაში: „საჭიროა კანონი ფედერაციის შესახებ („პრავდა“ 20 აგვისტო, 1989 წ.) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მ. მარჩენკო წერდა, რომ ფედერალური კანონების პრიორიტეტის პრინციპი ფედერაციის სუბიექტების მიმართ საყოველთაოდ მიღებული პრინციპია, როგორც სოციალისტურ, ისე არასოციალისტურ ფედერაციაში, როგორრადაც არ უნდა იწოდებოდნენ მისი სუბიექტები: მოკავშირე რესპუბლიკებად, შტატებად, მხარეებად, კანტონებად თუ სხვ.

როგორ უნდა დავიჯერო, რომ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. მარჩენკომ არ იცის განსხვავება სსრ კავშირში შემავალი სუვერენულ ეროვნული სახელმწიფოებს — მოკავშირე რესპუბლიკებსა, ერთი მხრივ. და ყოველნაირ შტატებსა, მხარეებსა, კანტონებსა და ოლქებს შორის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის, მეორე მხრივ. მაშ, რაში მდგომარეობს სსრ კავშირის უნიკალურობა, რის შესახებაც საქვეყნოდ გაჰკივიან ცენტრში?

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ და მეორე ყრილობაზე და მათ შორის უმაღლესი საბჭოს სესიებზეც, გონების თვალს რომ გადავავლებ, დეპუტატთა გამოსვლებში აშკარად ვამჩნევ ორ ხაზს. ერთია ცენტრისტების, უნიტარული სახელმწიფოს დამცველთა პოზიცია, რომელიც გამსჭვალულია ფედერაციის დაშლის შიშით და ყოველნაირად მოითხოვს მის განმტკიცებას, უტევს რესპუბლიკებს, უნდა ერთი კანონის მიღება ყველასათვის, ერთნაირი მასშტაბის მიყენება ყველას მიმართ, მაღლა აყენებს „დერჟავას“ ინტერესებს. მეორე ხაზია მოკავშირე რესპუბლიკების დეპუტატთა უმრავლესობის გამოსვლები, რომლებშიც ლაპარაკია მათი ხალხების ისტორიულ, ეროვნულ, გეოგრაფიულ, კულტურულ თავისებურებებზე და იმაზე, რომ არ შეიძლება ერთიანი საზომებით მიდგომა ყველას მიმართ.

II

თუ არ ვაღიარებთ ისტორიულ ჭეშმარიტებას, ვერ შევძლებთ დღევანდელი პრობლემების გადაჭრას, ყალბ საფუძველზე ვერ ავაგებთ მტკიცე შენობას. ისტორიული ჭეშმარიტება კი ის არის, რომ საბჭოთა ფედერაციის შექმნა არ ყოფილა ხალხთა თავისუფალი ნება-სურვილის გამოვლინების შედეგი. 1921 წელს ოკუპირებული, მანამდე თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო არ შეიძლებოდა 1922 წელს ნებაყოფლობით შესულიყო სსრ კავშირის შემადგენლობაში. იგივე შეიძლება ითქვას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე; 1922 წლის ხელშეკრულებაზე მათი ხელმოწერები საერთოდ არაა. იმის მტკიცება, რომ, მიუხედავად ამისა, მათ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ამ ხელშეკრულების მიმართ და რომ მათი შესვლა კავშირში 1940 წ. გამოხატავდა ხალხების ნება-სურვილს, მისწრაფებას — ეს არა მარტო ისტორიული ჭეშმარიტების დამალვაა, არამედ აშკარა თვალთმაქცობაც.

შემდეგ, მიღწეულ იქნა თუ არა ის მიზნები, რომლებიც დაისვა საბჭოთა ფედერაციის წინაშე მისი შექმნისას? ნაწილობრივ კი, ეკონომიკური და კულტურული პროგრესი 1922 წელთან შედარებით ყველა რესპუბლიკაში არის. მაგრამ არის სხვა შედარებაც: განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, მოკავშირე რესპუბლიკების მეზობელი მცირე კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებშიც წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების, აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების დონე განუზომლად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან. ამასთან არავითარი იმედი არ არსებობს, რომ მათ ოდესმე დავეწევით.

იბადება მეორე კითხვაც: რა ფასად იქნა მიღწეული ის წარმატება, რაც 1922 წელთან შედარებით გვაქვს? რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაკარგვით, მასობრივი რეპრესიებითა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა გაჟლეტვით, საზოგადოების ზნეობრივი გადაგვარებით, ბუნების განადგურებით და ა. შ.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების უკიდურესი გამწვავება, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რასაც მთლიანად ქვეყანა განიცდის, ასევე სახელმწიფოს უნიტარულობის, საბჭოთა ფედერაციის შედეგია.ასე რომ, საბჭოთა ფედერაციის ქება არ ღირს.

მთლიანად უნდა დავეთანხმოთ პლატფორმის დებულებას, რომ „ჩვენი ფედერაციის სიმტკიცის საწინდარია ერთ საკავშირო სახელმწიფოში საბჭოთა რესპუბლიკების სრული ნებაყოფლობითი გაერთიანება“. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ეს „სრული ნებაყოფლობითობა“ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო 1922 წელს და 1940 წელს. ფიქრობს კი ცენტრი, რომ ახლა მაინც მოახდინოს ეს გაერთიანება სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, დადოს ახალი ხელშეკრულება? არა და არა! 1922 წლის ხელშეკრულება ღიაა და თავისი იურიდიული ძალა ახლაც აქვსო. არავითარი ახალი ხელშეკრულება (თუმცა ძველზე არაა რიგი რესპუბლიკების ხელმოწერა). შიშობენ, რომ ზოგიერთმა შეიძლება აღარ მოაწეროს ხელი? მაშ სადღაა „სრული ნებაყოფლობითობა“?

მაგრამ 1922 წლის ხელშეკრულება ნებაყოფლობითი და უნიკალურიც რომ ყოფილიყო იმ დროისათვის, ნუთუ მას შემდეგ, თითქმის 70 წლის მანძილზე, ისეთი არაფერი მოხდა ყოველსაათს ცვალებად სამყაროში, ჩვენს ქვეყანაში, რაც მოითხოვს აღნიშნული ხელშეკრულების განახლებას? ნუთუ იგი მარადიულია? იცნობს კი კაცობრიობის ისტორია მარადიულ ხელშეკრულებებს?

ლაპარაკობენ ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის აღდგენაზე, ასე განსაჯეთ, მისი სრული მნიშვნელობითაც კი. მაგრამ რაში უნდა გამოიხატოს ეს,ამაზე პასუხი არაა. გამოთქმები კი: „გარდავქმნათ საბჭოთა ფედერაცია, შევავსოთ იგი რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით“, გაისმის ცარიელ ფრაზად, ლოზუნგად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1989 წ.) პლენუმის შემდეგ ხშირად გვესმის ქვეყნის ხელმძღვანელებისაგან: „მოდით, ვიცხოვროთ ნამდვილ საბჭოთა ფედერაციაში, ჩვენ ხომ ჯერ არ გვიცხოვრია მასში“. მაგრამ გარდაქმნის 5 წლის მანძილზე ფედერაციაში რეალურად არაფერი შეცვლილა, სსრ კავშირი ისეთივე უნიტარულ სახელმწიფოდ რჩება, როგორიც იყო გარდაქმნამდე, ხოლო რა არის ეს „ნამდვილი საბჭოთა ფედერაცია“, კაცმა არ იცის.

III

ცენტრს რომ არ უნდა რეალური გარდაქმნა ფედერაციაში, ეს ჩანს ცენტრალური პრესიდან, რომელიც თავისებურად ემზადებოდა ეროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის. მან ნამდვილი ბრძოლა გააჩაღა იმათ წინააღმდეგ, ვინც ესწრაფვოდა მეტი დამოუკიდებლობისაკენ. სიტყვა „კონფედერაციის“ ხსენებაც კი (ზედმეტია ლაპარაკი კავშირიდან გასვლის სსრ კავშირის კონსტიტუციური უფლების ხსენებაზე) საშინელ გაბოროტებას იწვევდა და მას ნათლავდნენ ნაციონალიზმად, ნაციონალურ ექსტრემიზმად, ეგოიზმად, სეპარატიზმად, იზოლაციონიზმად, მისწრაფებად განკერძოებისაკენ, ავტარკიისაკენ, რეგიონალური კარჩაკეტილობისაკენ, პირადი ბედნიერებისაკენ, ეროვნული მარტოობისაკენ და სხვ.

იმათ, ვინც თავისი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესების შესახებ ლაპარაკობდა, აწებებდნენ ნაციონალისტების და კარიერისტების იარლიყებს, რადგან ისინი თითქოს „ამზადებდნენ წვნიანს თავიანთი უაღრესად ანგარებიანი ან კარიერისტული ინტერესებისათვის“ („პრავდა“ 7 ივლისი, 1989 წ.), ზოგი შეიარაღდა დიადი იარაღით — ადამიანის უფლებებით და ლაპარაკობდა მოქალაქეთა ღირსებისა და სიცოცხლის დაცვაზე. „ადამიანის უფლება არ უნდა შეილახოს. კანონსაწინააღმდეგოა მას დაუპირისპიროთ სახელმწიფოს უფლება, ხალხის უფლება, ნებისმიერი საზოგადოების თუ წარმონაქმნის უფლება. გამართლებულია ყოველგვარი უფლებამოსილების გამოყენება მხოლოდ ადამიანის ინტერესებისათვის. ესაა საფუძველთა საფუძველი. („პრავდა“ 14.VIII.89 წ.).

მაგრამ როგორ შეიძლება დავიცვათ ადამიანის ღირსება და სიცოცხლე, თუ არ დავიცავით ერის ღირსება და სიცოცხლე? ვინ დგას უფრო მაღლა, ადამიანი თუ ერი? მაგრამ უკვე საკითხის ასეთი დაყენება ცხადდებოდა კანონსაწინააღმდეგოდ.

ერის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი უფლებაა თვითგამორკვევის უფლება, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფამდე. მაგრამ ამ კონსტიტუციით ნებადართული უფლების მოთხოვნასაც (არა თუ რეალურ განხორციელებას) ტანკებით, ალესილი ბარებით და ქიმიური იარაღით შეხვდნენ.

ერის უმნიშვნელოვანესი უფლებაა, იყოს უმრავლესობა მის ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ბრძოლით იცავდა უცხოელ დამპყრობთაგან და მისი სისხლითაა მორწყული. ფედერაციული კავშირის დამცველებს სრულიადაც არ აღელვებთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში მკვიდრი მოსახლეობა უკვე აღარ არის უმრავლესობა, ხოლო სხვებს ანალოგიური პერსპექტივა ემუქრება. რატომ არ ტეხენ ისინი განგაშს ამის შესახებ? თუ ერების ბრძოლას იმისთვის, რომ იყვნენ უმრავლესობა თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში, უწოდებენ „ნაციონალურ ექსტრემიზმს“, მაშ რა ვუწოდოთ ერის ტერიტორიაზე სხვა ხალხების ინტენსიურ ჩასახლებას, რაც მკვიდრ ერს იქ უმცირესობად აქცევს? — „ინტერნაციონალური ექსტრემიზმი“!

ერთადერთი მასალა, რომელიც შეიძლება ნორმალურ ნააზრევად ჩაითვალოს და გაზეთმა „პრავდამ“ დაბეჭდა გასული წლის 2 სექტემბერს, თანაც, პირველ გვერდზე, შემდეგია (საჭიროდ ჩავთვალე რუსულად მოვიყვანო):

**СТРОКИ ИЗ ПИСЕМ**

**Деревни и земли России пустуют, тогда как русских людей, занесло то в Казахстан, то в Киргизию, а то в Прибалтику. Не они ли, эти русские, больше всех трубят о родине, о преданности земле. А сами побросали родные места и скитаются по союзным республикам. Родина там, где ты родился. Мне кажется, нужно подать клич, чтобы русские вернулись в свои родные места возрождать заброшенную родину.**

**М. СЕРДЮКОВ,**

г. Ковров

Владимирская область.

მაგრამ იგივე „პრავდა“ წერდა, რომ ლაპარაკი ერის პრიორიტეტზე არის „ბიკფორდის შნური, რომელიც აღვივებს ველურ ვნებებს, აშკარა ხულიგნობას და ბანდიტიზმს“ (7 ივლისი, 1989 წ.), ამ სიტყვების ნაკრები ერთ რამედ ღირს! მართლაც, ასე ეწერა ქვეყნის № 1 გაზეთის ფურცლებზე, ესაა ველურობა, ხულიგნობა და ბანდიტიზმი.

თვით შექმნეს რა რუსეთის „მტრის“ სახე, იმავე სტატიაში ავტორები წერენ: „არ ვფიქრობთ, რომ მათ საამებლად რუსეთმა უარი უნდა თქვას თავის ისტორიულ დანიშნულებაზე — ერთობ დიდია მისი პასუხისმგებლობა ჩვენი სახელმწიფოს ხალხების მიმართ“. რით არ არის ეს ტიპიური მაგალითი დიდმპყრობელური ფსიქოლოგიისა და იმპერიული ამბიციების მქონე ადამიანებისა?

ამ „ისტორიულმა დანიშნულებამ“ ქართველი ხალხის მიმართ ხომ არ მიიყვანა რუსეთი თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკის — საქართველოს ანექსიასთან 1921 წელს და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოკუპაციასთან 1939 წელს,ახალგაზრდების დახვრეტასთან 1956 წლის მარტში და ქალებისა და გოგონების ულეტვასთან 1989 წლის 9 აპრილს თბილისში?

იგივე „ისტორიულმა დანიშნულებამ“ სოციალისტური ქვეყნების ხალხების მიმართ ხომ არ მიიყვანა რუსეთი სახალხო აჯანყების ჩახშობასთან უნგრეთში 1956 წელს და ჩეხოსლოვაკიაში — 1968 წელს, რაც დაგმობილ იქნა ცივილიზებული მსოფლიოს მიერ. რომელმა „ისტორიულმა დანიშნულებამ“ მიიყვანა რუსეთი ავღანეთში 1979 წელს? ამ სამარცხვინო ფურცლებს რუსეთის ისტორიიდან ველარავინ ვერ ამოხევს.

მაინც ვინ დაუსახა ასეთი „ისტორიული მისია“ რუსეთს, ვინ დააკისრა მას „პასუხისმგებლობა“ ჩვენი ქვეყნის ხალხების წინაშე? თუ თვით აიღო მან თავის თავზე ეს პასუხისმგებლობა, რომ თვითნებურად განაგოს სხვა ხალხების ბედი?

თუ თვით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დააკისრეს რუსეთს ეს პასუხისმგებლობა, მაშინ როგორ ხდება, რომ რომელიმე მათგანის სურვილს „გაათავისუფლოს“ რუსეთი ამ „დიადი პასუხისმგებლობისაგან“. თან ხდევს ასეთი შანტაჟი: „...გასვლის შედეგი (იგულისხმება კავშირიდან გასვლა რომელიმე რესპუბლიკისა) შეიძლება იყოს მხოლოდ შემზარავი დამანგრეველი ძალის სოციალური კატაკლიზმები“.

საკითხავია: რატომ, როგორ და ვის მიერ იქნება გამოწვეული მსოფლიო წარღვნა, „შემზარავი დამანგრეველი ძალის სოციალური კატაკლიზმები“ სსრ კავშირის შემადგენლობიდან ლიტვის ან საქა-

რთველოს გასვლით? და უნდა ეწეოდეს კი ქვეყნის № 1 გაზეთი „შანტაჟს?"

უფრო გულახდილია ვ. სოკოლოვი „ლიტერატურნაია გაზეტაში". იგი წერს: „...ჩვენში გამოყოფის იდეა დუღს... ამ დამანგრეველი იდეის საპირწონედ გამოიყურება რსფსრ გიგანტური მონოლითი, რომელიც თვით არ შედრკება და ცხელი თავების გაგრილებასაც შესძლებს". იგი მოუწოდებს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან ამოაგდონ „უაზრო... ფორმულა" „სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების" შესახებ (იხ. „ლიტერატურნაია გაზეტა" 2 აგვისტო, 1989 წ.). ნათელია, რომ თვით ვ. სოკოლოვის ცხელი თავი საჭიროებს გაგრილებას.

IV

საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფონზე, რუსეთმაც გამოიღვიძა და დაიწყო ბრძოლა საკუთარი სუვერენიტეტისათვის. შეიქმნა რუსეთის სახალხო ფრონტი. და ეს ძალიან კარგია, მისასალმებელია. მხოლოდ იმ ერს, რომელმაც იცის თავისი ეროვნული ღირსება, შეუძლია პატივისცემით მოეკიდოს სხვა ერის ეროვნულ ღირსებას. მაგრამ ბევრი მათი წარმომადგენლის გამოსვლა აგრესიულ და შოვინისტურ ხასიათს ატარებს. ამის მაგალითია რუსეთის მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთის „ლიტერატურნაია როსსია" გასული წლის 50-ე ნომერში მოთავსებული ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვიქტორ ჩეპურენკოს სტატია: „დროა, ბოლოს და ბოლოს, რუსეთმაც აიღოს სიტყვა".

ავტორი სტატიის დასაწყისშივე ცრუობს. იგი წერს, რომ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის ტრიბუნაზე ათეულობით ადიოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებიო. მათ აქტიურობით არ ჩამოუვარდებოდნენ მოლდავეთის, საქართველოს, სომხეთის დეპუტატებიო. ჩვენ ხელახლა ჩავიხედეთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის სტენოგრამაში. ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკიდან იყო 10 გამოსვლა. მათგან ერთი — ინტერფრონტელის. ასე რომ, ათეულობით გამოსვლა არ ყოფილა.

კიდევ უფრო შორსაა ჭეშმარიტებისაგან ვ. ჩეპურენკოს მიერ იმის მტკიცება, რომ უმრავლესობის გამოსვლებში იყო საკითხი აღნიშნული რესპუბლიკების არასახიეთო ეკონომიკური მდგომარეობის გამო რუსეთის, როგორც მთავარი დამნაშავის, შესახებ. ცენტრის კრიტიკა ნამდვილად იყო, რუსეთისა — არა. მაგრამ ვითარების მთელი ტრაგიზმი იმაშია, რომ თვით რუსი დეპუტატები (ნაწილი მაინც) აიგივებენ ცენტრის მმართველობას რუსულ მმართველობასთან და ცენტრის კრიტიკა რუსეთის კრიტიკად, ანტირუსულ გამოსვლად მიაჩნიათ, ამიტომ მტკივნეულად განიცდიან. მაგრამ ვისი ბრალია ეს? რუსეთის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან ერთ-ერთია, „თანასწორთა შორის თანასწორი", რუსი მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარია. მაგრამ საკავშირო მთავრობაში მინისტრებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების 90 პროცენტამდე რუსები არიან. ფაქტიურად, რუსები მართავენ ქვეყანას და როგორ მართავენ, ამას ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიო უყურებს.

ვ. ჩეპურენკო, რათა გაალიზიანოს რუსი მოსახლეობა და გააღვივოს მათში შოვინისტური, „ველიკორუსული" გრძნობები, მკაცრად საყვედურობს რუს დეპუტატებს, მათ შორის, ეკონომისტებს, რატომ I ყრილობის, შემდეგ კი, უმაღლესი საბჭოს სესიების მაღალი ტრიბუნიდან არ აჩვენეთ რუსეთის მშრომელებზე მათი თავდასხმის მთელი აბსურდულობაო, რატომ არ იცავთ რუსეთის ხალხებს გაქნილი ფალსიფიკატორების აღვირახსნილი თავდასხმებისაგანო.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობების, ისევე, როგორც უმაღლესი საბჭოს სესიების სხდომები, არ გამიცდენია. გადაჭრით შემიძლია ვამტკიცო, რომ რუს ხალხზე, რუსეთის ხალხებზე, რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის დეპუტატის თავდასხმა მე არ მომისმენია. ასე რომ, ვ. ჩეპურენკოს ეს მტკიცებაც თავიდან ბოლომდე მოუქნელი ფალსიფიკაციაა.

შემდეგ ავტორს მოჰყავს სსრ კავშირის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის მიერ დაანგარიშებული 1987 წლის დარგთაშორისი ბალანსის მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ ქვეყნის შიგნით, მოქმედი ფასებით, შვიდ რესპუბლიკას უფრო მეტი გააქვს პროდუქცია სხვა რესპუბლიკებში, ვიდრე შეაქვს სხვა რესპუბლიკებიდან. მათ შორისაა საქართველო. ხოლო მსოფლიო ბაზრის ფასების მიხედვით კი რესპუბლიკათა შორის გაცვლაში აქტიური სალდო მხოლოდ რუსეთის ფედერაციას და აზერბაიჯანის სსრ ჰქონიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ჩეპურენკო აკეთებს დასკვნას, რომ სხვა რესპუბლიკებში არაეკვივალენტურად ითვისებენ რუსეთის მშრომელების მიერ შექმნილი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს — 38,5 მილიარდი მანეთის ოდენობით და რუს მეცნიერებს კვლავ რიტორიკულ კითხვას აძლევს: მათ არ იცოდნენ ასეთი არაეკვივალენტური გაცვლის შესახებ რუსეთის საზარალოდ? თუ იცოდნენ, რატომ დუმდნენ? მათ რომ ეს ხმამაღლა ეთქვათ, მაშინ ხომ დაუკლებდნენ თავიანთი სიტყვების მგზნებარებას ბალტიისპირელი დეპუტატებიო.

ავტორი გულზე ხელისცემით აცხადებს: ოხ, როგორ სჭირდება რუსეთს ეს 38,5 მილიარდი მანეთი, მხოლოდ ერთ წელიწადს იგი შეძლებდა გადაეჭრა საგზაო პრობლემა, აეგო 40 ათასი კმ. მეტი პირველი კლასის საავტომობილო გზები, რითაც თითოეულ სოფელთან, კოლმეურნეობასთან და საბჭოთა მეურნეობასთან, თავისუფლად შეიძლებოდა მისვლაო და სხვა.

მე არ ვაპირებ, სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაკეთებული გაანგარიშებების გადამოწმებას, არა მარტო იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია ერთი კაცისათვის, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ არ ვთვლი ამას საჭიროდ. მხოლოდ პროდუქციის გატანა-შეტანა, მათი თანაფარდობა ქვეყნის შიგნით, რესპუბლიკებს შორის, ბევრს არაფერს ლაპარაკობს. არის სხვა არხები, რომლებითაც მოკავშირე რესპუბლიკებიდან გადაიქაჩება სახსრები ცენტრალურ ბიუჯეტში.

ვ. ჩეპურენკო ამტკიცებს, რომ როგორც სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონიდან ჩანს, ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტს გამოეყოფა სუბვენციები საკავშირო ბიუჯეტიდან, ესე იგი, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდანო. ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ: სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე უზბეკეთის სსრ წარმომადგენლის ტ. ამანოვის გამოსვლიდან. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ვორონინის პასუხად, რომელმაც განაცხადა, საკავშირო ბიუჯეტიდან უზბეკეთს სამ მილიარდ მანეთზე მეტი დოტაცია ეძლევაო, ტ. ამანოვმა თქვა: ჩვენ, უზბეკებს, ძალიან გული გვტკივა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო არ გაერკვა და თქვა, თითქოს, უზბეკეთი დოტაციაზე ცხოვრობსო. ბამბის ბოჭკოს 2/3-ს ქვეყანაში უზბეკეთი იძლევა, ჩვენ 11 მილიარდ მანეთს ვაძლევთ ხაზინას, თანაც ეს უბრალო მანეთები კი არაა, არამედ ოქროს მანეთებიაო.

ერთი ცხადია, ქვეყნის ფინანსური, საგადასახადო და ფასების სისტემა ისეა აღრეული და გაუკუღმართებული, რომ, დღესდღეობით ძნელია დაადგინო, ვინ ვის „არჩენს".

რაკი ანგარიშების წარდგენაზე დადგა საქმე, იძულებული ვართ, ვკითხოთ ვ. ჩეპურენკოს და „ლიტერატურნაია როსსიას" რედაქციას: იყო კი საჭირო შეტევითი დოქტრინა და ის უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რასაც ჩვენი ქვეყანა ეწეოდა ათეული წლების მანძილზე? ვინ იყვნენ იმ დოქტრინის შემოქმედნი? (ყოველ შემთხვევაში, არა ბალტიისპირელები, არა ქართველები, არა სომხები და სხვ.). ან ახლა კი სჭირდება ქვეყნის თავდაცვას იმდენი სამხედრო ხარჯები, რასაც გავიღებთ თავდაცვითი დოქტრინის პირობებში? ვინ განსაზღვრავს ამ ხარჯების მოცულობას? (დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტშიც ისე შექმნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავდაცვის და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომ მის 40-კაციან შემადგენლობაში არ არიან 8 რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს დეპუტატები, რუსეთიდან კი 27 დეპუტატია). რამდენი მილიარდი დაუჯდა (და უჯდება) ქვეყანას დახმარება განვითარებადი ქვეყნებისადმი მათი „სოციალისტური ორიენტაციის" შესანარჩუნებლად? რა დაჯდა (და კვლავ ჯდება) ავღანეთი? შეეკითხნენ კი მოკავშირე რესპუბლიკებს, როცა ამ დახმარებას გასცემდნენ, ან როცა ჯარები შეჰყავდათ ავღანეთში? თუ ასე მძიმეა რუსეთის ფედერაციისათვის დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების „რჩენა", რატომ იყვნენ წინააღმდეგნი ცენტრი და სწორედ რუსეთის დეპუტატების უდიდესი ნაწილი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გადასვლისა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე? და რატომ არ მოიშორებს რუსეთი მათ საერთოდ? გაუშვას, მისცეს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ისინი ხომ მაინც რუსეთთან მივლენ ნედლეულის და სათბობის შესაძენად და მიყიდოს მსოფლიო ბაზრის ფასებში. ეს ხომ ხელსაყრელი იქნება თვით რუსეთისათვის. ნუთუ იმპერიული ამბიციები ღირს იმად, რომ 38,5 მილიარდი მანეთი იხადო ყოველწლიურად? რამდენი მილიარდი ღირს ის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც ცენტრმა წაართვა საქართველოს, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს? შეიძლება კი საერთოდ, ერის დამოუკიდებლობა გაიზომოს მილიარდ მანეთებში? რამდენი მილიარდი მანეთის ზიანი მიაყენა რუსულმა მმართველობამ აღნიშნული რესპუბლიკების ეკონომიკას, ეკოლოგიას, დემოგრაფიას, ზნეობას? შეიძლება კი ყველაფერი ამის აღრიცხვა მანეთებში?

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა, როგორც პირველ, ისე მეორე ყრილობაზე, ასევე ყრილობებს შუა უმაღლესი საბჭოს სესიებზე რიგი დეპუტატების გამოსვლებში გამოსჭვიოდა სსრ კავშირის დაშლის შიში და გაისმოდა მოწოდებები უნიტარული სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ, ყველაფერი ეს — ცენტრალური პრესის საქმიანობაც, დეპუტატების მოწოდებებიც — თითქოს მიმართულია კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. მაგრამ მათ ეს განმტკიცება ესმით უნიტარული სახელმწიფოს გაძლიერებად, რაც დღეს შეუძლებელია, უაზრობაა და ამიტომ მას ფაქტიურად დაშლისკენ მივყავართ, რადგან ხალხებს აღარ სურთ უნიტარულ სახელმწიფოში ცხოვრება, ძალით კი შეუძლებელია მათი გაჩერება.

მართლაც, საბჭოთა კავშირს ბედი საფრთხეშია. იგი დაშლის წინაშეა. მაგრამ ეს საფრთხე იმათგან კი არ მომდინარეობს, ვინც მოითხოვს მოკავშირე რესპუბლიკების კავშირიდან გასვლას, არამედ იმათგან, ვინც ცენტრში ზის და არ ესმის და არც სურს გაიგოს, თუ რატომ გაისმის კავშირიდან გასვლის მოთხოვნები სულ უფრო ხმამაღლა.

ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ახალ ფაზაში შევიდა. ცენტრის ამოცანა უნდა გახდეს ის, რომ ხალხები კვლავ ტყვეობაში კი არ იყოლიოს, სულერთია, იგი ამას დიდი ხნით ვეღარ შესძლებს, არამედ აღმოჩნდეს ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე, გაიგოს ხალხების სურვილი და იმოქმედოს მის შესაბამისად.

ვიდრე ცენტრი არ შეიგნებს და არ აღიარებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებს აქვთ დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის სრული უფლება, ეროვნული საკითხი ქვეყანაში ვერ გადაიჭრება. ცენტრი არ უნდა გულისხმობდეს, რომ მან უკეთ იცის ხალხების ძირეული ინტერესები, ვიდრე თვით ამ ხალხებმა. მტკიცებით, რომ უნიტარულ სახელმწიფოში ცხოვრება უკეთესია, ვიდრე დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ ყოფნა, და რომ კავშირიდან გასვლა კატასტროფაა, ვერავის დააჯერებს.

თავიანთი სუვერენიტეტისათვის ხალხების ბრძოლის წინააღმდეგ გამოსვლით, პარტია კარგავს ავტორიტეტს, როგორც ამ ხალხების თვალში, ისე მსოფლიოში. თუ კავშირის შენარჩუნებაა საჭირო, მაშინ, მართლაც აუცილებელია მისი რადიკალური გარდაქმნა. ეს კავშირი, დღევანდელ ვითარებაში შეიძლება იყოს, მხოლოდ ჭეშმარიტად სუვერენული, ჭეშმარიტად თავისუფალი, ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების ნამდვილად ნებაყოფლობითი კავშირი (გამოსვლის უფლებით), ერთა თანამეგობრობა. მხოლოდ ასეთი კავშირი შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისით, ხელსაყრელი მისი ყველა მონაწილისათვის და თითოეული მოსურნე იქნება გაერთიანდეს მასში. კაცობრიობისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

1990 წლის 29 იანვარს, მწერალთა სასახლეში გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის სახალხო ფრონტის საერთო კრება.

დასაწყისი 15 საათზე.

## როდემდე ვითმინოთ?

ამ რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ სტატიაზე მუშაობისას დამჭირდა სხვადასხვა სახის პოლიტიკური ლიტერატურით სარგებლობა, მათ შორის იყო საკავშირო პროფსაბჭოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი „Социалистическое соревнование», №6, 1989 წ. მისი გადათვალიერებისას ჩემი ყურადღება მიიპყრო 52-ე გვერდზე გამოქვეყნებულმა სტატიამ: «Кто ты, подпольный миллионер?».

სტატიას ხელს აწერენ ც. კარიაგინა, ი. კოზლოვი და კ. პანკრატოვი. ავტორები ფსევდომეცნიერული ანალიზით ცდილობენ გვიჩვენონ, თუ როგორ იქმნებოდა ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკა და ყალიბდებოდნენ არალეგალური საბჭოთა მილიონერები. ამ ნეგატიური პროცესის თეორიული დასაბუთებისათვის „ნაშრომის" ავტორებს მოჰყავთ შემდეგი თეზისი: «В 30-е годы пущенная в оборот версия о якобы отрицательном балансе рождаемости в Грузии -- родине «Отца народов» и «Гениального вождя и учителя» позволила протащить законы для этой республики о налоговых льготах и о значительном повышении закупочных цен на чай, цитрусовые, тунговое масло и др. В Грузию хлынул поток денег, который быстро самоорганизовался по подпольным каналам перераспределения. Первый количественно заметный «корпус» подпольных миллионеров начал формироваться именно в этой республике. Затем такие же приемы и методы проявились в Краснодарском крае и республиках Средней Азии. Прибалтика обратила на себя внимание в этом плане после войны. Ростовская, Волгоградская области, Северный Кавказ — еще позже, Сибирь, Урал, Дальний Восток и сейчас почти не имеют подпольных миллионеров, как заметного социального явления, хотя отдельные факты, разумеется, есть!».

წარმოუდგენელია, აღშფოთების გარეშე წაიკითხო აღნიშნული „ნაშრომი", დახეთ, თურმე სად ყოფილა ბოროტების სათავე, ნუთუ ჩვენი იურისტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები და ა. შ. მშვიდად ადევნებენ თვალს ჩვენი ერისათვის ესოდენ დამამცირებელ აღვირახსნილ კამპანიას. რატომ ვაძლევთ ამ ვაი-მეცნიერებს მთელი ერის შეურაცხყოფის უფლებას. როდემდის შეიძლება ვითმინოთ ქართველი ხალხის ასეთი დაუფარავი ლანძღვა-გინება?!

**ვიქტორ იაშვილი,**
აკად. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მედ. მეც. კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **მუხრან მაჭავარიანს**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს **ალბერტ თავხელიძეს:**

საქართველოს საზოგადოებრიობის მოთხოვნა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, მოვითხოვთ მწერალთა კავშირის წევრის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნაფი ჯუსოითის გარიცხვას მწერალთა კავშირიდან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან. მოვითხოვთ მის დეპუტატობიდან გაწვევას, რადგან ეს პიროვნება აღვივებს ეროვნულ შუღლს და არის ოსი ექსტრემისტების, „ადამონ ნიხასის" სულიერი მამა.

მოთხოვნას ხელს აწერს საქართველოს სხვადასხვა რაიონის 362 მცხოვრები.

## გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების „საქენერგოს" პირველადი ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს სახალხო ფრონტის თბილისის სართავი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციის და შრომითი კოლექტივის მიმართვას:

1. მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც განიხილავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხს;

2. აიკრძალოს და გამოცხადდეს კანონგარეშედ ყველა ისეთი ჯგუფი და ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობაც ძირს უთხრის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აღვივებს ერთა შორის შუღლს და შეურაცხყოფს სახელმწიფო ენას;

3. წინამდებარე მოთხოვნის მე-2 პუნქტში მითითებული ორგანიზაციების ლიდერების ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა შეფასდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების ხელყოფად და ეს ლიდერები გაძევებულ იქნენ საქართველოს სსრ ტერიტორიიდან.

**წერილს ხელს აწერს 811 კაცი.**

●

თქვენი გაზეთის 19 იანვრის ნომერში მოხსენებული ვარ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრად; მე არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არა ვარ. გთხოვთ ეს გასწორება დაბეჭდოთ გაზეთის მორიგ ნომერში.

პატივისცემით **რუსლან მიქაბერიძე.**

# დავით აღმაშენებელი და ამიერკავკასია

## პავლე თოფურია

ნანა სამარგულიანის და 9 აპრილის სხვა მოწამეთა ნათელ ხსოვნას

დავით აღმაშენებლის მეფობამ მთელი ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში. მნიშვნელოვანი იყო მისი საგარეო პოლიტიკის შედეგი მთლიანად ამიერკავკასიაშიც.

ჭაბუკი მეფის ტახტზე ასვლის დროს ამიერკავკასიაში რთული მდგომარეობა იყო. ამ დროისათვის უკვე დასრულდა ალბანთა სახელმწიფოს გაქრობა. ხოლო იგი, საქართველოსა და სომხეთთან ერთად, კარგი საწინდარი იყო, კავკასიის ცივილიზაციის შემდგომი შექმნისა. არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საზოგადოებრივ განვითარებაში დაწყებულმა ცვლილებებმა, ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების უღელტეხილზე შეაყენა. ეს პროცესი თურქებმა დაასრულეს...

შუა აზიიდან დაძრულმა მომთაბარე თურქ-ოღუზთა ურდოებმა XI ს-ში თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთი დაიპყრეს. მათ დაიმორჩილეს ამიერკავკასიაც; მათი მახვილი საქართველოსაც მძლავრად მოსწვდა: „გამრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა“ — გადმოგვცემს მემატიანე.

თუ რას წარმოადგენდა ეს ახალი ძალა და რა მოჰქონდა მათ ბატონობას, კერძოდ საქართველოში, კარგად ჩანს ქართული მატიანეთაგანაც. როდესაც თურქთა ურდოები ურიცხვი ჯოგებით „ჩამოდგიან... ტფილისითაგან ვიდრე ბარდავადმდე... და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა და... იზარებდიან“, ამის შედეგად „მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა“-ო, აღნიშნავს მემატიანე.

მოგეხსენებათ, მომთაბარული, ანუ ექსტენსიური მეურნეობის არსია გაფართოება, ადგილიდან ადგილზე გადასვლა. მის მიმდევარს ბევრი არაფერი უნდა: საძოვარს სადაც წააწყდება თავის ფალანგას („ნაბდის სახლი“) ან სარგას („ბალანთ კარავი“) იქვე გაშლის, ნახირს საძოვარზე მიუშვებს და... მეურნეობაც გაიმართა. მას არ სჭირდება, ვთქვათ, ვაზის ჩაყრა, მისი ლოლიაობა და მოსავლის ლოდინი.

„...და იწყო ოხრებად და ხოცად კაცისა... და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა და სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი... და სიხხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი..., რამეთუ წმინდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვსთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არჭჳმინდებისა მათისა. ...ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი“...

„ცეცხლი უცხო და მბრძოლი“-ო ...მასთან შერკინება არგუნა ბედმა თექვსმეტი წლის დავით აღმაშენებელს. შეერკინა და დაშრიტა კიდეც. ამიტომაც არის უკვდავი მისი სახელი საქართველოში...

თურქ-სელჩუკთა იმპერიის მზე მალიქ-შაჰის სიკვდილთან ერთად ჩაესვენა.

თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე საქართველოს დააწვა. სომხეთმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო გაერთიანება, აქ არც დავით აღმაშენებლის მსგავსი პიროვნება გამოჩნდა. ხოლო შადიდიანთა სახელმწიფო, ცენტრით განძაში, — ახლა უკვე გადაშენებული, — სელჩუკიანი სულთნების მოხელეთა სამფლობელოდ ქცეულიყო. განძა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ბურჯად იქცა.

შარვანი კავკასიის ისტორიულ სინამდვილეში ბუნებრივად აღმოცენებულ, თავისთავად პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა; იგივე ითქმის დარუბანდის შესახებაც.

ამ მხარეში აღმოცენებული ისლამური ორიენტაციის ძალთაგან განსხვავებით, მთლიანობაში შარვანს გულზე არ ეხატებოდა სელჩუკთა იმპერიაში გათქვეფა ან, უსახო სატელიტად ქცევა. ამის გამო იყო, რომ იმთავითვე იჩინა თავი წინააღმდეგობამ შარვან-შაჰებსა და სელჩუკიან ხელისუფლებს შორის.

ნათლად ჩანს, თუ რომელი ძალები ივარაუდებოდა საქართველოს მოკავშირედ ამიერკავკასიაში.

სწორი საშინაო პოლიტიკის და ხელსაყრელი საგარეო ვითარების შედეგად საქართველო გაძლიერდა და მეფემ „არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“. ეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და თურქთა მორჩილების უარყოფას ნიშნავდა.

კახეთისა და ჰერეთის შემოერთებით და განსაკუთრებით ერწუის ომში გამარჯვებით (აქ ქართველებს განძის ათაბაგიც ებრძოდა) საქართველო უშუალოდ ჩაება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკაში; იგი აშკარად დაუპირისპირდა განძას. მაგრამ დავით აღმაშენებელს უშუალოდ მასზე არ აღუმართავს მახვილი. მან პირველ რიგში შარვანს მიაპყრო ყურადღება და მისი დაცვა დაისახა მიზნად. შარვანისათვის ომის მოგებით დავითი თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიიდან საბოლოოდ გადარეკავდა“ (ნ. ბერძენიშვილი).

მანამდე კი დავით აღმაშენებელმა შარვანი დაიმოყვრა. მან „პირმშო ასული თჳისი თამარი გაგზავნა დედოფლად შარვანისა“. საგულისხმოა, რომ საქართველოს მეფე თვით აგზავნის ქალიშვილებს რძლად შარვანსა და საბერძნეთში, სადაც მან ასევე „გაგზავნა სძლად“ თავისი ქალიშვილი.

დავით აღმაშენებელი შარვანში სწრაფად და მძლავრად მოქმედებდა. 1117-1124 წლებში მან შვიდჯერ დალაშქრა ეს მხარე. საქართველოს გავლენა და სახელი შარვანში განმტკიცდა და ამაღლდა.

მოწინააღმდეგე ძალებმა შარვანშიც იმავე, ისტორიულად კარგად გამოცდილ ქარგაზე ააგეს თავისი პოლიტიკა, რომელიც იმ დროის მსოფლიოსთვისაც კარგად იყო ცნობილი და რომელიც შემდგომაც, თვით ჩვენს დრომდეც, არა ერთხელ ჩამდგარა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა სამსახურში. კერძოდ, შარვანში ანტიქართულმა ძალებმა მესამე ძალას, ერაყის სელჩუკიან სულთანს მოუხმეს.

1128 წლის ზაფხულში „მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, და მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოსვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ სულთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გნებავს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე“.

საქართველოს მეფე გავიდა „სამალავთათგან“. საბოლოოდ გამარჯვება ქართველებს დარჩათ. ხოლო თვით სულთანი ხელმოცარული და სასოწარკვეთილი შამახიიდან ღამით „გაიპარა, და სახდუნით მეოტი... წარვიდა სოფლად თვისად“.

„სახდუნი“ სულხან-საბას განმარტებით არის „მწჳრის გასადინარი ნაჭურე ი“, „მწჳრე“ კი არის „მყრალი ლაფი“. მაშასადამე, მემატიანეს ცნობაში უნდა ვიგულისხმოთ აბანოს ან ფეხსადგილის, საპირფარეშოს მილი (შესაძლებელია — კანალიზაციის დახურული სადინარიც). ასე, რომ ცხადი ხდება თუ რა დღეში ჩავარდნილა თურქთა ყოყლოჩინა სულთანი, თუკი სახდუნის გავლით უშველა თავს.

საბოლოო შედეგი კი ის გახლდათ, რომ მომდევნო 1124 წელს დავით აღმაშენებელი „წარემართა შარვანს, აღიღო ქალაქი შამახია... სრულად ყოველი შარვანი და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი“. და შარვანის „განმგებლად და ზედამხედველად“ აჩინა მწიგნობართუხუცესი თვისი სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“.

ამ ღონისძიების შეფასების დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას შემფასებლის მხოფლმხედველობა იძენს. ეს არ იყო ანექსია. ეს იყო შექმნილი ვითარების საპასუხოდ, შარვანის ოდინდელი საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად, მის სასარგებლოდ და დასაცავად განხორციელებული აღნიშნული ვითარების ძირეულად გადასაჭრელი გადამწყვეტი ღონისძიება. მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ შარვანის განმგებლად დაინიშნა პიროვნება, რომლის თანამდებობა აერთიანებდა საერო და სასულიერო ხელისუფლებას და რომელსაც ძირითადი ადგილი ეჭირა დავით აღმაშენებლის პოლიტიკის განხორციელებაში. ამით შარვანი სამეფო კარის განმგებლობაში გადადიოდა და არა რომელიმე თავადის ფეოდალის სამფლობელოში. მნიშვნელობას იძენს ისიც, რომ მეფემ შარვანის ციხეებსა და ქალაქებში „დაუტევნა ლაშქარნი ჰერნი და კახნი“ და არა, ვთქვათ, ყივჩაყთა ლაშქარი. ჰერნი და კახნი ხომ შარვანის ძირძველი მეზობლები იყვნენ, მისი სისხლი და ხორცი ეკონომიკურადაც, სოციალურადაც, კულტურულადაც. სხვაობა მათ შორის მხოლოდ ეთნიკურ-ენობრივი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ სხვაობის შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რაც მოჰყვებოდა სულთნის მიერ შეპყრობილი შარვანშაჰის ხელისუფლების გაუქმებას, აქ ისლამის და შესაბამისად, აღმოსავლური სოციალურ-ეკონომიკური წყობის გაბატონებას. რაც, სამწუხაროდ, ასე მოხდა კიდეც შემდგომში.

რომელმა ძალებმა მოიწვია სულთანი შარვანში, რა ამოძრავებდა მათ, როგორ ეთანხმებოდა მათი მისწრაფებანი შარვანის ძირძველი მოსახლეობის გულისწადილს? დავით აღმაშენებელმა კი, მემატიანეს სიტყვით, „განაგო ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“; ეს ერთეული ცნობა არ არის. ხომ უეჭველია, რომ ეს ეთნიკური ჯგუფები ადგილობრივი სინამდვილიდან არიან. ყველაფერი ეს ხომ ეთნოგენეზსაც უკავშირდება. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მეფე დემეტრეს დროს შარვანში აღსდგა შარვანშაჰის ხელისუფლება. ხოლო თამარის ეპოქაში ისევ შარვანშაჰი საქართველოს სიძედ გახდომის სურვილს აცხადებს და თამარ მეფეს ხელს თხოვს. ანექსირებულ ქვეყანას კი არც საკუთარი ხელისუფლება (შარვანშაჰი) გააჩნია და ვერც „მანექსირებლის“ სიძედ გახდომას გაბედავს.

შარვანთან ურთიერთობა თავისთავად მოითხოვდა დარუბანდთან დამოკიდებულების გარკვევას. ეს იმიტომ, რომ ალებულ ხანაშიც მათ შორის მტრობა და შუღლი იყო.

ვითარებაში რომ გავერკვეთ, უნდა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენდა დარუბანდი. ძალზე მოკლედ: ეს იყო ძლიერ გამაგრებული ციხე-ქალაქი, ფაქტიურად — ქალაქი-სახელმწიფო. ტექნიკურად კარგად გამართული ნავსადგურით, დარუ ნდი დიდი პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრს წარმოადგენდა. იგი საუკუნეების განმავლობაში, აქამდეც და შემდგომშიც, თავგამოდებით და წარმატებით იცავდა თავისი პაწაწინა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

შარვანი ცდილობდა, ზოგჯერ წარმატებითაც, დარუბანდის დაპყრობას, იქ თავისი გავლენის განმტკიცებას. მაგრამ ახლა, XII საუკუნის პირველ მეოთხედში საამისოდ მას ძალა ნამდვილად აღარ შესწევდა. აქვე დავძენთ, არა თუ შარვანმა, დარუბანდი ვერ აიღო ან ვერ დაიმორჩილა აღმოსავლეთის შემძვრელმა ძალებმაც კი (ჯალალ ალ-დინი, მონღოლები...).

დავით აღმაშენებელს, არსებული ცნობების თანახმად, უშუალოდ დარუბანდზე არ გაულაშქრია, იგი არ აუღია და არც დაუმორჩილებია.

სწორი პოლიტიკური ალღო დავით აღმაშენებელს დარუბანდთან ურთიერთობის გამწვავებას არ კარნახობდა. ამაშიც ვლინდება მისი დიპლომატიის მოქნილობა, მიზანშეწონილობა და პოლიტიკური მოღვაწის დიდი ნიჭი.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკამ შარვანი იხსნა თურქ-სელჩუკთა ანექსიისგან. ყოველი ძირძველი, კავკასიაში არსებული თითოეული ეთნიკური ელემენტის თუ პოლიტიკური ერთეულის დაცვა-შენარჩუნებისთვის ბრძოლა ხომ კავკასიის თავისთავადობისთვის ბრძოლას ნიშნავდა. აქვე გავიხსენოთ მისი ღვაწლი ოვსთა და ყივჩაყთა შორის გამწვავებული ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეში: „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა. და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი და ყო შორის მათსა სიყვარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა“.

დავით აღმაშენებელი ებრძოდა თურქ-სელჩუკთა მოძალებას არა მარტო შარვანში — მთელს ამიერკავკასიაში. თვით არეზის (არაქსის) სანაპიროზეც. „...დაესხა სევგელამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

შესაძლებელია, დღეს ვინმემ ასეთი ქმედება, ბოროტებად, არაჰუმანურად ჩათვალოს. მაგრამ როდესაც იმავე კარვის ბინადარი თავგამოდებით ცდილობს შენს სამყოფელში ძესხორციელი არ დაგიტოვოს მოტირლად — ამას რაღა ვუყოთ? ვის შესჩივლებდი? და მაინც, დღეს არ უნდა ავირჩიოთ პოლიტიკური ცხოვრების წესად „კბილი კბილისა წილ...“.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ ქართველთა მიერ მიყენებული „ჭირთაგან შეიწროებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე“ და, შავად შელებილებმა, მას დახმარება სთხოვეს.

გავიხსენოთ, ამ დროს თბილისი მუსლიმანთა ხელშია და იგი პოლიტიკურ მუწუკად ქცეულიყო. შექმნილ პირობებში ტფილელი ვაჭრები თავის სოციალურ ძმებთან ერთად, თავს შევიწროებულად იგრძნობდნენ; რადგანაც ვაჭარი არად დაგიდევთ ეროვნულ საწადელს. მისთვის მთავარი პოლიტიკური სიმშვიდე და ღია საზღვრებია, ესე იგი იმპერია, სადაც ასეთ პირობებს წააწყდება, თავის დასლსაც იქვე გაშლის. ასე, რომ „ჩვენი“ ვაჭრებიც, — თურქებთან ერთად, — დავითის პოლიტიკით აქოთქოთებულნი, იგივე მესამე ძალას უხმობენ. ამ ჩივილს ქართველთა დიდგორის ომში გამარჯვება და თბილისის აღება მოჰყვა. ეს ამბავი კი ნამდვილად მოულოდნელი იყო მუსლიმური სამყაროსთვის...

1124 წლის „აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა“. დავითმა აიღო ანისი.

ამ შემთხვევაშიც, შარვანის მსგავსად, ნათლად გამოიკვეთა ანისის საზოგადოებრივ ძალთა პოლიტიკური მიდრეკილება. 1064 წელს კი ანისი თურქ-სელჩუკთა სულთანმა აიღო და შემდეგ ქალაქი ზემოხსენებული განძის შადადიანების ანისის შტოს ხელში აღმოჩნდა.

ანისის აღებისთანავე დავითმა თურქთაგან შეგინებული, „ქრისტიანეთა სისხლითა“ მორწყული ქალაქი და ტაძარი, დედოფალ კატრონიტეს მიერ აგებული (იქვე რომ იყო დასაფლავებული) „მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მოხათლა“. მეფე მხლებლებითურთ მივიდა საყდარში და სამგზის საფლავსა ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმინდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

ყურადღებას იმსახურებს მემატიანეს თვალსაზრისი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის არსის, მიზანდასახულობის შესახებ. კულტურულ, ზოგად ერთობ სთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოება — აი, ის კვეთი, რომელზეც აღმოცენდა და რომელიც ასაზრდოებდა ამ ორი ხალხის ურთიერთკავშირს და თანადგომას მათი არსებობის ჭეშმარიტად ხანგრძლივი დროის, ათასეული წლების განმავლობაში...

ეს არის განძი, კავკასიის ხალხთა ისტორიაში დაუნჯებული და იგი უნდა გვახსოვდეს ყველას, მასზე უნდა ვაგებდეთ დღევანდელ ჩვენს აუცილებელ თანაარსებობას კავკასიის ყველა ხალხი, დიდი თუ პატარა, მიუხედავად სარწმუნოებისა. და რომ სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად იმავე ხალხების თანაარსებობა შესაძლებელი იყო და ხორციელდებოდა კიდეც — საამისო არა ერთი და ორი მაგალითის დამოწმება შეიძლება იმავე კავკასიის ისტორიული გამოცდილებიდან...

დავითი წერს მისსავე „გალობანი სინანულისა“-ში: „...ბოროტად გარდავჰხედ საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა“-ო. და როდესაც „ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლმსჯიდე ცოდვილთა გვემდეს ცეცხლი, მაშინ შემიწყალე მე მსაჯულო, ჩემო, იესო ღმერთო“.

დიდებული მეფის მსაჯული მხოლოდ მისი მშობელი ხალხია, რომელმაც მას, ერთადერთს და ჯერჯერობით განუმეორებელს, „აღმაშენებელი“ უწოდა. და თუ მაინც აწრიალდება კითხვა, პოეტის მიერ მშვენივრად გამოთქმული, — „...ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები? ლირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს?...“ (ანა კალანდაძე), — მას პირველ რიგში ისტორიკოსმა უნდა გასცეს პასუხი.

და განა მხოლოდ ქართულ მიწა-წყალს ემსახურა დავით აღმაშენებელი? „შევრთე სახლი სახლსა“-ო! მაშ, რა ექნა მეფეს, როდესაც მას ანელთა თავადთა მწიგნობარნი თხოვნით ეახლნენ? მაშ, რა უნდა მოემოქმედა მეფეს — „ცეცხლი უცხო და მბრძოლი“-სთვის დაეთმო ანისი, შარვანი... მთლიანად ამიერკავკასია? და განა დავით აღმაშენებელი და საქართველოს სახელმწიფო კავკასიაში უცხო, მესამე ძალას წარმოადგენდა?..

მათე ურჰაელი (ედესელი) დავითს წმინდა, სათნო მეფედ თვლის „ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“;

განა ვინმე ავალებდა XII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის ცნობილ ქალაქში მცხოვრებ სომეხ მემატიანეს დაეწერა ეს სტრიქონები?

მაშ, ვისი, თუ არა საქართველოს, იმედი უნდა ჰქონოდათ ანელთა? და უმთავრესი — გაუწბილდა განა სომხეთს ეს იმედი?

„შევრთე სახლი სახლსა“-ო. მერედა, განა „წააგო“ შარვანის სახლმა საქართველოსთან „შერთვით“? თუ არა ეს „შერთვა“, განა მასაც განძის შადადიანთა სახლის ბედი არ ელოდა? აღარაფერს ვამბობთ შარვანის და კავკასიის სხვა სახლების მდგომარეობის შესახებ თამარის ეპოქის საქართველოში...

დავითის პოლიტიკა ამიერკავკასიის ისტორიულად ჩამოყალიბებული გზით განვითარებას ემსახურებოდა.. ყოველივე ღირსეული, რაც კი კავკასიის ხალხთა თანაარსებობის ისტორიაში შემუშავებულა, დღეს სახელმძღვანელოდ უნდა დავისახოთ. დღეს, როდესაც იმავე ამიერკავკასიაში აგრე რიგად გამწვავდა ხალხთა შორის ურთიერთობა. უნდა დავისახოთ, რამეთუ მრავალი პრობლემათაგანი, ამიერკავკასიის ისტორიულ სინამდვილეში აღმოცენებული, დღესაც ობიექტურ შესწავლას და გადაჭრას ელის.

# გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!

ახალი ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!

## თამაზ წივწივაძე

ეს აღტაცებული შეძახილი, ციკლის სათაურად რომ გამოვიყენე, წარსულში პოპულარული სიმღერის („სალამი ჩიტუნებო!...“) განწყობით არის ნასაზრდოები!

რაკი სიმღერით დავიწყეთ, ლექსიც მოვაყოლოთ!

უფრო ზუსტად, პოეტის ის სტრიქონი გავიხსენოთ, რომელშიც ჩიტო, ჩიტო ნაცარას ეკითხებიან — „ვის უგალობ, ვისა?“

რასაკვირველია, ჩემს ოპონენტ მარქსისტებს მე მსგავს შეკითხვას ვერ დავუსვამ! — რადგან, თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტი მარქსისტი მთელი სიცოცხლის მანძილზე, — როგორც ტოროლა მზეს! — უგალობს კაცობრიობის ნათელ მომავალს, კომუნიზმს, რომლის აშენებაც, კაცმა რომ თქვას, მგონი კიდეც დაგვიგვიანდა!

დიდად ვწუხვარ! — სოციალიზმის სარაჩოებს მიმდგარი ქართველი მარქსისტების ერთი ჯგუფი ძირითად საქმეს — კომუნიზმის თეორიულ მშენებლობას! — რომ მოვაცდინე და ამ უნიკალური საზოგადოების შექმნისთვის განკუთვნილ დროს, ჩემთან ფუჭ კამათში ვატარებინებ!

როგორც ირკვევა, მათი დაინტერესების საგანი მას შემდეგ გავმხდარვარ, რაც ჩემი პუბლიკაციები: „რამდენიმე შენიშვნა...“ და „ლოზუნგების ქვეყანა“ დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

დარწმუნებული ვარ, ნაფიც მარქსისტებთან კამათი ადვილი არ იქნება! —

მით უფრო, ჩემისთანა კაცისთვის, რომელსაც ამ საკითხისთვის იმაზე მეტი დრო არ დაუთმია, რაც სასკოლო პროგრამით „ყაყიტას ქურდებზეა“ გათვალისწინებული!...

ამის მიუხედავად, მზად ვარ, უთანასწორო ბრძოლაში, — როგორც დავით აღმაშენებლის მემატიანე იტყოდა — შთავვბრიალდე!..

●

ცოტა შორიდან დავიწყებ!

ვისაც თბილისამდე მატარებლით უმგზავრია, არ შეიძლება, მის ყურთასმენას არ შემორჩენოდა ვაგონის გამცილებლის ხმის ჩახლეჩამდე მისული ყვირილი — გაიღვიძეთ, მცხეთაში ვართ!

მგზავრების ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში შესვლამდე დარჩენილი ის რამდენიმე წუთი საქმიანად უნდა გამოგვეყენებინა და ბოლო გაჩერებას მომზადებულნი შევხვედროდით!

გაფრთხილების მიუხედავად — ყოფილა შემთხვევა, — ზოგ გულარხეინ მგზავრს, პირდაპირ დეპოში გაუღვიძია!

დაახლოებით ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მარქსიზმის სფეროში მოღვაწე იმ მეცნიერთა ნაწილზე, რომელთაც „კაცობრიობის სანუკვარ ოცნებაზე“ ფიქრში უკანასკნელი გაჩერება გამოპარვიათ და ბოლო სადგურის ნაცვლად, თავი სავაგონო დეპოში ამოუყვიათ!

ერთი ასეთი მგზავრი გახლავთ ამ წერილის ადრესატი, ბატონი გრიგოლ ბრეგაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პარტიის, ომის და შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი!

ეს — გრძლად!

მოკლედ — გრიშა ბიძია!

●

ბატონი გრიგოლი, იგივე გრიშა ბიძია, ორთოდოქსი მარქსისტია! — დაახლოებით სამოცი წელი იქნება, რაც მარქსიზმს ეზიარა და ახლა მის შუქზე სკკპ ისტორიას ასწავლის უმაღლეს სასწავლებელში!

იყო აქტიური კომკავშირელი!

იყო საქ. კპ ცკ-ის ლექტორი!

იყო საქ. კპ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი!

იყო საქ. კპ. ცკ-ის სექტორის გამგე!

იყო ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ამავე კათედრის გამგე!

იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და საპროფესორო ჯგუფის ხელმძღვანელი!

1967 წლიდან თითქმის დღემდე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეც იყო!..

და, რაც მთავარია, თვითონვე აღნიშნავს:

„არასოდეს არ გადამიხვევია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდან...“

●

ვიდრე მე და ბატონი გრიგოლი ერთმანეთის პირისპირ დავდგებოდეთ და საპოლემიკოდ ქცეულ საკითხებს გავარკვევდეთ, იქამდე, წესად მაქვს, მკითხველის თვალწინ გავარკვიო — ვის ვეკამათები!

ამჯერად ეს საკითხი, რაკი მისი „ნამსახურობის“ სია ჩამოგითვალეთ, გარკვეულია! აქ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ მე, პირადად, მარქსიზმ-ლენინიზმის შრომებზე უფრო „ჰიპმიჰრილი“ კაცი საქართველოში არ მეგულება!

ამიტომ, ისლა დამრჩენია, ბატონ გრ. ბრეგაძის რომელიმე ნაშრომი განვიხილოთ, საშუალება რომ გვქონდეს, მეტი წარმოდგენა შევიქმნათ ამ პიროვნებაზე!

ჩემს ადგილას, წესიერი კაცი ასეთ შემთხვევაში ბატონი გრიგოლის ბოლოდროინდელ ნაშრომს გაიხსენებდა, თორემ დრო ისეთია, გრიშა ბიძიას ნაწერები კი არა, გენიალური მარქსისა და ენგელსის „მანიფესტიც“ კი მოაძველა!..

●

ერთი-ორი თვის წინ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ჟურნალში („პარტიული სიტყვა“, № 18, 1989 წ.), რუბრიკით „ბედი ქვეყნისა, ბედი მომავლისა“, დაიბეჭდა გრიგოლ ბრეგაძის სტატია „ყველაზე სასარგებლო დამოუკიდებლობა“.

ყველაფერს ბედი ხომ უნდა! — ქვეყნის ბედის ამბავიც ბატონ გრ. ბრეგაძის გასარკვევი გამხდარა!

და ისიც, ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე, როგორც საქმიში ჩახედულ კაცს ჩვევია, პირდაპირ სვამს კითხვას:

„როგორი დამოუკიდებლობაა სასარგებლო საქართველოს თანამედროვე რევოლუციური და გარდაქმნის პირობებში?“.

ამ კითხვის პასუხი რომ მეპოვა, აგერ, მეორე წელია ღამე სახლში არ გამითევია! — დავდივარ ბრიფინგებზე, მანიფესტაციებზე, მიტინგებზე...

არ გამომიტოვებია, არც მთლად თავისუფლად მჯდომარე და არც თავ-გვერდგადაუტრიალებლად მწოლარე საპროტესტო აქციები...

და მაინც, გარკვეულად, კაცმა ვერ მითხრა — როგორი დამოუკიდებლობაა სასარგებლო დღეს ჩვენთვის!.

ბატონ გრიგოლს კი ეს საკითხი კაი ხნის გადაწყვეტილი ჰქონია თავის გუნებაში!

„აი, უმთავრესი კითხვა, რომელსაც გვინდა გავცეთ პასუხი“-ო.

ა, კაცი! — ვიყვირე გახარებულმა, ეს სტრიქონები რომ წავიკითხე, — რა კარგია, თითოოროლა ბრძენი ადამიანი მუდამ რომ ჰყავს საქართველოში!

თუნდაც ბატონი გრიგოლის არსებობა რად ღირს! — ეს რა ურთულესი საკითხი გადაუჭრია ოჯახაშენებულს!

როგორი დამოუკიდებლობაა უმჯობესი საქართველოსთვის — მკითხეთ და გეტყვითო!

თქვენ აგაშენათ ღმერთმა, გრიშა ბიძია! — როგორ არ გკითხავთ!

და ის იყო, წასალილინებლად გავამზადე სტრიქონები, „ვის ჰყავს ბიძა ჩემისთანა...“, მაგრამ ერთორ ისეთ ფრაზას მოვკარი თვალი, თქვენს მტერს, მე ელდა მეცა!

„ახლა აუცილებელია, ეროვნული პოლიტიკის განახლება... გადაჭარბებული ცენტრალიზმის აღმოფხვრა და რესპუბლიკების სუვერენული უფლებების გაფართოება, მათთვის მეტი ინიციატივიანობისა და დამოუკიდებლობის მიცემა“.

ბატონო გრიგოლ, ჩემო კარგო ბიძია, მართლა გულწრფელად გჯერათ ის, რაც ახლა თქვით?!

„სწორედ ასეთი დამოუკიდებლობა, სსრ კავშირის შემადგენლობაში სრული თანასწორობის საფუძველზე გაძლიერებაა ყველაზე სასარგებლო და ყოველმხრივ ხელსაყრელი საბჭოთა საქართველოსთვის...“

ეე, ჩემო გრიშა ბიძია, რავარც ახლა ამას მართალს ამბობ, ისე მართლად იარონ ამ ქვეყანაზე, ვინც „პარტიის ეროვნული პლატფორმა“ შეიმუშავა დღევანდელ ეტაპზე!..

●

ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი გრიგოლი ორთოდოქსი მარქსისტიამეთქი. არც იმის აღნიშვნა დამვიწყებია, დაახლოებით ნახევარი საუკუნე, სკკპ ისტორიის განხრით მუშაობს.

ამიტომ, უფრო გულსატკენია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა გრიგოლმა თავისი საგანი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ჩემზე უკეთ რომ არ იცის!

ბატონ გრიგოლს თურმე დღესაც გულწრფელად სჯერა:

„ლენინური ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ პირველად მიიღო შესაძლებლობა, აღედგინა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრივობა, რომელიც მან 117 წლის წინათ დაკარგა“.

ბატონო გრიგოლ, ჩემგან ნუ გეწყინებათ და ამ ერთ წინადადებაში თითქმის 117 ტყუილია ერთად ნათქვამი!

ეროვნული დამოუკიდებლობა ჩვენ ზუსტად მაშინ მივიღეთ, როცა ლენინს, საბედნიეროდ, საქართველოსთვის არ ეცალა!

თორემ პროლეტარიატის დიდ ბელადს, ოქტომბრის რევოლუციის მესამე კვირისთავზე სტეფანე შაუმიანის სახელზე გაცემული ჰქონდა მანდატი, რომელიც იუწყებოდა:

„ამ მანდატის წარმომდგენელი... სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კომისრად კავკასიაში საბჭოების საგარეო ხელისუფლების შექმნამდე...“

გრიშა ბიძია, მოდით, ერთად ვიკითხოთ — თუ კავკასიაში საბჭოეთის საგარეო ხელისუფლება დამყარდებოდა, საქართველო დამოუკიდებლად როგორღა იარსებებდა?!

როგორც გადმოგვცემენ, პატივცემულ სტეფანეს (ე. ი. შაუმიანს!) ლენინის დანაბარები, ანუ საკუთარი მისია, ასე განუმარტავს:

„საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა იქნას დამყარებული“-ო!

თუ რევოლუციის გენიის მაშინდელი მოთხოვნა არ შესრულდა, ეს მთლად ჩვენი ძვირფასი სტეფანეს ბრალიც არ იქნებოდა — საქართველოს ისე სწყუროდა თავისუფლება, მის ხელყოფას იმხანად იოლად არავის დაანებებდა!

ბატონ გრიგოლის მეცნიერული ანალიზით კი —

„ლენინური ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ პირველად მიიღო შესაძლებლობა, აღედგინა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა“!.

ჩვენ ორს შორის — ამის თქმა კი შეიძლება, გრიშა ბიძია! — — მტყუანის თავში უფრო სწორ აზრს, თავის დღეში არ გაეჭაჭანებინოს!...

სამწუხაროდ, თუ რა აზრის იყო დიდი ლენინი, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ეს საკითხი, მარტო ჩემს გრიშა ბიძიას არ ეშლება. ასე მგონია, ამ საკითხის გარკვევა არც ჩემი მკითხველის ასლობლებისთვის იქნება ზედმეტი!

ამიტომ აქვე ვიტყვი:

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელს, საქართველოს დამოუკიდებლობა არც თავში, არც შუაში და არც ბოლოში არ უნდოდა!

და ეს ბუნებრივიცაა!

პროლეტარიატის ბელადი, ცხადია, მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაზე ოცნებობდა!

დიდი ლენინი, ამას არავის უმალავდა!

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესის დახურვაზე ვ. ი. ლენინი სახალხოდ აცხადებს:

„პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, მთელ მსოფლიოში, უზრუნველყოფილია — შეიქმნება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა (მქუხარე ტაში)“.

ცოტა კიდევ ვაცადოთ, გრიშა ბიძია, და ტაში ოდნავ მაინც რომ დაცხრება, მერე გავარკვიოთ:

თუ მთელ მსოფლიოში, პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებდა — ლენინი კი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული („გამარჯვება უზრუნველყოფილიაო!“) და დედამიწის ზურგზე „საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა“ შეიქმნებოდა, ერთი მითხარით, გრიშა ბიძია, საქართველოს რა ისეთი დამსახურება ჰქონდა მსოფლიო რევოლუციის წინაშე, ქილაში ჩადებული რომ შეენახათ?

ამიტომ ვთქვი: ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობას ვერასდროს დაუჭერდა მხარს!

ჯერ იყო და, რევოლუციის მესამე კვირას, „საბჭოთა ხელისუფლების კავკასიაში დასამყარებლად“ სტეფანე შაუმიანი გამოუშვა!

მერე კიდევ, საქართველოს მთავრობა აინუნში რომ არ იყო, — (1920 წლის 14 აგვისტოს!) — დიდი ლენინი თურქ დიპლომატებს „ამშვიდებდა“:

„უეჭველია ის ფაქტი, რომ უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში შესვლისაო“.

ხედავთ, საბჭოთა რუსეთი შარზეა და მიზეზს ეძებს, საქართველოში რომ შემოვიდეს!

ბოლოს, ასეთი მომენტი რომ „დაიჭირა“, ლენინმა რამდენიმე დღითაც კი არ გადადო საქართველოს გასაბჭოება!

„ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დაყოვნებას, ხუთი დღითაც კი მიიჩნევდა შეუძლებლად (გრ. ჟვანია)“.

ასე, რომ, ბატონო გრიგოლ, საქართველომ დამოუკიდებლობა ლენინური თვითგამორკვევის ნიადაგზე კი არ მიიღო, არამედ დაკარგა!

რაც, ალბათ, ერთი და იგივე სულაც არ არის!

მაგრამ ეს მაინც ჩემი აზრია!

ვიმოწმებ პროფესიონალ ისტორიკოსს:

„საბჭოთა მთავრობა... ზოგჯერ უგულებელყოფდა მის მიერვე ოფიციალურად გამოცხადებულ ცალკეულ საგარეო-პოლიტიკურ აქტებს, ზღუდავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას... არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვით საბჭოთა მთავრობაც რუსეთის „დაქუცმაცების“ წინააღმდეგ გამოდიოდა“ (ლევან თოიძე).

სამწუხაროდ, საბჭოთა მთავრობის ეს ნაკლი, რომელიც მას დაბადებიდან დაჰყვა, სიცოცხლისუნარიანობას დღესაც ინარჩუნებს — ვერც ერთმა რესპუბლიკამ, მიუხედავად თავგანწირული მცდელობისა, საკუთარი თავი ცენტრს ჭერჭერობით ვერ წაგლიჯა!..

●

იმავე სტატიაში დაახლოებით ასეთივე „სიზუსტით“ სხვა კარდინალური ეროვნული საკითხებიც აქვს გარკვეული ბატონ გრიგოლს.

კერძოდ, ასეთ კითხვას სვამს:

„როგორ გამოიყენეს მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა?“

ბატონ გრიგოლს მიაჩნია, რაკი საქართველო რუსეთს ჩამოშორდა, იზოლაციაში მოექცა.

„აქედან გამომდინარე, მას მოაკლდა რუსეთის პური, ბაქოს ნავთობი, სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებანი და კატასტროფის წინაშე დადგა“.

ესეც პირიქით იყო, ბატონო გრიგოლ! — პური და ნავთობი თავად ლენინის რუსეთს აკლდა და ამიერკავკასიის გასაბჭოებაც ამიტომ ეჩქარებოდა ბატონ ვლადიმერს!

„ბაქო. ორჯონიკიძეს მოსკოვიდან...

უნდა იცოდეთ, რომ ტრანსპორტი არ გვყავს, ჯარის თქვენთან გადმოყვანა არ შეგვიძლია, უნდა გამოვზიდოთ პური კავკასიიდან, თორემ აქ პური არ გვყოფნის“.

ეს სტალინის დეპეშაა, საკუთარ აგენტს (ტროცკის გამოთქმაა!) რომ ეგზავნება ბაქოში!

და აქ, ბატონო გრიგოლ, კავკასიიდან პურის გატანაზეა საუბარი და არა შემოტანაზე!

რასაკვირველია, გრიშა ბიძია, პური საქართველოსაც აკლდებოდა, მაგრამ, მაშინაც ასე ყოფილა — ჯერ ცენტრი უნდა გამოგვეძღო!...

●

ძალიან გამიხარდა, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბატონ გრ. ბრეგაძის მახვილ თვალსაც რომ შეუნიშნავს!

ისიც აღიარებს, ასეთი შეთანხმება, მართლაც დაიდოო!

მაგრამო:

მენშევიკები არ ასრულებდნენ საბჭოთა რუსეთთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებასო!

ამიტომო:

„საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო... არ განეგრძო სამოქალაქო ომი და XI წითელი არმიის ნაწილებით რევოლუციური დახმარება არ გაეწია საქართველოს მშრომელებისთვის...“.

ბატონო გრიგოლ, ჩემო გრიშა ბიძია, ნუთუ უხერხულობას არ გრძნობდით, ამ სტრიქონებს რომ წერდით?!

ფილიპე მახარაძემ როგორ უნდა გაჯობოს ამხელა კაცს!

აი, რას წერს იგი!

„როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე, საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი იცოდა..“.

აქ სად ჩანს, ბატონო გრიგოლ, რუსის ჯარი დასახმარებლად საქართველოს მშრომელებმა რომ მოიწვიეს?!

საბჭოთა რუსეთის ამ საქციელის, თვით ბატონ ფილიპესაც კი რცხვენია!

„საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ, გარედან დაპყრობას ხასიათი მიიღო, რადგან, ამ ქვეყანაში, ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს“.

ასეთი რამ გაგიგიათ, ბატონო გრიგოლ? — წითელი ჯარი ისე იპყრობს დამოუკიდებელ ქვეყანას, რომ მის „მიზნებსა და განზრახვაზე“ საქართველოში მოღვაწე არც ერთმა კომუნისტმა არაფერი იცის!

არადა, მთელი თქვენი ცხოვრება ამტკიცებდით, რომ საქართველოს მშრომელებმა თხოვეს რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას, წითელი ჯარის საქართველოში შემოყვანაო!

სირცხვილია, გრიშა ბიძია! — თქვენი წყალობით, რამდენმა ალალმართალმა სტუდენტმა დაინაგვიანა თავი ამ სისულელით?

ამას ხომ ჯობდა, ამიერკავკასიის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლა რომ დაამთავრეთ, სასოფლო განხრით გემუშავათ და სანდახან ვაზი შეგეწამლათ ამდენი ახალგაზრდის გონების მოწამვლას?!

ან ეს რამ დაგაწერინათ, გრიშა ბიძია!

„— ამასთან, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წითელი არმია არის რევოლუციური, მუშურ-გლეხური არმია და მას არ შეიძლება ახასიათებდეს ანექსია-დაპყრობები“.

და ამას ბატონი გრიგოლი წერს თბილისში დატრიალებული 9 აპრილის ტრაგედიიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ!..

აფსუს, დროის და სიტუაციის რა გრძნობაა!

●

სხვათა შორის, სიტუაციის სხვანებამ ერთი ამბავი კიდევ გამახსენა!

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(გაგრძელება)

ბატონ გრ. ბრეგაძის საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლავთ:

„რევოლუციური სიტუაცია ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში“.

ხომ წარმოგიდგენიათ, ძვირფასო მკითხველო, იმ დროს, როცა პეტროგრადში ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, რა „სიზუსტით“ აღწერდა რევოლუციურ სიტუაციას ჩემი გრიშა ბიძია!

●

განვაგრძოთ საუბარი.

ჩვენ იქ გავჩერდით, ბატონი გრიგოლი მახვილგონივრულად რომ შენიშნავდა: წითელ არმიას არ შეიძლება ახასიათებდეს ანექსია, დაპყრობები.

რაკი დავრწმუნდით, გრიშა ბიძიას ჩემი არ ეყურება, სხვათა აზრი უნდა მოვიშველიოთ:

ბატონო გრიგოლ, ბუხარინი, თქვენი არ იყოს, პარტიული საკითხების თეორიულ ნაწილს ამუშავებდა და წითელი ინტერვენციის საკითხზე ასეთ დასკვნამდე მისულა:

„ჩვენს პროგრამაში უნდა დავამკვიდროთ, რომ თითოეულ პროლეტარულ სახელმწიფოს აქვს წითელი ინტერვენციის უფლება... პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს მთელი მსოფლიო, მაგრამ ამას თითის დაქნევით ხომ ვერ გააკეთებ. აქ საჭიროა, ხიშტები და ზარბაზნები“.

ხედავთ, ბატონო გრიგოლ, რას წერს ბუხარინი!

წითელმა ინტერვენციამ მთელი მსოფლიო ხიშტებითა და ზარბაზნებით უნდა დაიპყროს!

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოც წითელი ინტერვენციის მსხვერპლი გახდა — ისიც ხიშტებითა და ზარბაზნებით დაიპყრეს, გრიშა ბიძია!

„ბაქო. ამხ. ორჯონიკიძეს...

ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება... რომ შესაძლოა, საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. სტალინი“.

დიდი ლენინი, როგორც ყოველ დიდ საქმეში, საქართველოს ოკუპაციაშიც იჩენს სიფრთხილეს!

„შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებულნი არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები, საქართველოსთან დაუყოვნებელი ან მოსალოდნელი ომისთვის“.

ლევ ტროცკი — სამხედრო მინისტრი! — საქართველოს ძალად გასაბჭოებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით კმაყოფილდება!

„სამხედრო ინტერვენციამ, საუცხოოდ წარმატებულად ჩაიარა...“

ბატონო გრიგოლ, მთელმა ამ მასალამ, რომელიც ზღვაში წვეთია, არსებულთან, თქვენს თვალწინ ისე როგორ ჩაიარა, რომ თვალი ვერ მოატანეთ?!

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას იკვლევთ და გარდა საქართველოს მშვიდობიანი გზით გასაბჭოებისა — ძალადობის კვალს ვერსად გადააწყდით?!

ეჰ, გრიშა ბიძია, გრიშა ბიძია!..

მაგრამ ახლა წუწუნის დრო არ არის! თითო ჩვენი პროფესიის კაცი (თქვენ — მეცნიერი, მე კიდევ — მწერალი) დავიმოწმოთ და ამ თემაზეც მორჩება ჩვენი ლაპარაკი!

„პატივცემულო მკითხველო! დროა, შეფასება მივცეთ წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებულ აქციას. რა იყო მაინც ეს?“ (ლევან თოიძე, ისტორიკოსი).

ბატონო ლევან, თუ არ შეწუხდებით, ბატონ გრ. ბრეგაძესაც უთხარით, მართლა რა იყო ეს?

„იყო ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, რასაც შემდეგ ფაქტობრივად ანექსია მოჰყვა“.

ამდენი მეც არ ვიცოდი, ეს მართლა რა უბედურება ყოფილა!

ახლა მწერალს მოვუსმინოთ, ბატონო გრიგოლ!

„არც ერთი ჭკუათმყოფელი ქართველისათვის საეჭვო არ არის, რომ 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველო არის რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დაპყრობილი ქვეყანა“ (ნოდარ გრიგალაშვილი, მწერალი).

გრიშა ბიძია, თქვენი უნებლიე გალანძღვისათვის ჩემს მეგობარ მწერალს კაი საყვედურს ვეტყვი, მაგრამ ისე, მართალს კი ამბობს ის კაცი! —

საქართველო რომ რუსეთის მიერ ანექსირებული ქვეყანაა, ეს ჭეშმარიტება უზენაესი საბჭოს სესიამაც აღიარა!..

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, გასაგებია, — როგორ დაიპყრო რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო!

ეს რომ არ იცოდეს, დღეს ჩვენში ბავშვიც არ მეგულება!

თქვენ რა მოგდით, გრიშა ბიძია, ამქვეყნის რომ არაფერი გეყურებათ?!

მტკნარი სიცრუის წერა ასე ურცხვად შეიძლება?!

„ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, გასაგებია, რომ XI წითელი არმიის ნაწილების ძმური, ინტერნაციონალური დახმარებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა...“

გრიშა ბიძია, ვინც გიყვართ, იმას გაფიცებთ, დღეს რომ მთელი ქართველი ხალხი ქუჩაში ვართ გადმოსული და საქართველოს დამოუკიდებლობას მოვითხოვთ, ამის შესახებაც არაფერი გაგიგიათ?!

●

ძვირფასო მეგობრებო, ეს ამდენი შეცდომა, რაოდენობრივად შპროტის ქილაში მიჭრით მიწყობილ თევზებს რომ გვაგონებს, ბატონ გრ. ბრეგაძის იმ სამგვერდიან სტატიაში გვხვდება, პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტს რომ ეძღვნება!

კაცმა რომ თქვას, სტატიის აქამდე განხილული ნაწილი წერილისთვის სავალდებულო არ იყო! ავტორმა იგი, როგორც კომპარტიის ისტორიის სპეციალისტმა, ისტორიულ ექსკურსად წარუმძღვარა თავის ნაშრომს!

ნეტა თქვენი თვალით განახათ, რა შეცდომებია დაშვებული სტატიის ძირითად ნაწილში! — მისი თანმიმდევრულად აღნუსხვა ჩემს ღონესაც კი აღემატება!

თუმცა, ერთ გარემოებას მაინც მინდა გავუსვა ხაზი:

ბატონი გრიგოლი კმაყოფილებით იმოწმებს პლატფორმის ამონაწერს:

„სსრ კავშირში შესვლით, რესპუბლიკებმა ცენტრალური ორგანოების განმგებლობაში გადასცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელება“.

და იქვე შენიშნავს:

„მხოლოდ საგარეო? საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც აუცილებელია ამ მხრივ მეტი გარკვეულობა“.

მინდა, დავამშვიდო გრიშა ბიძია, რომ პარტიის ეროვნულ პლატფორმაში არც ეს მხარეა „გამორჩენილი“.

მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ყველაფრის უფლება აქვს და, თუკი მოეგუნება, საბჭოთა კავშირიდანაც თავისუფლად შეუძლია გასვლა!

მაგრამ ეს, რასაკვირველია, თეორიულად!

რეალურად კი — ძნელა მჯადს რომ ყველი მივატანოთ, თუ რესპუბლიკაში ყველის ჩაბარების გეგმა არ შესრულებულა, ამის უფლებაც არ გვაქვს.

●

ერთი განმარტებაც!..

როცა „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი პუბლიკაციები გამოქვეყნდა, რედაქციაში ქართველი მარქსისტების უამრავი საპასუხო წერილი შემოვიდა.

მე ბატონ რედაქტორს ვთხოვე, რაკი იმის ტექნიკური საშუალება არ არის, ყველას რომ ვუპასუხო, მიქენით სიკეთე და ჩემი ოპონენტებიდან ყველაზე ტიტულოვანი მარქსისტი შემორჩიეთ-მეთქი!

ჩემი თხოვნა დაკმაყოფილდა!

და აჰა, ისიც! ბატონი გრიგოლ ბრეგაძე! — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პარტიის, ომის, შრომის ვეტერანი! ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი!

და თუ ამას მისსავე განცხადებას დავუმატებთ —

„არასოდეს გადამიხვევია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდანო“ —

მაშინ ქვეყანაზე ჩემზე საცოდავი კაცის წარმოდგენაც კი ძნელი იქნება! — ამ გოლიათს რომ ვერკინები მარქსიზმის საკითხებში!

არადა, არავის ბრალი არ არის, ეს არჩევანი მე თვითონ გავაკეთე!

ამიტომ ახლა წუწუნს უნდა მოვეშვა და, როგორც წერილის დასაწყისში მკითხველს აღვუთქვი, უთანასწორო ბრძოლაში შთავარდე!..

●

ვიდრე ჩემი ოპონენტის ბანაკში საბრძოლო ყიჟინას დავცემდე, ერთი ეჭვი მინდა გაგიზიაროთ!

ბატონი გრიგოლი რომ ბრძანებს:

„არასდროს არ გადამიხვევია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდანო“.

მე მისი გულწრფელობის კი მჯერა, მაგრამ თავად ეს საქმე რომ პრაქტიკულად შეუძლებელია?!

რადგან:

თვითონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა ლენინმა გადაუხვია (ნეპის შემოღებით) პარტიის გენერალური ხაზიდან!

სტალინი რომ სტალინია, თვითონ ხომ გადაუხვია და გადაუხვია პარტიის გენერალური ხაზიდან, როგორც ამბობენ, მთელი კომუნისტური პარტიაც საკუთარ კვალზე მიიყოლა!

ყოფილა შემთხვევა— თავად კომუნისტურ პარტიასაც გადაუხვევია თავისი გენერალური ხაზიდან!..

ასე რომ, ბატონი გრიგოლი რომის პაპზე უფრო კათოლიკე გამოდის!

რაც, რასაკვირველია, სწორი ვერ იქნება!

უფრო სწორი, ალბათ, ის იქნება, რომ ვთქვათ: გრიშა ბიძია კომუნისტურ პარტიასთან ერთად იხრებოდა პარტიის გენერალური ხაზიდან!

ორი საგნის სინქრონული მოძრაობა კი, მოგეხსენებათ, ერთობლიობის ილუზიას ქმნის!..

●

ბატონი გრიგოლი თავის წერილს „ზოგიერთი მოსაზრება თამაზ წივწივაძის შენიშვნებზე“, რომელსაც ახლა მე უნდა ვუპასუხო, ასე იწყებს:

„თანამედროვე რევოლუციურ გარდაქმნას მთელი ძალით შეუდგნენ სოციალისტური ქვეყნები თავიანთ მმართველი პარტიების მეთაურობით...“

თუ გახსოვთ, შესავალი ნაწილი გრიშა ბიძიას არც ახლახან განხილულ სტატიას უვარგოდა!

ცხადია, არც ეს შესავალი ვარგა, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში კომუნისტური პარტია მმართველი პარტია აღარ არის! —

დიდიან-პატარიანად ყველამ უარი თქვა კომუნისტური პარტიის წარმმართველ როლზე!

ამ შეცდომას იმავე წინადადებაში სხვა შეცდომაც მოსდევს!

„აუცილებელია კვლავ გულმოდგინედ გავაანალიზოთ, ახლებურად წავიკითხოთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები...“

იცოცხლეთ, კარგი ეს იქნებოდა, მაგრამ ამ ქვეყნებში, ამ ახალ ვითარებაში, ეს უკვე შეუძლებელია! —

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება არა მარტო მთლიანად ამოიღეს სასწავლო პროგრამებიდან, არამედ იდეოლოგიის სფეროდანაც დაითხოვეს!

ჩვენთანაც, პირველ სოციალისტურ ქვეყანაში, კომპარტიის ხელმძღვანელ როლზე ერთი ვაიუშველებელი და დაკადაკა ატყდა სახალხო დეპუტატთა ახლანდელ ყრილობაზე!

ამ ძაძგურში „აგრესიულად მორჩილმა უმრავლესობამ“ თითქმის ძალით წაგლიჯა ჩვენი ნაქები კომპარტია იმ დეპუტატებს, ვისაც ამ სფეროში ჭკუა სხვაზე მეტად ეკითხებოდათ!..

●

ბატონი გრიგოლი ჩემს გულრწფელ სურვილს — გავერკვე „მანიფესტის“ ავკარგიანობაში, უნდობლად არ ეკიდება! მაგულიანებს კიდეც!

„ჩვენ მივესალმებით „მანიფესტის“ მოძველებული დებულებებისადმი კრიტიკულ მიდგომას და ვეცდებით ახლებური აზროვნების პოზიციიდან გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება“.

თქვენი დიდი მადლობელი ვარ, გრიშა ბიძია!

რაც თავი მახსოვს, ჭერ ასე ადამიანურად ჩემი ოპონენტებიდან მე არავინ დამლაპარაკებია!

ეს რომ წავიკითხე, დავჭექი და ბევრი ვიტირე...

თუმცა, სამწუხაროდ, ჩემში ადამიანური გრძნობების ასე გაფაქიზებაც ვერ მიშლის ხელს. ბოლომდე სიმართლის ერთგული დავრჩე!

ამიტომ ერთხელ კიდევ, დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო გრიგოლ, ამ ყურადღებისათვის — „ჩვენ მივესალმებითო!“

თავმოსაწონებლად არ ვამბობ, მაგრამ ზრდილობის სფეროში თავი არც მე შემორცხვენია — კალმისთვის კარგადაც არ მქონდა ხელი მოკიდებული, სალამი რომ დავაბრუნე:

„სალამი, მარქსისტებო!“

წერილის ქვესათაურად გატანილ ამ სიტყვებში, რასაკვირველია, უპირველესად ბატონ გრიგოლს ვგულისხმობდი!

ახლა კი, ბატონო გრიგოლ, ნება მომეცით, გკითხოთ:

წინა წერილიც — პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტის გამოქვეყნებას რომ ეძღვნებოდა და ახლახან განვიხილეთ — „ახლებური აზროვნების პოზიციიდან“ გქონდათ დაწერილი?!

ამას რატომ გეკითხებით, იცით?

თუ ეს „პლატფორმაც“ ახლებური აზროვნების შუქზე გქონდათ განხილული და დაწერილი, ვიდრე ეს „აზროვნება“ ჩვენამდე მოაღწევდა, გრიშა ბიძია, სულ არ აზროვნებდით?!

უკაცრავად, ასე თქმაც არ მინდოდა, სულ სხვას გეკითხებოდით! —

მეთერთმეტე წითელმა არმიამ საქართველო რომ დაიპყრო, ის ჯარი მართლა ქართველების მოპატიჟებული გეგონათ?!

არა, გრიშა ბიძია, როგორც თემურ-ლენგი და შაჰ-აბასი არავის მოუწვევია საქართველოში, ისე არც წითელი არმია მოუწვევია ვინმეს! — თავისით შემოვიდნენ!

დამპყრობელი საქართველოში ყოველთვის თავისით მოდიოდა!

ავვიკლებდნენ, აგვაოხრებდნენ, ამოგვწყვეტდნენ და... მიდიოდნენ!

ასე სამტროდ მოსული მტერი იქცეოდა, მოყვარედ მოსულ მტერს კი ძნელად ეთმობი — აღარ მიდის!..

არც წავა, გრიშა ბიძია, სულ ასე თუ ვუძახეთ — ჩვენი მოწვეულები ხართო!

●

შემჩნეული მაქვს — ჩემს ყველა ოპონენტს ერთი ცუდი ზნე ჭირს — კონკრეტულ საკითხებზე არ მეკამათებიან!

ზოგადი მსჯელობა კი გაცილებით ადვილია.

სამწუხაროდ, ასე იქცევა ბატონი გრიგოლიც!

მე ვწერდი: „ვისაც ახსოვს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ იწყება სიტყვებით:

„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა“.

დამოწმებულ ციტატას ასეთი კომენტარი დავურთე:

„ამ სიტყვების დაწერიდან თითქმის საუკუნენახევარი გავიდა და კომუნიზმის აჩრდილი, როგორი გაგებითაც ამას მარქსიზმის კლასიკოსები გულისხმობდნენ, ჯერაც არსად ჩანს!“

რითაც მაშინ მე ეს სტრიქონები დავწერე, ის მარჯვენა კიდეც რომ მომჭრან, ნათქვამ სიტყვას მაინც არ გადავალ!

და ამას სიჯიუტეში ნუ ჩამომართმევთ, უბრალოდ, მართალი რომ ვარ, იმიტომ!

ბატონი გრიგოლი კი ჩემთან კამათს ამ სიტყვებით იწყებს:

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ „მანიფესტი“ „ასე იწყებაო“, და ჩემს მიერ მოტანილ ციტატს შვიდიოდე სტრიქონით ზრდის და მერე მეუბნება:

„აი, ბატონო თამაზ, როგორი გაგებით გვამცნეს მარქსმა და ფ. ენგელსმა კომუნიზმის აჩრდილი, თქვენ კი წერთ, რომ კომუნიზმის აჩრდილი თითქმის საუკუნენახევრის გასვლის შემდეგაც არსად ჩანსო...“

გრიშა ბიძია, მერე ჩემგან რა გინდათ. თქვენ შეამჩნიეთ სადმე კომუნიზმის აჩრდილი და მე დაგიმალეთ?!

გაგიგიათ სადმე ასეთი პასუხის გაცემა?! — თქვა და წავიდა!

უფრო სწორად, კი არ წავიდა, ახალი საყვედურის სათქმელად მოემზადა!

თქვენ ბრძანეთო, — მე მეუბნება! — „კომუნიზმის აჩრდილს ისეთი პირი უჩანდა მაშინ, გერმანიიდან უნდა დაეწყო ძლევამოსილი სვლა!..“

არა, გრიშა ბიძია! მე არ მგონებია ასე! ასე ეგონათ მარქსსა და ენგელსს!

მე ამხელა ინტუიცია კიდეც რომ მქონოდა, იმ სიტუაციას მაინც ვერ ვიგრძნობდი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ამბიდან თითქმის ერთი საუკუნის მერე გავჩნდი ამ ქვეყანაზე!

ისე, რატომ ჩემი გაჩენის დღე არ დაიწყა! — ყველაფერი მე როგორ უნდა დამბრალდეს!

მაგრამ, ბატონო გრიგოლ, თქვენ ხომ ის კაცი არა ხართ, მარქსს რომ რამე დააბრალოთ!

„დიახ. გერმანიიდან უნდა დაეწყო კომუნიზმის იდეას, ე. ი. სოციალისტურ რევოლუციას გამარჯვება...“

დაიწყო მერე, გრიშა ბიძია?

„მაგრამ მაშინ გერმანიის პროლეტარიატზე ბურჟუაზია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და გათვალისწინებული იდეა გერმანიის მაგალითზე ვერ განხორციელდა...“

კარგია, ბატონო გრიგოლ, თქვენ ამ სიტყვებით მარქსისა და ენგელსის გამართლება რომ გინდათ, მაგრამ თუ გიფიქრიათ იმაზე, ამ „საბუთს“ უარყოფითი მხარეც რომ აქვს?

ის კაიდედმამიშვილები თუ იმასაც ვერ მიხვდნენ, რაც მათ თვალწინ ხდებოდა, საუკუნეების მერე კაცობრიობის ბედი რა გზით წავიდოდა, ამას როგორღა იწინასწარმეტყველებდნენ?!.

●

გრიშა ბიძია, თქვენ ახლა ამ შეკითხვაზე იფიქრეთ, მე კი ცოტა ხნით მკითხველთან დამტოვეთ!

ძვირფასო მეგობარო! — შემჩნეული გექნებათ, ყველა გაჭირვების ჟამს თქვენ რომ მახსენდებით!

ახლაც უნდა მიშველოთ! მარქსი და ენგელსი მართალნი რომ არ აღმოჩნდნენ, ეს უნდა დამიდასტუროთ!

არა, საშიში არაფერია! — ცრუმოწმედ როდი მინდიხართ! აი, რა უნდა დამიდასტუროთ:

თუ გახსოვთ, მარქსი და ენგელსი წერდნენ:

„აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“.

თუ გახსოვთ, ამასთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„კომუნიზმის აჩრდილი ჯერაც არსად ჩანს!“

გრიშა ბიძია! — თქვენ გაჩერდით!..

ეს ერთი, — მეორეც!

მარქსისა და ენგელსის ვარაუდით, კომუნიზმის აჩრდილს გერმანიიდან უნდა დაეწყო ძლევამოსილი სვლა!

როგორც ჩვენ ვიცით, სოციალისტურმა რევოლუციამ ამ ქვეყანას საერთოდ ჩაუარა გვერდით!..

ასე რომ, ფაქტი სახეზეა! — მარქსისა და ენგელსის, ამ ორი გენიოსის — ამ ორი ვარაუდიდან არც ერთი არ გამართლდა!

გრიშა ბიძია, თქვენ გაჩერდით!..

თქვენ კი, ძვირფასო მეგობრებო, (მკითხველებს ვგულისხმობ!), თუ სხვანაირად ფიქრობთ, აი, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!..

ხოლო თუ ჩემს სიმართლეს ადასტურებთ, მადლობას მოგახსენებთ და კიდევ იმის სურვილს ვიტოვებ — სხვა დროს უკეთეს საქმეზე შევხვედროდეთ [illegible]ნეთს!..

ბატონო გრიგოლ, ჩვენ განვაგრძოთ!..

თქვენი და, საერთოდ, საბჭოთა ისტორიკოსების აზრია, რომ ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი, შეიმუშავა თეორია — თავდაპირველად ერთ ან ერთად აღებულ რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

კეთილი და პატიოსანი!

ამის შემდგომ იქვე წერთ:

„ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცა ჯერ ჩვენს ქვეყანაში, შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში და შეიქმნა მზარდი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე მსოფლიო სოციალისტური სისტემა“.

რაც ახლა აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, თუ ეს იცით და მაინც ასე ფიქრობთ, ბედნიერი კაცი ყოფილხართ, გრიშა ბიძია!

„მზარდი სასიცოცხლო ძალებით აღსავსე“ სოციალისტური ქვეყნები კინაღამ თავზე რომ დაგვემხო, ამის შესახებ მართლა არაფერი გაგიგიათ?!

ბედნიერო!!!

თუმცა, ვიდრე სამწუხარო სიმართლეს შევიტყობდით, ჩვენც ასე ვფიქრობდით, გრიშა ბიძია!

არადა, ჩვენს ძილში, სოციალისტური ქვეყნების დამლით დატვირთული მატარებელი, რომ გვეგონა, მარქსიზმ-ლენინიზმის კურსით სრული სვლით მიდიოდა კომუნიზმისკენ, მოულოდნელად... დეპოში აღმოჩნდა!

ამიტომ იყო, ბატონო გრიგოლ, ამ წერილის სათაურიდან მოულოდნელად რომ გეხვეწებოდით: „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია,.. დეპოში ვართ“-მეთქი!

●

თქვენ კი, ბატონო გრიგოლ, გამოფხიზლება ახლაც არ გინდათ, ახლაც გაიძახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამინდია, ბ. თამაზ, მარქსი და ენგელსი დღეს რომ ჩვენს ქვეყანაში იყვნენ, თავიანთ თავებს არ შეხვდებოდნენ თანამედროვე მსოფლიოში".

ჯერ ერთი, ბატონო გრიგოლ, მე „ბ. თამაზი" არა ვარ!

მეორეც! — გაანჩია, გრიშა ბიძია, რომელ მხოლოდ ვახსენებ — კაპიტალისტურ თუ სოციალისტურს!

დარწმუნებული ვარ: კაპიტალისტური ნახაზზე გული ჯანსართელი — ამ ჩვენი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მიხედვით, ეს რა მშვენიერი ქვეყნები აუშენებიათ!

სოციალისტური ქვეყნების ნახვაზე (მაინც რა დრო არის აღუმაი) გული შემოუყრებათ — კაპიტალიზმის სიკვდილს კი ვვარაუდობდით, მაგრამ ახე ჩქარა თუ წარმოიდგენდა ეს პროცესი, ამას როგორ წარმოიდგენდნენ!

ერთ რამეს გეხვეწები, გრიშა ბიძია:

თუ მართლა გინდა ცოცხალ მარქსსა და ენგელსს ცოტა ხანს კიდევ უყურო, შენი პირიმე, ნუ ეტყვი — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ქვეყნების ერთმანეთში რომ არიან!..

●

თუ არ შეგეწყინება, კიდევ ერთ ამონაწერს მოვიტან ჩემი წერილიდან:

„და ჟამი ახლა, როცა კომუნიზმი, ზოგი „შრეშნი" ხელშესახებით დამირეთ, კარგა ხნის აშენებული უნდა გვქონდეს, ქვეყანას არა აქვს პური, ყველი, კარაქი, შაქარი...

ჩავიმადლიერებას რომ თავი დავანებოთ, კომუნიზმის მშენებლობისთვის ხანში, მარილის და ასანთის გარეშე დავრჩით!..

ამხანაგი ქვეყნის აშენებას კი 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა..."

ძვირფასო მეგობრებო! მეცნიერ კაცს, მთელი ცხოვრება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს რომ უტრიალებს, როგორ გვონიათ, რა პასუხი უნდა გავცა ამ კითხვაზე? მე ხომ აქ კონკრეტულ პასუხს ვითხოვ, ის კი წერს:

„უშეცდომოდ ამ ქვეყანაზე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ უვლია. ვინ ჩამოთვლის რამდენი შეცდომა დაუშვეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა და მათმა ლიდერებმა..."

გრიგოლ ბატონო, მე ყველა ჩემს ოპონენტს ხულული ვეონევარ, მაგრამ იმდენი ჭკუა კი მაქვს — კარგი და ცუდი პასუხი ერთმანეთისგან განვასხვავო.

მე იმანაც გამაკვირვა, თქვენ რომ „კლასიკოსის" თავზე ხელს უსვამთ!

„რაც შეეხება სოციალიზმის გამარჯვებისა და დაცვისათვის 50 მილიონი ადამიანის დაღუპვას, ამას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ნუ დავაბრალებთ..."

რატომ, რატომ, გრიშა ბიძია, გული ეტკინებათ?

„მეცნიერების გამოანგარიშებით ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს იმდენი დაუყრობიათ... ომებში მომკვდა, რომ მათ იმ... ხელსახსრულ... ხელსაყრელი მილიონზე მეტი ადამიანის..."

„ეს რა პასუხია, გრიშა ბიძია, ეს რომ კომუნისტების აზრთვლების მომხრე მიმართვის, იმ... ფუნდამენტი მაგალითის მოტანაც შეიძლება! —

უხსოვარი დროიდან ვინც მე-20 საუკუნემდე დაიბადა, ახლა ყველა მკვდარია!..

●

„თქვენ წერთ, რომ დღემდე არსებული ყველა საზოგადოებრივი ცივილიზაცია შრომამ, რელიგიამ და კერძო საკუთრებამ შექმნა. მარქსიზმმა ამ სამიდან ორი — რელიგია და კერძო საკუთრება, იმთავითვე უარყო..."

კი, მე ვწერ, რომ ყველა ცივილიზაცია შრომამ, რელიგიამ და კერძო საკუთრებამ შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩემი აღმოჩენილი არ არის! — კაცობრიობის არსებობის გამოცდილებიდან ვიცით!

რაც შეეხება იმას, მარქსიზმმა ამ სამიდან ორი — რელიგია და კერძო საკუთრება რომ უარყო, ეს ქვეყანამ იცის!

სხვათა შორის, „მანიფესტიდან" იცით. იქ გარკვეულად წერია:

„კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოხატონ: კერძო საკუთრე-

(დასასრული მე-10 გვ.).

## გუჩა კვარაცხელია

## ციკლიდან „მონსტრები“

1

ვიღაცამ წარმოიდგინა,
რომ ქალი, რომელიც ახლა მარმარილოს კიბით ჩამოდის,
პარის მარცხენა კიდით რომ იღიმება,
კაცებამოა.
გულთამპყრობელი კი არა — ნამდვილი კანიბალი.
ამ პატარა, ოდნავ ლილისფერკუდრუხ ტუჩებს,
მანდარინის ციცქნა ლებანს რომ ძლივს გაატარებენ,
ვეშაპის მადა აქვთ.
სამილდათოთხა კბილი, ხიწვებივით წვრილი და
ფოლადის ნემსებივით გამძლე,
უნდა ნახოთ, როგორ ანკუწებს,
ანამცეცებს,
ფქვავს მსხვერპლს,
რომელსაც წინასწარ ალბობს შხამში,
როგორც ობობა — ნადავლს.
სამრაული მოწილება ჯერ კიდევ მანამ იწყება,
სანამ გაუმაძღარი მუცლის ღრუში მოხვედრობდეს.
ვაი, დამარცხებულო! — იტყოდნენ ძველები.
თვალები, შავი ფანქრით შემოხაზული,
(ტუშისა და ფერუმარილის ზომიერი გამოყენება
მას აქეთ დაიწყო, რაც გაუქმდა ყოფის რიგორისტული სტილი),
იქნებ ლამაზებიც კი იქნებოდნენ,
სხვის თავის ქალაზე, სხვა ფოსოებში რომ ისხდნენ,
მაგრამ ისინი იმ ნახევარსფეროების ხარკლები არიან,
სადაც ხაფანგში გაბმული ნადირი ღმუის,
ჯოჯოხეთი ჩაფლულის საზარელი ყვირილი ისმის,
სადაც ხარწყულებულს აბინძურებენ,
მწყურვალს კი აგონიაში ელანდება,
როგორ ისხმება წვიმა დამშრალ ენაზე.
ამიტომ არის, ამ თვალების ენერგიით შექმნილი,
უჟანგბადო ველი ადგილზე ამწვავს ყველას,
ვისაც შეიყვარებს.
ლამის რაყამ მაინც ამოხეთქოს ტვინის ხვეულებში,
ან ჯამბმა ამოიწონწოს მეთაბი,
რომ იქიდან საშინელი სიცხოვლე გამოდევნოს
და წითელმდოლმა თვალებმა
ფილერული თვალთვალი წუთით მაინც შეწყვიტონ,
მაგრამ არა!
თვალებწრუპულა მაშინაც არ მოხულია,
როცა დამშრალ შადრევანზე იჯდა, ნაკადმა უეცრად ამოხეთქა,
და ძალიან მაღლა აისროლა;
არც მაშინ, წყალი რომ ახვე უეცრად დაწყდა,
და მიხვდებით, რაც დამართა;
თავბრუ არც მაშინ დახვევია.
ეს, კაცმა რომ თქვას, მშვენიერი ხილვაა,
ფილიგრანული თითებითურთ,
აფერისთვის კრილ-დ მოხილი,
მარწუხებად იქცევა განწირულის კისერზე,
ოდნავ გვერდზე გაშვერილი ნეკი,
უშეცდომოდ აგნებს სადილე არტერიას.
უმრიცხლესაც ვერ დაარქმევ ამ ხელებს.
ნიბებზე ისეთი კოცრები აქვთ,
ბებრებს აღარ უჩნდებათ;
მთელი ცხოვრება წყალს ნაყავდნენ, მაგრამ ისეთს,
ბუშტებად რომ იქცეოდა,
ორთქლად ადიოდა და
უპრავნელად იდგმებოდა თავზე დამშრალს.
ხმა, თავზარდამცემი ინტონაცია რომ არა,
ტურანდოტის პარტიასაც კი იმღერებდა კალასთან დუეტში,
ბოლოს და ბოლოს, ძლივს რომ გალღვა პრინცესა.
მაგრამ, მხოლოდ მარშები რომ უჩვილებს გულს?!
(ერთ დიდ ხელოვანსაც ატირებდა მარშის ჰანგები,
ოღონდ ის ბოშურ სიმღერებზეც იცრემლებოდა).
ო, ეს ხმა ზოგჯერ ისეთ მიზანსაკის იწვევდა,
რომ რიხტერის შკალით ვერ გაზომავდი!
თქვენ რომ გაგეგონათ, რა ამბავი დაიწყო,
როგორ შემოაბრუნა ქუჩიდან ახალგაზრდა ქალი,
რომელიც შემკრთალი, დახვეულებულ მკერდს ხელით იფარავდა,
(ხიდში ამბობს: „ფერმური ძუძუები აუტორიანში"),
ორ ცეცხლშუა მყოფს მანამ ვერ გაებედა შინ წასვლა,
სანამ ეიფორიას რძე არ გაიქცა ჩვენსკენ.
ძალიან სიტყვიან, რომ ხადმე რამიმე წაეკითხოს,
იაკობინელთა პლებსური დიქტატურის შესახებ,
მაგრამ, ინტუიციით ნამდვილად იცის!
ვერც იმას დაუკარგავ,
ახეთი ფეხმუნიჯი, უკანასკნელ რომანტიკოსთა
„რაბინდრანის რეჟიმი" რომ ელანდება უგულგან.
ამა, სიცოცხლე მაშინ უნდა ნახოთ!
ტოტალური კონტროლის
გამოცდილი კომპიუტერი
გაფაციცებით ამოწმებს უველაფერს
თავის წყლულების ხელს.
მართალია, ბოლოხან მოიწყინა, დახეტიალდა,
მაგრამ იმედი არ დაუკარგავს.
ზოგჯერ მგონია — პლურალიზმი კლერიკალი,
რომელიაც ბაგეების ბოლოთამზე, ბოთამბები
და მოისვრიან, როგორც მობეზრებულ თავშესაქცევარს.
ჩამოდის ახლა ეს ქალი მარმარილოს კიბეზე,
უნიფორმის მოტრფიალე, ჟილ ფაუშის კაბის შრიალით,
და ნეკერმანის წვრილქუსლა ფეხსაცმლის კაკუნით,
თან ნაღველიანად ფიქრობს:
„ვის ხელშია ხელისუფლება!"
ყველამთელის უკეთესი კი იქნებოდა,
ყოველი ნაბიჯის ჩამოსვლაზე,
დაატყობინებს,
დაატყობინებს,
დაატრიალებს,
ყვავილის ფხიჩანს, იქცის,
შეურწლდებს კიბის პარმთელი საფეხურის ქვეშ,
და იქ განაგრძობს ცხოვრება მტვრად.

2.

როცა შენს ოთახში ფარდაგზე აბიჯებ,
როგორი ხაომოთელლიეც უნდა იყოს,
მაინც გრძნობ ხითბოსა და ხიბლოებს.
ტირეთის კომფორტიც კომფორტია,
რომელსაც მსუბუქი, ზედაპირული ეიფორია მოაქვს,
სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ დაგავიწყდეს, —
ფარდაგის ქვეშ შეიძლება ხოჭოა შემძვრალი,
მუხლუხო, ჭიანჭველა ან შემთხვევით მოხვედრილი
ხვლიკი, ხაწვიმარ ღარს რომ ამოჰყვა მიწიდან,
მოკლედ, — არსება, რომელსაც ყოველდღე ადგამ ფეხს,
უნებურად ტანჯავს აყენებ ისე,
რომ არც კი გესმის მისი წრიპინი.
მიდიხარ, მოდიხარ. ბოლთას სცემ. ფეხებს აბაკუნებ,
მუსიკის ჰანგებს აყოლილი. ტკეპნი ფარდაგს.
შენ ხომ არ იცი, რომ ვიღაც ცხოვრობს შენს ბინაში,
ჩაუწერლად, ფართის უფლების გარეშე... ისე პატარა,
ისე საბრალო, ისე უსუსური და უპატრონო.
არ იცი, მაგრამ როცა ერთ მშვენიერ დღეს უეცრად დაინახავ,
ფარდაგიდან გამოჩრილ ხაცეცებს, რომლებიც
ჯერ ბეწვები გგონია, დაიხრები და გაოცებული
სინათლეზე გამოიყვან პაწაწინა მხეცს,
რომელსაც თვალები აცაბაცას გაურბის,
შიშნაჭამს ენა მუცელში ჩავარდნია,
და ისე ამოხდის სლოკინი პირიდან,
როგორც ჰაერის ბუშტები აკვარიუმის ბინადარს,
მაშინვე წყალს დაუდგამ ხაჩითურით, პურს ჩაუფშვნი,
სტაფილოს ნაფხეკს მოუფცქვნევ ფარდაგზე და თვალს მოარიდებ,
რომ არ შერცხვეს,
არ მოეჩვენოს, თითქოს ლუკმას აყვედრიან, არ იუკადრისოს.
თვალს მოარიდებ და განაგრძობ შენს საქმეებს.
მიდიხარ. მოდიხარ. ოღონდ უფრო ფრთხილად აბიჯებ ოთახში,
ჰადრაკულად, როგორც ძველინდურ დაცვაში.
ის კი ფეხზე გაცოცდება, რომ თასმები შეგიხსნას, ხამლი გაგხადოს.
დიდი მაქციერა ვინმეა!
როგორი ამბით გარბის შენი ქოშებისაკენ,
რა ხახაცილოდ მოხვანცალებს!
მოგირბენინებს ფეხსაცმელს, დაგიწყობს ტყუპად და უსიტყვოდ
მოგჩერებია.
იქნებ რძე უყვარს?
ყვარებია!
როგორ ხვრეპს, როგორ ხვრეპს საცოდავი!
კიდევ კარგი, რომ მიხვდი!
„— ტკბილი ხომ არ გინდა, შე სულელო, ცუღლუტო?..."
ნეკა თითზე იწვეთებ თაფლს და ღიმილით უცქერი,
როგორ გეწებება ხაცეცებით, გილოკავს ფრჩხილს,
და დანაყრებული სიამოვნებით ქსინავს...
მიდიხარ. მოდიხარ.
და ერთ მშვენიერ დღეს, ოთახში შემოსული, რას ხედავ! —
სკამზე არ წამოსკუპულა!
ტელევიზორი ჩაურთავს და შენს სიგარეტს აბოლებს!
რა მოგივიდოდა? კინაღამ სიცილით მოკვდი!
როდესაც ძლივს მოხულიერდი,
საკუთარ თავს ჯაუჯავრდი და ერთი ხელი ტანსაცმელი დაუწყვე,
რათა როგორმე უგულისყურობა გამოგესყიდა.
შეხე, გამოგეპარა —
როდის დაავდო ერთი გვამი და მეორით ზედ გადაალაჯა.
ნიჭიერია, ხომ იცი!
„როგორ გაზარმაცებულხარ!" — დატუქსე საკუთარი თავი,
და ქოშების ახალებად წახრილი,
ძლივს გასწორდი წელში.
მიდიხარ. მოდიხარ. და ყოველთვის რაღაც ახალი გხვდება შინ.
ეს შეჩვენებული საოცარ მისწრაფებასა და გამომგონებლობას იჩენს.
დაუოკებელი ენერგიის კვანტებით, კვანტებს გიდებს დროდადრო.
ზომაშიც ისე თვალდათვალ იმატებს, რომ უკვე მხრის თავზე გწვდება.
უხილავ ნაპრალში გაპარულა შენი ბინის ჩვეული მყუდროება.
ერთხელაც, როცა ქილიდან ორი თითით ლანძილი ამოიღე,
და პირისაკენ გაიქანე, ლუკმა დაგაგდებინა:
„— მოუხარშავს ნუ ჭამ!
რვაფეხას უმმა ხორცმა მოკლა დიოგენე,
სიცრუეა, რასაც იერონიმე წერს!".
გაოგნებისაგან თვალები შუბლზე აგივიდა,
მერე იქიდან გადაცოცდა შენი წიგნებისაკენ.
„— დიახ, დიახ!" — გიპასუხა მუნჯურ შეკითხვაზე,
და ულვაში გადაიგრიხა,
როგორც სამხრეთის შტატის სენატორმა,
მეტროპოლიის დასაპყრობად ჩამოსულმა,
ერთხანს თავს რომ ისულელებდა.
მერე შემობრუნდა შენს ხრახნულა სავარძელზე,
და ტკაცატკუცი აუყენა საბეჭდ მანქანას,
რომლის გვერდით ასოებით აჭრელებული ქაღალდის ზვინი დგას,
„— რას შვრები! — შეჰყვირე, — ეგ ხომ ჩემი ლექსებია!"
ბეჭდვა არ შეუწყვეტია, თავიც არ შეუტოკებია, ისე გადმოგძახა:
„— ქაღალდი რომ არ დამიტოვე, შენს თავს დააბრალე!
ამ სისულელეებს, მთელი ღამეები რომ რითმავ,
მაინც არავინ კითხულობს!"
და უტიფრად ჩაგჩარა ხელში გადახაზული,
წვითა და დაგვით შექმნილი შენი ნაცოდვილარი,
გაუქმებული დღეიდან.
„— წაიკითხე, რას ვწერ შენს მეგობარ პოეტზე,
ყურები რომ გამომიჭედე ქებით!
დავთხარე თვალები! ქვეყანას რომ აბრმავებდა, რა ეგონა, აბა!
ის შენი საყვარელი მევიოლინეც გვარიანად გაგიბითურე,
პორტრეტი რომ გეკიდა საწოლთან!
ამისთვისაც მოვიცლი, ამისთვის, აგერ რომ გყავდა მიკრული!
ყველას გამოგაჭენებთ! დაგიფრთხობთ ანგელოზებს!"
თავზარდაცემულმა ცარიელ კედლებს მოავლე მზერა —
არც ერთი სურათი. არც ერთი ნახატი.
სად გააქრო? როდის გააქრო? რა უყო?
„— თავხედო, ტუტუცო!" — სწვდი ყელში და ბურანში წახვედი,
ლდიუ შიკუნის თითები მოგელანდა, შენელებულად მოძრაობდნენ
კლავიატურაზე, თქრიალით გახდიოდათ სისხლი.
გონი დაკარგე.
ალბათ დიდხანს იყავი ასე, რადგან თავი რომ წამოსწიე,
გაშლილი სუფრიდან შეზარხოშებულის შეძახილი შემოგესმა:
„— ჩემმა მდგმურმაც გაილვიძა!
შემოხწრებულის სადღეგრძელო დავლიოთ, ძმებო!"
საზარელი გნიასი, მქისე ხმაური და ენითაუწერელი ჭყვირილი ატყდა;
მუშტების ხათქახუთქი მაგიდაზე, თეფშებზე დანებისა და ჩანგლების
რაკუნი,
ჩლიქების გამაყრუებელი ბრახაბრუხი,
ხორხოცი, აუტანელი ხორხოცი!
გრძნობა რომ ისევ არ დაგეკარგა, გარეთ გამოვარდი,
კიბეზე ჩამოჯექი, ხელებში თავჩარგული...
...გულის გადამლევი მოლოდინით ქანცგაწყვეტილი,
ფიქრობ: როდის დამთავრდება ეს საშინელება?
მართლმსაჯულება მოაღწევს, როგორ არა!
მაგრამ ძალიან ნელა, ფეხაკრეფით და მოკრძალებით მოძრაობს,
აუჩქარებლად მოდის.
ყველაფერს კი ის აჯობებდა,
თავის დროზე აგეწია ფარდაგი და ერთი მამაპაპურად
გ ა მ ო გ ე გ ა ვ ა!



# ვანო ჩხიკვაძე

# ორი მოთხრობა

## მერის ყვავილები

შემთხვევით შევხვდი. ნელა აძრულ ვაგონს მოსდევდა, ცდილობდა სახელურისათვის ხელი ჩაევლო და საფეხურს შემოხტომოდა. ამ ჩანაფიქრის აღსრულებას ღია, მოყინული ბაქანი აძნელებდა. ადამისდროინდელი, შავად გალაქული, მაღალქუსლება „მოკასინი" შეიძლება გასცურებოდა... ბოლოს მაინც იმარჯვა, სახელურს ჩამოეკონწიალა, მეც შევეშველე და თავის პორტფელიანად ტამბურში აღმოჩნდა.

— რა მოუვიდა ამ უპატრონოს, — ყურთან მიიტანა საათიანი მაჯა, — ლამის არ დამაგვიანდა?.. კიდევ კარგი... არა, ნამდვილად შენა ხარ, თუ თვალი მატყუებს? — შემათვალიერა გახარებულმა, — აი, შეხვედრა... სად დაიკარგე, ეგრე უნდა ძველი ნაცნობების დავიწყება? როცა ჩამოდიხარ, რა მოსდება, მეც გამისხენო... შენი ამბავი მესმის და ძალიან მიხარია. იცი, ტყუილს არ გეტყვი...

— არ ჩამოვსხდეთ? — გავაღე კარი.

— თუ არის ადგილი... — ქუდი იქვე დაფერთხა, დამდნარი თოვლის წვეთები გააყრევინა, შავ, გამოყვანილ პალტოში გამოკრული მხრების რხევით ვაგონში შევიდა. პალტოს მარჯვენა ჯიბიდან საგულდაგულოდ დახვეული გაზეთები მილიციელის ხანიშნებელი ჯოხივით ამოსჩროდა.

— მე ძველებურად ვარ, — მითხრა დაჯდომისთანავე, თუმცა, არაფერი მიკითხავს, — ბოლოს რაიონის კულტურის სახლში დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი... მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი სამსახურეობრივი კარიერის პერი... თავი შევარტყი და გავჩერდი, — გაიღიმა მეჩხერი კბილებით და თითქოს მართლა შეარტყა, თავზე ხელი გადაისვა, აშლილი ჭაღარა თმა თითების ჩვეული მოძრაობით მარცხნიდან მარჯვნივ გადაიწყო.

„ულვაშიც კი გახთეთრებია, თუმცა, მაინცდამაინც ხნიერი არ უნდა იყოს".

— ორმოცდათერთმეტის შევსრულდი, მეექვსე ათეულს უკვე ერთი წელი ჩამოვატეხე, — გამოიცნო ჩემი ფიქრი, — გაჰქონდა ნახევარი საუკუნე... როგორია! — დამკრა მუხლზე ხელი, — ორმოცდაათი წელიწადი ორი გენიოსისათვის იკმარებდა, მე კი... აფსუს, ჩვენ რომ პირველად შევხვდით, ოცდაექვსი წლის ფანტაზიორი ვიყავი... ის წლები დამიბრუნა, ახლა კი ვიცი, რასაც ვიზამდი.

— ეჰ, ბატონო გრიშა, დრო უკან არაფერს აბრუნებს.

— მაშ, კაცო, არაფერს! — თავი გადააქნია კოპშეკრულმა, — მარტო მიაქვს და მიაქვს.

— მადლობასაც არ ამბობს.

— გაგიგონია!..

გრიშა პატარქალიშვილი მასწავლებელთა სახლში დრამწრეს ხელმძღვანელობდა. რეპეტიციებს ხან ბიბლიოთეკაში, ხანაც დირექტორის კაბინეტში ატარებდა, რომელსაც დიდსულოვნად გვითმობდა ხოლმე ქალბატონი ელენე.

დირექტორი ზოგჯერ თვითონაც გვესწრებოდა, ყურადღებადქცეული გვისმენდა და არცთუ იშვიათად, აქტიურად ერეოდა კიდეც რეპეტიციის მსვლელობაში, რაც რეჟისორის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონ გრიშასთვის ეს აღშფოთება მხოლოდ სახის დაფორაჯებაში, ანდა ფანქრის გადაღრღნაში გამოიხატებოდა, რაც, ცხადია, დირექტორის შეუმჩნევლად ხდებოდა.

გრიშა განსაკუთრებით მაშინ ცოფდებოდა, როცა ქალბატონი ელენე პომადიანი ტუჩების პრუწვით დაიმოწმებდა ხოლმე:

— რას იტყვით, ასე არ არის გრიშა ბატონოვო?

გრიშა კბილების კრაჭუნით გახმოვანებულ ღიმილს შეაგებებდა, ხელჩაქნეული კაცის გამომეტყველებით დაუქნევდა თავს და როგორც კი დროს იხელთებდა, თვალებს გადმოგვიტრიალებდა ხოლმე.

მოკლედ, ცხენს ვერაფერს აკლებდა და ჯავრს უნაგირზე იყრიდა.

ელენეს ნაძალადევი, ირონიული „ბატონო" ხომ პირდაპირ ფხასავით ეხირებოდა ყელში, კლავდა, სიცოცხლეს უმწარებდა.

ვინ იცის, რამდენჯერ დაუპირებია ეთქვა, მაცალეთ, ჩემ საქმეს მე თვითონ მივხედავო, მაგრამ კარგად მოეხსენებოდა, რომ ქალბატონი ელენე შეპასუხებას ვერავისგან იტანდა, მითუმეტეს, ხელქვეითს არ მოუთმენდა. მასწავლებელთა სახლის ციცქნა სცენაზე წარმოდგენას ხორცს „ვინ შეახხამდა", გრიშა, პეტრე თუ პავლე, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეეპასუხებოდა თუ არა, ქუდიც დასახურავად მზად უნდა ჰქონოდა.

მეტი რა გზა იყო, ითმენდა, ცდილობდა წყენა ისე გადაეყლაპა, რომ ყელზე არ დასდგომოდა.

თეატრზე შექანებულ, დიდ სცენაზე მეოცნებე გრიშას, ცხადია ბევრს ვერაფერს მისცემდა ჩვენისთანა ცხვირმოუხოცავ, ბლუყუნა მოყვარულებთან ჩატარებული რეპეტიციები, მაგრამ თავის ჭიას მაინც ახარებდა, თანაც ორიოდე კაპიკსაც იღებდა და მოკლედ ამ ორი ფაქტორის გამო „ჩიტი ბდღვნად ღირდა"...

ქალბატონი ელენე ბოლომდე არ რჩებოდა, ყელზე მოხვეულ ჰრელ, გამჭვირვალე თავსაფარს კეკლუცად გაიბანტავდა, თვალის უპესთან გაჩენილ ნაოჭებს თითქოს ეფერებაო, ფაქიზად გადაუსვამდა თითებს და მკლავზე ხელჩანთა ჩამოკიდებული წაბაკუნდებოდა.

დირექტორის წასვლის მერე ხელებში თავჩარგულ გრიშას, ხშირი, აჭაგრული თმაც კი ავად უბზინავდა.

მაშინ წამლად ვერ უნახავდი ჭაღარას, ახლა კი...

— არაფერი გამოვიდა... ნიჭი, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ თუ პატარა იღბალიც არა გაქვს...

— ვიღაც წერდა, იღბალიც ნიჭიერ კაცს დაუყვებაო...

— უმაგისოდ ვერ გამოჩნდები და ამტკიცე მერე, ნიჭი არ მაკლდაო, — აიმრიზა ჩემს ნათქვამზე.

— იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ვეთანხმები...

— არც უნდა დაეთანხმო!.. ტრაბახად ნუ ჩამომართმევ, აგერ გუყავარ ცოცხალი მაგალითი... „ვეფხისტყაოსანიც" კი გასცენიურებული მაქვს, ისე ვხედავ, როგორც აი, ამ ხუთ თითს... ხო იცი, ერთმა ბრძენმა რა თქვა, მომაძებნინეთ სამყაროს ცენტრი და დედამიწას გადავაბრუნებო, მომეცით მეც საშუალება და მერე ვნახოთ... ვნახოთ...

— ტარიელს ვის ათამაშებ? — დაეჭვებული ხმით ჩაეკითხა უკანა სკამიდან მოყურადებული მგზავრი.

— რა ბრძანეთ? — მიხედა გრიშამ.

— ტარიელს ვის ათამაშებ-მეთქი.

— გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თქვენ რომ არ იქნებით ის „ბედნიერი", ეგ კი ნამდვილად ვიცი! — მიუგო უკმეხად და მე მომიბრუნდა, — ბიჭოს, კაცს აღარ დაგალაპარაკებენ!

მგზავრი ნაწყენი შებრუნდა.

ვიდრე ჩამოვიდოდით, სულ გრიშა ლაპარაკობდა, მე კი ვუსმენდი. ხანდახან გულისყური გამექცეოდა, პატარქალიშვილის მონოტონური ხმა მიიკარგებოდა ხოლმე და მხოლოდ აქანავებულ ხელებს ვხედავდი, მაგრამ მგზავრების ცნობისმოყვარე სახეები მაფხიზლებდა, ყურადღებით რომ უსმენდნენ „ვეფხისტყაოსნის" დადგმაზე მეოცნებე უოფილ რეჟისორს.

— არა, მთავარი მაინც იღბალია! — დაასკვნა „შთამბეჭდავი" მონოლოგის ბოლოს და წამოდგა.

ერთმა მგზავრმა გრიშას მისამართით მეორეს რაღაც გადაულაპარაკა და საფეთქელთან საჩვენებელი თითი დაატრიალა.

საბედნიეროდ, თითის მოძრაობა პატარქალიშვილს არ შეუმჩნევია.

სადგურზე ჩამოვედით. გაჩერებისაკენ გავიწიე, მაგრამ ვინ გაგიშვა, შენთან საუბარი მომენატრაო, ჩამავლო ხელი და სარდაფში ჩამიყვანა.

ოფიციანტმა ორი ბოთლი ცივი ღვინო, მწვანილი, ყველი და მწვადი მოგვიტანა.

პალტო არ გაგვიხდია, მორყეულ მაგიდას ეგრ[illegible], მობუზულები ვუსხედვართ. იატაკის ფილები მკრთალ შუქზე ზეთიანივით პრიალებენ. მებუფეტე მსუქან ტუჩებს აცმაცუნებს, საანგარიშოს კოჭებს წკაპაწკუპი გააქვს... ეტყობა, კმაყოფილია დახლიდარი, ქერათმიან მიმტანს ილლიასთან სალოკი თითი მოუცაცუნა და იმანაც გაცვეთილი, უსიამოვნო ღიმილი შეაგება.

პირველი თოვლი მოდის. ღმერთმა იცის, ვისთვის პირველია და ვისთვის უკანასკნელი... მინდა ჩვენთვის კიდევ დიდხანს ითოვოს... გახსოვს, მასწავლებელთა სახლის კედლის გაზეთში შენი ლექსი რომ იყო: „თოვლი. დუმილი. დუმილი. თოვლი. ისევ თოვლი და ისევ დუმილი, ცოტაც და ღამე ივსება მთვარით, ვარსკვლავებით და მგლების ყმუილით"... დღემდე მომწონს. მეც არ ვიცი, რატომ, — თვალები უხველდება გრიშას, — სამწუხაროდ, „მე არ ვწერ ლექსებს", სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს... მითხარი, ჩვენს დროში გულწრფელი სიყვარულიც ხომ რაღაცას ნიშნავს?

— რა თქმა უნდა, რაღაცას კი არა...

— ჰოდა, ეგრე... მე თუ რეჟისორი ვერ გამოვედი, ეგ სულაც არ არის ტრაგედია, უბედურება ის არის, რეჟისორები, მხატვრები, მწერლები რომ ჰქვიათ და აი ის თოვლი არ უყვართ, ადამიანი ეჭავრებათ, ისე გადაგვლიან, ვითომ შუშას გადაალაჯეს... გესმის? მე ხადლაც დამზადების კანტორაში ექსპედიტორად უნდა ვეგდო, ისინი კიდევ... რა მექნა, კუჭგამხმარმა ველარ ვიარე, ვაიძულე ჩემი თავი. ისე, რაღა დაგიმალო და, მაინც იმედი მაქვს, ისეთი კარგი ფიქრები მიტრიალებს თავში, იმდენი სპექტაკლის მიზანსცენას ვხედავ... „ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ"... — დაიძახა ჭიქაშემართულმა და ყველამ ჩვენ მოგვხედა.

მე, ძველი, მოდიდან გასული „მოკასინებით" რომ მოსდევდა ვაგონს ის მახსენდება, ვხედავ მაგიდის ქვეშ აცმუკებულ წვერიან ფეხსაცმელებს, ნაღველი მიპყრობს და ნაძალადევად ვუღიმი, ვცდილობ, სიბრალული არ დამეტყოს სახეზე. იგრძნობს და გული ეტკინება.

ახლა საიდანმე ქალბატონი ელენე რომ გაჩნდეს, თავისი „დამაშამათებელი" ირონიით რომ ჰკითხოს, მაგ მოკასინების პატრონი, რომელ სამეფოს იძლევით, გრიშა ბატონოვო, ნეტავ რა დაემართება?

— მერი გახსოვს? — ოხრახუში გაწიწკნა გრიშამ.

— ბიბლიოთეკარი?

— ჰო!

— გადასარევი ადამიანი იყო.

— იყო კი არა, არის! — გრიშამ ოფიციანტს ცარიელი ბოთლები დაანახვა.

— გვეყოფა! — ვიუარე.

— მაშინ ერთი მაინც...

— ერთს მეორეც მოჰყვება, ხომ ვიცი.

— არა, არ მოჰყვება, მერის გეფიცები!

— რაო, რა თქვი? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ცუდი არაფერი, უფლება არა მაქვს, ვინც მინდა, ის დავიფიცო? — ოფიციანტს ბოთლი ჩამოართვა და ჭიქები შეავსო, — მოდი, მერის გაუმარჯოს!.. იცი, ერთხელ შენზე რა მითხრა? არ ვიცი, მაგისგან მხახობი გამოვა თუ არა, მაგრამ, საერთოდ, ძალიან ნიჭიერიაო...

— კარგი, ერთი...

— სახლში არ მივიდე ცოცხალი...

— გაუმარჯოს მერის!

— განა მე სხვა რამე ვთქვი? — ნაღვინევი თვალები მოწკურა, ჭიქას მონდომებით ჩააცვირდა, — მართლა ანგელოზი იყო და ანგელოზად დარჩა... ეტყობა, ადამიანი როგორიც დაიბადება, იმად რჩება ბოლომდე... გაუმარჯოს!..

ფილაქანზე სკამები ხმაურით გავწიეთ. გრიშამ ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და თავისებური რწევა-რწევით წინ გამიძღვა, ხელჩანთა კი ციმციმ მიჰქონდა, იფიქრებდი, შიგნით წყლით გალიცლიცებული ჭიქა უდგას და ეშინია, არ დაიღვაროსო.

— არ გეგონოს, ღვინო მალაპარაკებს, — გამომდო მკლავში ხელი, — მერი ხო მართლა კარგად გახსოვს?

— გინდა აგიწერო... ხშირად მწიფე შინდისფერი ჯემპრი ეცვა, შუაზე გადაყოფილი თმა და ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა.

— ყოჩაღ, მართლა გხსომებია, — შემაქო გრიშამ.

— ეზოს მხარეს რომ ფანჯარაა, იქ უყვარდა დგომა... დაიკრეფდა გულხელს და გაირინდებოდა...

— მაგაშიც მართალი ხარ!.. რასაც ახლა გეტყვი, იცოდე, ჯერ არავისთვის მითქვამს: მერი მომწონდა... ხან ვფიქრობ, ჩემი ხელის მოცარვა იმის ბრალია-მეთქი... მერი რომ არა, ამ პროვინციაში ხომ არ ჩავიხრჩობოდი, სხვებივით მეც მოვინახავდი ჩემს გზას, — საწყლად შემომხედა, — სისულელეს ვბოდავ, არა?.. სალოცავზე საყვედურით არ ლაპარაკობენ...

— იცოდა?

— საიდან, მე არ მიგრძნობინებია და ვინ ეტყოდა... ანდა როგორ შევბედავდი, განა სარკეში არ ვიყურები, — ამოიოხრა დანანებით, — მეც ასე დავრჩი და არც თვითონ გათხოვდა, ძმისშვილებსა ზრდის, იმათზეა გადაყოლილი... გინდა ვეხტუმროთ? ძალიან გაუხარდება შენი დანახვა, ხიდთან რომ ახალი სახლებია, იქ ცხოვრობს... აგერ, ტაქსი და მაგის ჯანი... გეხვეწები, უარს ნუ მეტყვი, ბაზარში შევირბინოთ, ყვავილებით ხელი დავიმშვენოთ და მივადგეთ...

— გრიშა! — მოისმა ამ დროს მძიმე, მოგუდული ხმა.

გრიშამ ცივად გამიშვა ხელი და რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერებულ მანქანას მიხედა.

მანქანაში მჯდომმა, თვალმოჭუტულმა კაცმა თითი დაუქნია, მოდიო.

ჩემს თანამგზავრს სახე შეეცვალა, გაუქრა წელანდელი რიხი, ჩამოწეულ ფანჯარასთან სწრაფად მიცუნცულდა და მოხრილმა შეიხედა.

დამძახებელს, ეტყობა, ღვინის სუნი შეაფრქვია.

— დალიე? — უკმაყოფილოდ შეიშმუშნა მსუქანი, აპარხლებულსახიანი კაცი.

— ცოტა, — ოდნავ უკან დაიწია პირზე ხელმიფარებულმა გრიშამ და ჩემზე ანიშნა, — დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა... თქვენც გეცოდინებათ, ჩვენი ქალაქის სიამაყო...

— საქმისა რა ქენი! — ის[illegible] კაცმა, ვითომ შენთან ლაი[illegible] მაქვსო.

— უარი გვითხრეს... ვიდრე რევიზიის დასკვნებს არ მივიღებთ, განაღდების უფლებას ვერ მოგცემთო...

— მერე ქეიფის დრო გაქვს, შე ვირიშვილო?.. მე აქ ცეცხლი მეკიდია, ეს კიდევ... მოდი, ამბავი მაინც გამაგებინე, აღარ მეკითხები მექეიფება თუ არა?.. ფუი! — მანქანა მოწყვეტით დაძრა.

გრიშას გუბეში ჩაჭყაპუნებულმა უკანა საბურავმა, ერთმანეთს მიტყუპებულ „მოკასინებზე" ტალახიანი წყალი გადაავლო.

გაუჭირდა ჩემკენ შემობრუნება, სახეში შემოხედვა. მოკვდა, გათავდა, ტყვიასავით დამძიმებულმა ხელჩანთა ცალ მხარეს დაჭაჩა და დატუქსული ბავშივით უკან გამომყვა.

— ჩემი უფროსია, — მითხრა კარგა ხნის სიარულის შემდეგ, — რევიზია უზის და ძალიან არის გამწარებული, თორემ, იცი, რა კაცია, სულში ჩაგიძვრენს... არც გაემტყუნება, ხომ იცი, ისეთი საქმეები აბარია... მაგის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი...

— არ ჰირდება შენი პირის მოწმენდა... ნაძირალაა ეგ შენი უფროსი, გრიშა! — შევაწყვეტინე გაბრაზებულმა.

არაფერი უთქვამს. ისე დავცილდით, წარსულზე კრინტი აღარ დაუძრავს. რა თქმა უნდა, აღარც ბაზარი გახსენებია... მერის კუთვნილი ყვავილები, ალბათ, სხვამ წაიღო.





## მეფე

რკინის ალაყაფი დაუზეთავი ანჯამების ჭრიალითა და კვნესით დაიძრა. ფარების შუქი ჩაბნელებულ ეზოს მოეფინა.

ბაკურმა გვანიშნა, შეგიძლიათ შემოხვიდეთო და ვაჟამ ნელა შეაგორა მანქანა. სინათლემ ეზოს სიღრმეში გადაინაცვლა, ვარდის ბუჩქები და ხურმის დახუნძლული ტოტები გაანათა.

ქარმა ახალი ძალით დაუბერა, შეარხია ხეები, დაბზარულ ბეტონზე რბილად, ერთმანეთის მიყოლებით დაცვივდნენ კომშები, სინათლეზე ყვითელი თაგვებივით გაილანდნენ და კედლის ძირში მიხვეტილ ფოთლებში გაუჩინარდნენ.

ჭიშკარი დავხურეთ, გავუყარეთ ჟანგიანი ურდული და მერელა ავხედე ფანჯრებჩალამებულ, ხვიარით დაფარულ კედელს. ქარი ამაოდ ცდილობდა უთვალავ წვრილ ტოტად დაქსელილი მცენარის კედლიდან აგლეჯას, ხვიარა თავგანწირვით ებღაუჭებოდა, ეკვროდა, ეწებებოდა ქვითკირს.

საკეტმა გაიჩხაკუნა. ბაკურმა ხელს ფეხის წვერიც მიაშველა, უმოძრაობით თუ ნესტით გაფართოებული, ჩარჩოში გაჭედილი კარი შეაღო და წამით ოთახში ჩაგუბებულმა სიბნელემ ჩაყლაპა.

ბაკურმა ჩამრთველისკენ გაწვდილი ხელი დაუშვა და სევდიანი ღიმილით შეგვიპატიჟა.

ვაჟამ მხარზე მიბიძგა.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი! — გადავაბიჯე ზღურბლზე.

— გაიხარე!.. ხედავ, როგორი უსინდისო ვარ, აქამდე არ უნდა ჩამომეყვანე? — საჩვენებელი თითით სათვალე შეისწორა და ხელი მომხვია, — ვაჟასი არ მერიდება... აი, შენ ხომ მაპატიებ, ასე გვიან რომ შეგაწუხე... დღეს არ მქონდა უფლება სახლი გამოკეტილი მიმეტოვებინა... ამ შუაღამისას წოწიალს ვიცი, ოჯახში გერჩივნა, მაგრამ...

— გზაშიც გითხარი, ნუ მებოდიშებიმეთქი.

— ჰო, კარგი, ვჩუმდები, — პირზე მიიფარა ხელი, — კრინტს აღარ დავძრავ...

— რას გავს აქაურობა, ამ ნაგავში დავსხდეთ? — იკითხა ვაჟამ.

— რატომ, უცებ მივალაგოთ, ბუხარი ავანთოთ... — ბაკურმა წაქცეული სამფეხა წამოაყენა, დაბალ, ნაცრისფერ მუშამბაგადაფარებულ მაგიდას მიუდგა.

მაგიდაზე შუშაგამურული ლამპის გვერდით დადგმული პაპიროსის ნამწვავით სავსე საფერფლე ნაცრის ჩასაყრელ ვედროში ჩავცალე და ერთხანს კარი ღია დავტოვე.

ნიკოტინის სუნით დამძიმებულ ჰაერს, თანდათან სუფთა ნაკადი შემოერია.

საკმაოდ მოზრდილი დარბაზის დაფანერებული ჭერი დედაბოძს ეყრდნობა. სამი კედელი ბუხარს, თაროებს, გაცრეცილ ხალიჩაგადაფარებულ ტახტს, ძველებურ წიგნების „ეტაჟერკას" უკავია. მეოთხე კედელში სამზარეულოს შუშიანი კარია ჩასმული. აქვეა მეორე სართულზე ამავალი ხის მოაჯირიანი კიბეც.

მაგიდა გადმოვასუფთავეთ, იატაკი მოვგავეთ. ვიდრე ბაკური პურს დაჭრიდა, პარკიდან ამოღებულ სანოვაგეს თეფშებზე დაანაწილებდა, ჩვენ ბუხარი გამოვხვეტეთ, აქანდაზით გამოვასუფთავეთ, წვრილად დაჭრილი ხმელი შეშა ავაკოკოლავეთ, ძირში დაკუჭული გაზეთი შევუჩურთეთ და ცეცხლი ავანთეთ.

ვაჟამ მანქანიდან ღვინით სავსე ქილა გადმოიღო და შინ შემოიტანა.

— სად დავდგა?

— რაც შეიძლება ბუხართან ახლოს, რომ მალე წამოდუღდეს, — გაეცინა ბაკურს, — ვიდრე მამაჩემი ცოცხალი იყო, სუფთა ყურძნის წვენი ყოველთვის გვქონდა... ეს არ ვიცი, როგორია, ღვინის სარდაფში ვიყიდე... მართალია გამყიდველმა თვალი ჩამიკრა, გამომყეო და სულ სხვა კასრიდან ჩამომისხა, მაგრამ მაინც მგონია, იქაც იგივე ღვინო იყო, რაც დანარჩენებში.

— მაშ რაღას მიჰყვებოდი ვიღაც აფერისტის თვალის პაჭუნს?

— გაიგებ? — მხრები აიჩეჩა ბაკურმა, — სულ ვეჭვობთ, რომ გვატყუებენ, ზედმეტს გვახდევინებენ, უხარისხოს გვაძლევენ... პატიოსნად რომ მოგვექცნენ, მაინც გულს გვაკლია... აი, ახე, თვალის პაჭუნით შენც კმაყოფილი ხარ, და ისიც... რა ვქნა, იმის სინდისზე იყოს...

— რომელ სინდისზე, რომელიც არ გააჩნია? — ვაჟამ ჭიქაში ჩამოსხმულ ღვინოს სინათლეზე გახედა, დააჭაშნიკა და მე გადმომილოცა.

— როგორია? — მომაჩერდა ბაკური.

— გემოთი არა უშავს... დანარჩენს დილაზე გეტყვი.

— მაშინ ბარემ შეშაც მოვიმარაგოთ, გარეთ გასვლა რომ აღარ დაგვჭირდეს და დავსხდეთ.

მე და ბაკურმა ხეივნის ქვეშ გადგმულ ხის გრძელ მაგიდას, ქარისაგან წაყირავებულ სკამებს და კუნძებს გვერდი უხიფათოდ ავუარეთ.

— ყურძენი სულ გამოშრა... ამასწინათ ბიჭები გამომყვნენ, ჩამოვკრიფოთო, მაგრამ ისე გავერთეთ, ვილას გაახსენდა... პირველი შემოდგომაა, რაც მამაჩემი აღარ არის და დაეტყო კიდეც ყველაფერს უმისობა...

— მერე გაანძრიე ხელი.

— არ შემიძლია, გესმის? ვე[illegible] ხივამს შევწამლავ, ვერც ხეხილს გავსხლავ... ვიცი, ასე მოქცევა რომ არ შეიძლება, ვიტანჯები, მაგრამ მაინც გულხელდაკრეფილი შევყურებ, როგორ მეღუპება მამის ნაამაგარი, — აღელვებული გვერდზე შებრუნდა, ჯიბეში ცხვირსახოცი მოძებნა, — მაპატიე, დღეს მამაჩემის მეგობრები გვყავდნენ სტუმრად და ცოტა ზედმეტი მომივიდა... ყველაფერი რიგზეა, შეგვიძლია, რამდენსაც მოვერევით, იმდენი წავიღოთ, — მიმიყვანა ლობესთან დაწყობილ შეშასთან.

უკან გამოვბრუნდი, ქარი წამით მიყუჩდა, მიწაზე გაფენილმა ფოთლის შრიალმა სმენა მომტაცა, ბავშვობის რომელიღაც შემოდგომა დამიყენა თვალწინ, ერთად მოგროვილ ფოთლის „ზვინში" რომ შევვარდებოდი ხოლმე, ავაშრიალებდი, აქეთ-იქით გავშლიდი, გავფანტავდი...

ამ დროს ბაკურის ხმა მომესმა:

— პოეტებს უყვართ ფოთლები, მეეზოვეებს სძულთ... როგორ ფიქრობ, პოეტმა მეეზოვედ რომ დაიწყოს მუშაობა, ფოთოლი მაინც ეყვარება?

— პოეტს გააჩნია, — კარს მხრით ვუბიძგე და შევაღე.

შეშა ბუხრის წინ დავაწყეთ.

— მე არაყს დავლევ, — ბაკურმა სამზარეულოდან ბოთლი გამოიტანა, გვერდით მოიდგა და წელანდელი საუბარი განაგრძო, — იმათზე არ გეკითხები, მეეზოვის სული რომ აქვთ და პოეტობას იჩემებენ...

— რას ჩააცივდი ამ მეეზოვეებს?

— მაგათ არაფერს. უბრალოდ, პოეტი არ მინდა მეეზოვედ იქცეს... ვაჟა, შენ თუ გიყვარს ფოთლები?

— რა ვიცი, რატომ უნდა მძულდეს!

— ვერ ვიტან გაურკვეველ[illegible]სუხს... დაასხი!

— ჰოდა, ახე, საქეიფოდ წამოგვიყვანე, თუ... — საღვინეს მისწვდა ვაჟა.

— საქეიფოდ არა, მხოლოდ ორიოდე ჭიქა უნდა ავწიოთ, — ფეხზე წამოდგა, — ბიჭებო, დღეს მამაჩემის დაბადების დღეა, პირველი დაბადების დღე, რომელსაც ვერ ესწრება... დამილოცეთ ის პატიოსანი კაცი!

— გალიცლიცებული მოზრდილი ჭიქა ხულმოუთქმელად გამოცალა.

— თბილისში რატომ არ მითხარი?

— ამით რამე დაშავდა? — დამიბრუნა კითხვა.

— არა, მაგრამ... — დავილოცე.

— ახლა შენ თქვი, ვაჟა, შენ ხომ კარგად იცნობდი.

— ამ ბუხართან რამდენჯერ ვყოფილვართ ერთად, — წამოდგა ვაჟა, მოგესალმებით საქართველოს ძველ სატახტოშიო, გვეტყოდა ხოლმე ბაკურის მეგობრებს... სიგარეტი ყოველთვის მარცხენა ხელში ეჭირა, იშვიათად ჩიბუხსაც დატენიდა... ცეცხლს თვალს არ აშორებდა, მისი ყურება კი არ აშვიდებდა, აღელვებდა, აფორიაქებდა... როგორც ეტყობა, კაცობრიობა საბოლოოდ მაინც ცეცხლთაყვანისმცემელიაო, მითხრა ერთხელ... ამ წუთას, თითქოს ხმაც მესმის და საფერფლისკენ წაღებული მისი ხელის მოძრაობასაც ვხედავ...

— დიდი მადლობა, მაპატიე წელანდელი შეკითხვა, შენ როგორ შეიძლება ფოთლები არ გიყვარდეს, — ბაკური მეგობრისაკენ გადაიხარა და აკოცა.

— ბიჭებო, ახლა მინდა ამ სახლს გაუმარჯოს, ჩვენ რომ შეგვიფარა, კარი გაგვიღო, ლუკმა გაგვატეხინა... მგლოვიარეა საცოდავი, ერთი წელიც არ გასულა, რაც პატრონი დაკარგა... ამას წინათ ვიღაც ბიძა შემადგა, მანქანიდან გადმოსვლა არც იკადრა, სიგნალით გამომიძახა, კახპა ქალივით გვერდით დამისვა, ფუი... ქალაქგარეთ რესტორანში წამიყვანა. ზღაპრული სუფრა გაშალა, სიზილალა ჯამებით ჩაგვიდგეს, მუყარებია თურმე...

— დროზე გვითხარი, რა უნდოდა... გამოგიყვანა, ჩაგისვა, რესტორანში წაგიყვანა რა, მართლა კახპა ხომ არ ეგონე? — ვერ მოითმინა ვაჟამ.

— შორიდან დაიწყო, ეტყობა, საქმიანი კაცია და ხე[illegible]ხიანად მომიდგა, უცებ არ მომახალა [illegible]თქმელი: — აფსუს, სამართალს რა ვუთხარი, თორემ ერთ მაგიდასთან ვინ დაგვსხამდა მეფის გვარისა და გაჭირვებული გლეხის შთამომავალს, ჩემი წინაპარი რომ წამოაყენა, სიხარულით გული გაუსკდებაო, — ილაპარაკა, მიტყაპუნა მხარზე კოტიტა თითები, გაიხსენა საერთო ნაცნობები და ბოლოს ღვინოსთან ერთად შემომაპარა, ვიცი, მამის სიკვდილის მერე მაინცდამაინც არ გილხინთ, აგარაკი მომყიდეთ, მომწონს ეგ ადგილი, რასაც დააფასებ, მომცემი ვარო.

— ფულიც ჰქონია და გემოვნებაც, — გადმომილაპარაკა ვაჟამ.

— თავიდან ძალიან ვიმცხეთე, როგორ შემომბედა-მეთქი, კინაღამ საყელოში წავწვდი... იმან კი, ვითომც აქ არაფერი, როგორც წამიყვანა, ეგრევე მომაბრძანა ჩემ სადარბაზოსთან და მანქანიდან რომ გადმოვედი, მაინც დაფიქრდი, დასაკარგი კაცი არა ვარო, დამადევნა უკან...

იმ ღამეს ლამის ჯავრმა გამგუდა, უფრო იმის შეგრძნებამ გადამრია, რომ რაღაც უპირატესობა ვიგრძენი. მყარად დგას, შორს იყურება, ნერვებს არ იშლის, თუ შეაფურთხებ, მოითმენს, თავის რიგს დაელოდება... და რაც მთავარია, დიდი ფულის პატრონია... საშიშია ასეთი ხალხი, უკან დახევა არ სჩვევიათ, მათთვის, მართლა ძვირფასი, ქვეყნად არაფერი არსებობს, გარდა საკუთარი გაუმაძღრობისა... ვიცი, ან გიჟად მთვლის, ანდა ფიქრობს, რომ იმიტომ გავჯიუტდი, მინდა მეტი დავტყუო... არ ჩქარობს, იცდის, თვალს მადევნებს, ფულის ტომარაზე გადამჯდარი ჩემს ნიშანს ელოდება... ჩემთან თუ ვერაფერს გახდა, მე თუ ვერ გამტეხა, კარგად მოეხსენება, რომ ჩემი შვილს მაინც დახცინცლავს, რაკი ჩაუთქვა, მაინც აისრულებს, თვითონ თუ არა, მისი შთამომავალი შემოვარდება, ტრაქტორით გადაჩეხავს ამ კედლებს, წაგვშლის, როგორც ცარცით აჭრელებულ დაფას... წაგვშლის, რადგან ეს ჩემი გაძვალტყავებული. აღარაფრის შემძლებელი გვარი და წარმომავლობაც ეხარბება... — მღელვარებისაგან აცახცახებულ ბაკურს ხმა წაუვიდა.

— დაწყნარდი, ეგეთი არარაობა...

— არა, არარაობა მე ვარ, ის კი კბილებამდე შეიარაღებული, პატივითა და უფლებებით აღჭურვილი მძარცველია, რომელიც მოდის, მავიწროვებს, მიპყრობს... რითი უნდა დავხვდე? — მაჯები გამოგვიშვირა, — დაილალა ჩემი სისხლი, გამოიფიტა, ის შემადგენლობა აღარ აქვს, დავით აღმაშენებლის ძარღვებში რომ ჰქონდა...

— „მეფეთა წყება გაჰქრა ვით ლანდი"... მოგვწყურდა, მეფეო! — გაეხუმრა ვაჟა.

— მიუხედავად ყველაფრისა, გთხოვთ მაინც ნუ დაივიწყებთ, რომ გენეალოგიის ხაზი პირდაპირ თქვენი მონა-მორჩილისაკენ მოემართება და თუ არა ისტორიული ძნელბედობა...

— ვიცით!

— აბა, თუ იცით, მაშინ ჭიქების შევსება მიბრძანებია!

— სხვა ბრძანებების საშუალება აღარა გვაქვს და...

— დამცინით? ერთ დროს ამ მარჯვენას სამეფო კვერთხი ეჭირა!

— ახლა კი რუსული არყით სავსე ჭიქა უჭირავს.

— მომწონს თქვენი იუმორი, — მოგვმართა ორივეს ხელაპყრობილმა, — ამიტომ ამ მაგიდის ნახევარი თქვენთვის მიბოძებია.

— დიდი მადლობა, მეფეო!

— დილაზე გადავხერხავთ და წავიღებთ! ხამივეს სიცილი აგვიტყდა...

სინათლემ რამდენჯერმე თვალი ჩაგვიკრა და მერე საერთოდ გამოირთო.

ვაჟამ ლამპა აანთო.

ბაკური ისევ წამოდგა, ჩამქრალ სიგარეტს თავი მოუსრისა, ლამპის ალზე მოუკიდა და ზურგით დედაბოძს მიეყრდნო.

— მამაჩემს მაღლა ჰქონდა სამუშაო ოთახი. როცა დაიღლებოდა, სავარძელს ფანჯარასთან მიაჩოჩებდა, ჩაჯდებოდა და ხმის ამოუღებლად გაჰყურებდა თეთრი პირამიდებივით ჩარიგებულ კავკასიონის მწვერვალებს... ესეც ჩვენი გალავანიო, — იტყოდა ხოლმე, და ამოიოხრებდა... ამ გალავნის ყურებაში დაულამდა... აცხონოს ღმერთმა! — ჭიქა ოდნავ მოსვა, დამძიმებულ თავს მკლავი შეაშველა და მაგიდაზე ფრთხილად დაუშვა.

— ძალიან მოეკიდა, — წამჩურჩულა ვაჟამ.

— დავაწვინოთ!

— არ გამოგვყვება, ვიცი ამის ხასიათი. ათიოდე წუთს თვლემდა, მერე წამოიწია, ორივე ყურადღებით შეგვათვალიერა.

— ხომ გითხარით, ხეობა ჩაკეტეთ-მეთქი.

— ჩავკეტეთ, მეფეო, ჩავკეტეთ! — თვალი ჩამიკრა ვაჟამ.

— რახან ეგრეა, მაშინ მთელი მაგიდა თქვენთვის მიბოძებია!

— შენთვისაც რამე დაიტოვე, მეფეო!

— ჩემთვის?.. ჰო, მართალი ხარ... იყოს



ნება თქვენი! — არყის დანაკლულებული ბოთლი იღლიაში ამოიდო, ჭიქაში ჩადგმული სანთელი აანთო და მეორე სართულზე ამავალ კიბესთან მიბარბაცდა.

უცებ ქარმა კარი შემოგლიჯა, ჩალმის ყვითელი ნაგლეჯებივით შემოყარა ფოთლები, აამტვერა, ჩააქრო ლამპა და ბუხარი.

საშინელი სიბნელე ჩამოწვა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცები შემორბოდნენ ღრიანცელით, ყიჟინით, იარაღის ჟღარუნით, არბევდნენ, აქუცმაცებდნენ, ძარცვავდნენ იქაურობას...

გულგამომწვარ კუნძზე ჯიუტად აყინჩულ შეშას თავი ჩამოუვარდა, ნაკვერჩხლებში ჩაემხო. ცეცხლი ისევ აბურბურდა, გაანათა დარბაზი და კიბის პირველ საფეხურზე ფეხშედგმული ბაკური დავინახე, ჩვენკენ შემობრუნებულს ჯერ კიდევ წინგაწვდილი რომ ეჭირა ჩამქრალი სანთელი.

— ხომ გითხარით, ხეობა ჩაკეტეთ-მეთქი... არ დამიჯერეთ და ეგეც თქვენ! — გალიზიანებული ხმით ჩაიცინა, ჩამქრალი სანთელი ისევ წინ გაიძღოლა და მძიმედ აუყვა ფეხქვეშ აკვნესებულ კიბეს.

მხატვარი კარლო ფაჩულია

(დასასრული)

ბის მოსპობა".

ეს ერთი!

„ის ბრალდებანი კომუნიზმის წინააღმდეგ, რაც წამოყენებულია რელიგიური თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებით განხილვის ღირსი არ არიან" — ეხეც მეორე!

ხხვათა შორის, რელიგიასთან დაკავშირებით გამოთქმულ ჩემს აზრს, მგონი, თქვენც იზიარებთ: „ხწორდება დაშვებული შეცდომები რელიგიისადმი კომუნისტების დამოკიდებულების საკითხშიც".

ბატონო გრიგოლ, თავს არ ვიწონებ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, „მანიფესტთან" დაკავშირებით, რაც აქამდე შეცდომები შემინიშნავს, ყველაში მართალი ვარ!

აწიც ვნახოთ!..

●

ბატონი გრიგოლი საყვედურს გამოთქვამს:

„ზოგიერთი მორალურად გადაგვარებული კომუნისტის მაგალითზეც არ იქნებოდა აგრეთვე მართებული, გვეთქვა:

„მარქსიზმის ფუძემდებლები, სამწუხაროდ, არც ბურჟუაზიული ოჯახის მომავლის განჭვრეტაში აღმოჩნდნენ დიდი წინასწარმეტყველები..."

არა, ბატონო გრიგოლ, მარქსიზმის ფუძემდებლები რომ ბურჟუაზიული ოჯახის მომავლის განჭვრეტაში ვერ აღმოჩნდნენ დიდი წინასწარმეტყველები, მე ამ დასკვნამდე „ზოგიერთი მორალურად გადაგვარებული კომუნისტის მაგალითზე" დაკვირვებით როდი მივედი!

თვით „მანიფესტმა" მიმიყვანა ამ დასკვნამდე!

ნახეთ! ამ პატარა ბროშურაში წერია:

შვილებს იმიტომ აჩენენ კაპიტალისტურ ქვეყნებში — „უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღად" რომ გამოიყენონო!

ბატონო გრიგოლ, თქვენ ოჯახის პატრონი ბრძანდებით და ამ სიტყვებისთვის პატივცემულ მარქსსა და პატივცემულ ენგელსს თქვენგანაც კი ეკუთვნით მორიდებული საყვედური!

ან „მანიფესტში" გამოთქმული ეს თეზა როგორ მოგწონთ, გრიგოლ ბატონო!

„ბურჟუაზია თავის ცოლს უცქერის, როგორც წარმოების უბრალო იარაღს — მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგნები უნდა გახდეს".

დღევანდელ ამბავს გეტყვით, გრიშა ბიძია!

პანამაში, ამერიკელი ქალის (რასაკვირველია, კაპიტალისტის ცოლი იქნებოდა!), გაუპატიურების მცდელობისთვისაც კი, მთელი შეერთებული შტატები მიუხტნენ ამ ქვეყანას...

ან, ბატონო გრიგოლ, „მანიფესტში" გამოთქმული ეს აზრიც რას ჰგავს, მე რომ თქვენი ამბავი ვიცი, არც თქვენ მოუწონებთ ამ სიტყვებს მათ ავტორებს.

„ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობას წარმოადგენს. კომუნისტებისათვის დიდი-დიდი ის თუ შეიძლებოდა ესაყვედურებინათ, რომ... მათ თითქოს სურთ შემოიღონ ოფიციალური, აშკარა საზიარო ცოლობა".

არა, არა, გრიშა ბიძია, ამ საკითხში არც თქვენ უნდა აჰყვეთ „მანიფესტის" ავტორებს, თორემ, აი, ნახეთ, სადამდე შეიძლება მიგიყვანონ!

„ჩვენი ბურჟუები, რომლებიც არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ განკარგულებაში არიან მათი მუშების ცოლები და ქალიშვილები... განსაკუთრებით სიამოვნებას იმაში ჰპოვებენ, რომ ერთმანეთის ცოლები შეაცდინონ ხოლმე!"

მარტო კერძო ოჯახების მაგალითზე დაკვირვებით ასეთ ზოგად დასკვნამდე მაინც არ უნდა მისულიყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი!

ამის გარდა, მე „მანიფესტში" ოჯახურ თემებზე დაშვებულ პრინციპულ შეცდომებზე მივუთითებდი, თქვენ კი, ბატონო გრიგოლ, მეტისმეტად აიოლებთ ჩემს ამ ვარჯახ...

„მე ბევრი ვიცი ისეთი კომუნისტი, რომელსაც სანიმუშო ოჯახი ჰქვს..."

კი, მაგრამ „მანიფესტში" ამ თემაზე დაშვებულ შეცდომებს რას ჰველის თქვენი ეს „აღმოჩენა?"

ანდა, ბატონო გრიგოლ, ეს პასუხი მეცნიერი კაცის ანალიზს რითიმე ჰგავს?!

●

ძვირფასო მკითხველო, ვერ იქნა და ვერ გავედი ბოლოში! „მანიფესტზე" გამოთქმულ არც ერთ საყვედურზე ჩემმა ოპონენტმა სიტყვა არ შემარჩინა!

„მარქსიზმის კლასიკოსთა ერთ-ერთ მთავარ შეცდომად მე ისიც მიმაჩნია, — წერთ თქვენ, ბ. თამაზ, — რომ მათ მუშათა კლასი სამშობლოსა და ეროვნების გარეშე დატოვეს".

ბატონო გრიგოლ, ეს ისეთი შეცდომაა, ვიდრე პირში სული მიდგას, ვერავის ვაპატიებ!

რა ვუყოთ მერე, ამ შეცდომის სათავეს თუ მარქსთან და ენგელსთან მივყავართ!

მაპატიეთ, ბატონო გრიგოლ და, მე არც თქვენი მხჯელობა მომწონს ამ თემაზე!

არ გეუხერხულებათ, მე რომ აჰას მიხსნით?!

„სამშობლო არა მარტო გეოგრაფიული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გარემოა. სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული ადამიანი თავის სიცოცხლესაც კი არ ზოგავს მშობელი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის".

სხვა რომ არაფერი გამეკეთებინა, მარტო ამ თქვენს პასუხში მაქვს სამშობლოს სიყვარულისთვის თავი რამდენჯერმე გადადებული!

თქვენ რა გენაღვლებათ, გრიშა ბიძია, იტყვით — ლენინური ეროვნული თვითგამორკვევის ნიადაგზე მიიღო საქართველომ ოთხმეტ წელში დამოუკიდებლობა!

მერე მე უნდა ავდგე და ვამტკიცო, — ლენინს ასეთი რამ ძილშიც კი არ დაესიზმრებოდა-მეთქი და ეს წესიერი კაცი უნდა მალანძღვინოთ!

ახლა რომ ჩემთვის ვინმეს ეცალოს, ამას ვინ შემარჩენს, გრიშა ბიძია!

ჩემდა იღბლად, მარქსმა და ენგელსმა მუშათა კლასი ეროვნებისა და სამშობლოს გარეშე რომ დატოვეს, ეს სხვებსაც უთქვამთ!

„... კომუნისტებს უსაყვედურებენ, რომ მათ სურთ მოსპონ სამშობლო, ეროვნება".

ესეც მე ვარ, გრიშა ბიძია?! — ამ ეჭვის საფუძველი თურმე ადრეც არსებულა! — ახლა ვნახოთ, რა პასუხს გასცემენ ამ ჭორის გამავრცელებლებს მარქსიზმის კლასიკოსები!

„მუშებს არა აქვთ სამშობლო, მათ არ შეიძლება წაართვა ის, რაც არა აქვთ".

აა, ბატონო! ამაზე ნათლად კაცმა რა უნდა თქვას? მე შენ გეტყვი და, მარქსი და ენგელსი გულში რასაც ფიქრობდნენ, იმისი გადატანა უჭირდათ ქაღალდზე!..

●

„ვერ გავიზიარებთ, ბ. თამაზ, აგრეთვე თქვენს თეზისს — მარქსიზმის კლასიკოსებმა პროლეტარიატი ეროვნების გარეშე გამოაცხადეს!"

ბატონო გრიგოლ, მე თქვენი არც ერთი აზრი არ გამიზიარებია, მაგრამ ამის გამო, ჭერჭერობით, თავი არ მოგიკლავთ!

მეც მომეცით დრო და, შეიძლება, ეს დიდი მწუხარება, თავს რომ უეცრად დამატყდა, როგორმე გადავიტანო!

ამის გაკეთება მით უფრო არ უნდა გამიჭირდეს, როცა ვიცი — თავად მარქსი და ენგელსი „იზიარებენ" ჩემს აზრს!

ჩემი აზრის არგამზიარებელო, კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ მათ: „თანამედროვე სამრეწველო შრომამ... მოაცალა პროლეტარს ყოველივე ეროვნული ხასიათი..."

ეს ერთი მაგალითიც ხომ კმარა, მაგრამ მეორეც ვნახოთ:

„კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პროლეტარული პარტიებისაგან, რომ... ისინი წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს..."

თუ მარქსი და ენგელსი დღევანდელი კომუნისტების იმ დიდი ნაკლისგან — გულში ერთი რომ აქვთ და მეორეს ლაპარაკობენ — თავისუფლები იყვნენ, აქ ჩემგან განსხვავებულს ისინი არაფერს ამბობენ!

ეტყობა, გრიშა ბიძიას წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება აკლია, თორემ „მანიფესტიდან" ამ აზრის გამოტანას რა დიდი ამბავი უნდოდა!

ეს ყველაფერი იმ წიგნში არ წერია?!

●

თქვენი ნებართვით, ბატონ გრიგოლის კიდევ ერთ დაკვირვებას გაგაცნობთ.

„ვ. ი. ლენინმა... შეადგინა ბოლშევიზმის ეროვნული პროგრამა, რომლის ქვაკუთხედია ერთა თანასწორუფლებიანობა და ერთა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნამდე".

არ ვიცი, ჩემს ოპონენტს რა საბუთი აქვს, მე პირადად რუსეთის ფედერაციაში ბევრი ქვეყანა მინახავს შესული, გამოყოფილი კი — ჯერ არცერთი!

ბატონ გრიგოლს მიაჩნია — ამ უფლებით პოლონეთმა ისარგებლაო!

არა, ბატონო გრიგოლ, არავის დაუჯეროთ. იმ წლებში, პოლონეთის თვითგამორკვევისთვის დიდი ვაი-უშველებელი რომ ატყდა, კიდევ კარგი, სახარე ახაკის არ იყავით, თორემ თქვენი საბჭოთა რეჟიმისადმი ერთგულება რომ ვიცი, ფრონტის წინა ხაზზე მოხვდებოდით!

ღმერთმა მოგხედათ, თორემ ისიც თავისუფლად შეიძლებოდა, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს ვეღარც გაცნობოდით!

აი, ნახეთ, როგორ კაბინეტურ სიმყუდროვესა და წყნარ ვითარებაში მომხდარა პოლონეთის თვითგამორკვევა!

„მ. ნ. ტუხაჩევსკიმ, რომელიც პოლონეთთან ომის დროს ერთ-ერთ არმიას ხელმძღვანელობდა, 1920 წლის ივლისში ხელი მოაწერა ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო:

„ჩვენ ხიშტებით მივუტანთ ბედნიერებასა და მშვიდობას მშრომელ კაცობრიობას..." (ლევან თოიძე).

კიდევ არ იცით, რას ხართ გადარჩენილი, გრიშა ბიძია!

ხულ ადვილად შეიძლებოდა, ახაკს რომ ხელი შეეწყო, „ხიშტზე ჩამოცმული ბედნიერებით" თქვენ თვითონ შეხძღოლოდით რუსის ჯარს პოლონეთში!

ხხვათა შორის, როცა პოლონეთი ამ სისხლიან ომში თავისი „თვითგამორკვევისათვის" იბრძოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ლენინი, რომლის მიერ შედგენილი „ბოლშევიზმის ეროვნული პროგრამით" ყველა ერს თავისუფლად შეეძლო რუსეთის ფედერაციიდან გასვლა!..

●

თუ ჰკუა მეყო და ღმერთიც შემეწია, ერთი დიდი ბრალდებისგანაც მინდა დავიხსნა თავი.

„თქვენ, ბ. თამაზ, უკიდურესობაში ვარდებით, აზვიადებთ სოციალიზმის ნეგატიურ მოვლენებს და ყველა ნაკლის გამომწვევ მიზეზად კომუნისტები მიგაჩნიათ".

ეს უკვე ჩემთვის ნაცნობი ჰანგია! — კიდევ ერთხელ გაჩნდა შანსი, ვირის აბანოში რომ მიკრან თავი!

თავზარდამცემი ბრალდებაა! მაგრამ კარგია, რომ იგი მარტო ჩემს ბაგეთაგან არ მომწყდარა!

ამ საქმეში ჩემზე ათასჯერ უფრო გარკვეულებს აქვთ შემჩნეული კომუნისტების ეს ნაკლოვანი მხარე!

ერთი მათგანია გურამ მუჩაიძე! — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე.

აი, ბატონო გრიგოლ, რას წერს იგი.

„იმის გამო, რომ კომპარტიამ მოახდინა ძალაუფლების უზურპაცია და მას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ ჰყავდა ოპოზიცია, იგი გადაგვარდა და არსებითად უღალატა მუშათა კლასის, სოციალიზმის ინტერესებს..."

ბატონო გრიგოლ, თქვენც და ბატონი გურამიც „ტიტულოვანი" მარქსისტები ბრძანდებით. იქნებ ერთმანეთში გაერკვიათ კომპარტიის ადგილი დღევანდელ ვითარებაში, მე კი ამასობაში ჩემს საქმეს გავაკეთებდი.

●

ამით საშუალება მომეცემოდა უფრო კონკრეტული ბრალდებებიდან მეხსნა თავი!

„არც ეპოქალური ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" არის ხელწამოსაკრავი. ამ მოწოდებით იბრძოდნენ მხოფლიოს მშრომელი მასები მშვიდობის, დემოკრატიის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის და მიაღწიეს კიდეც ხერიოზულ გამარჯვებას".

მე რომ სალამოობით (რასაკვირველია, ტელევიზიით!) აღმოსავლეთ ევროპის ქუჩებში გამოფენილ ხალხს ვუყურებ, სოციალისტური მთავრობების წინააღმდეგ ქალიან-კაციანად რომ არიან მუჭშემართულნი, ეჭვიც კი მეპარება, რომ კომუნიზმის მშენებლობაში იმათ გამარჯვებას მიაღწიეს, თანაც „ხერიოზულს"!

არ ვიცი, იქნებ ამ გამარჯვების სიხარულმა გამოყარა ეს ხალხი დედაბუდიანად!

●

„ახლა პროლეტარები აღარ არიან სოციალისტურ და მთელ რიგ ქვეყნებში. მაშასადამე, ამ ლოზუნგმა არსებითად შეასრულა თავისი მისია და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ახალი მოწოდებით შეცვლა... საჭიროა, სხვა ლოზუნგების განახლებაც...

მაგრამ გრიგოლ ბიძია, ყველა თქვენნაირად არ ფიქრობს!

მაგალითად, ბატონ რომან მიმინოშვილის დაკვირვებით, სულ პირიქით ყოფილა!

„შეიძლება მართალი ბრძანდებით (მე მეკამათება, თ. წ.), რომ სადღესოდ ძველებურად ვეღარ ჟღერს ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" მაგრამ არა იმის გამო, რომ დღეს პროლეტარი აღარ არსებობს დედამიწის ზურგზე... რაც ვიყავით, აგერ ვართ შეერთებულნი!"

რასაკვირველია, ეს ფრაზა — რაც დედამიწის ზურგზე პროლეტარი იყო, ყველა აგერ, ჩვენს ქვეყანაში ვართ თავმოყრილნიო! — ცოტა ირონიულად ჟღერს, თორემ სიზუსტე არ აკლია!

საბჭოთა კავშირში, როგორც ყრილობის ტრიბუნიდან გახდა ცნობილი, ხალხის 80 პროცენტი სიღატაკის ზღვარზე ყოფილა მისული!

ჩემო გრიგოლ ბიძია, სამწუხაროდ, ჩვენ ახლა იმპერიალიზმზე ვართ დამოკიდებულნი — თუ საკვებითა და ჩაცმა-დახურვით არ უზრუნველგვყვეს (რატომ ევალებათ, არ ვიცი!), სიღატაკეში ალვესრულებით!..

რაც შეეხება ლოზუნგების განახლებას, ჩემმა ოპონენტებმა იმდენი მატრიალებინეს ხელში ჩვენი უპირველესი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, — შეერთდით!", რომ იგი მგონი კიდეც განვაახლე!

ფორმით იგივე დავტოვე, მხოლოდ შინაარსი შევუხამე დღევანდელ სინამდვილეს!

თუ მოგეწონებათ, თითქმის მზად მაქვს! —

„კაპიტალისტებო ყველა ქვეყნისა, მოგვხედეთ!"

რასაკვირველია, ეს ხუმრობაა, თორემ იმათი მოხახედი მართლა რა გვჭირს.

●

ერთ უცნაურ ბრალდებასაც მიყენებს ბატონი გრიგოლი.

„თქვენ ზედმეტ თავმდაბლობას იჩენთ, როცა აცხადებთ: „მე წინასწარმეტყველი არ ვარ და არც ვიცი, — როგორი გზით უნდა ვაშენოთ კაცობრიობის სანუკვარი ოცნება — კომუნიზმი!"

არა და არა, გრიშა ბიძია, არ გიმალავ, მართლა არ ვიცი!..

●

„თქვენ კი, ბ. თამაზ, შეშფოთებული ხართ იმით, რომ კომუნიზმი... საუკუნენახევრის შემდეგაც არსად ჩანს..."

გრიშა ბიძია, მე მესმის, რომ თქვენს თვალში ჰკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ვერ ვტოვებ, მაგრამ — ამას ძალიან გეხვეწებით! — ისეთი სულელიც ნუ გეგონებით, რომ კომუნიზმს დღე-დღეზე ველოდებოდე და მისი დაგვიანებით ვიყო შეშფოთებული!..

●

„საოცარია, ბ. თამაზ, თქვენ... მარქსიზმის განვითარებას, მისი ახალი დებულებებით და დასკვნებით გამდიდრებას ვ. ი. ლენინის, მისი თანამებრძოლების და მოწაფეების მიერ, ანგარიშს არ უწევთ..."

მე იმას ვუწევ ანგარიშს, ბატონო გრიგოლ, ლენინის თანამებრძოლებმა და მოწაფეებმა თავად რომ არ გაუწიეს ანგარიში პროლეტარიატის ბედს! —

ისინი, უკლებლივ ყველა, თუ ჩვენს პარტიულ პრესას დავუჯერებთ, თაღლითები და გარეწრები აღმოჩნდნენ.

●

აქვე მინდა, სიამოვნებით აღვნიშნო, რომ, ბატონ გრიგოლის აზრით, ჩემს წერილებს რაღაც სამსახურიც კი გაუწევიათ „ვენეციელთა განმგებელთათვის".

„ჩვენს ქვეყანაზე რომ ვერავინ გაავრცელოს ბურჟუა-მეჯლისმეამებლებზე თქმული სიტყვები: „ვინც შრომობს, არაფერს იღებს, ხოლო ვინც იღებს, არ შრომობს", ამ დიდ საერთო საქმეში თქვენს ბასრ კალამსაც დიდი როლის შესრულება შეუძლია, ბ. თამაზ..."

არა მგონია, ბატონო გრიგოლ. ამ საქმისთვის ჩემი „ბასრი კალამიც" კი უმწეოა! — შრომის ასეთი განაწილება საბჭოთა კავშირში უკვე სისტემად არის ქცეული! — სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა კი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმება და... ციხეში ჩამაყუდებენ!

●

„ბ. თამაზ, თქვენ მართალი ბრძანდებით, როცა წერთ, რომ ცხოვრებამ არ დაადასტურა „მანიფესტის" ავტორების შემდეგი აზრი: „ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი დარჩეს გაბატონებულ კლასად... ბურჟუაზიის არსებობა უკვე შეუთავსებელია საზოგადოების არსებობასთან".

მერედა, ცოტა საქმეა ეს, გრიგოლ ბატონო?

ვითომ არ იცოდეთ, ჯერ როგორი ძნელი აღმოსაჩენია ამ გენიოსების ნაშრომებში შეცდომები და მერე კიდევ — როგორი სათქმელი!

მე შენ გეტყვი, მათ კრიტიკას ყური გვაქვს მიჩვეული!

●

„ბ. თამაზ, თითქმის საუკუნენახევრის წინათ დაწერილ ისტორიულ დოკუმენტში ბევრი სხვა რამეც შეიძლება მოინახოს ისეთი, რომლებიც არ დაადასტურა ცხოვრებამ..."

რამდენიც გინდათ, გრიშა ბიძია!..

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ ქართველ მარქსისტს ეს ჯერ არ შეუმჩნევია!

მე რომ ახე შემთხვევით არ გადამეკითხა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ყველა ამ შეცდომას დღესაც ისევე ასწავლიდით სტუდენტ ახალგაზრდობას, როგორც პიტალო ჭეშმარიტებას!

●

„მაშასადამე, ამ ლოზუნგმა არსებითად შეასრულა თავისი მისია და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ახალი მოწოდებით შეცვლა..."

გრიშა ბიძია, ეს წიგნი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", დილიდან საღამომდე გულზე ბიბლიასავით რომ გაქვთ ახუტებული საბჭოთა მარქსისტებს, შიგ სულ არ იხედებით?!

მე რომ არ მეთქვა, ეს ლოზუნგი მოუშორებელ ჭირად გვექცა-მეთქი, ამას თქვენით ვერ უნდა მიმხვდარიყავით?!

●

ჩემი ჰკუით, აქ ვამთავრებ ბატონ გრიგოლ ბრეგაძესთან გასაუბრებას. მაგრამ მისი ახლებური აზროვნებიდან კიდევ ერთი „მარგალიტიც" თუ არ მოვიტანე, ვერ მოვისვენებ.

„უცხოელი იმპერიალისტებისა და მენშევიკების სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხანგრძლივი გმირული ბრძოლით, საბჭოთა რუსეთისა და მისი წითელი არმიის ნაწილების უანგარო დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მომზადებული სოციალისტური რევოლუცია სწრაფად გავრცელდა საქართველოში" („პარტიული სიტყვა").

ძვირფასო მეგობრებო!

თუ ამხიგრძე წინადადებაში ერთი სიტყვა მაინც იქნება მართალი, ამ სიმართლით მარქსისტების აშენებულ კომუნიზმში ღმერთმა ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს!

ხოლო ბატონ გრ. ბრეგაძის შემოქმედებითი პორტრეტი დასრულებულად რომ წარმოვიდგინოთ, უკანასკნელ ხაზებსაც გავავლებ.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზემ საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს ამოანათა".

ეს ბატონ გრიგოლის საბოლოო აზრია!

ეტყობა, ზამთარში ამოსულ მზის სხივებს ცხოველმყოფელობა მაინც აკლია! — ზოგი ადამიანის თავის ტვინის ნაზევარსფეროებს ნაკლებად ანათებს!

# არსის ძიება

## სულხან ქორდანია

ფუძის ანგელოსო, ჰერის ანგელოსო,
კალთა დაგელოცოს, ფრთები დაგელოცოს.
დიდი მყუდროება, დიდი იმედები
ისევ გაიმეტე, როგორც იმეტებდი.
ხოლო მწუხარებას, შიშს თუ სნეულებას
ჩემთან ნუ ექნება ნურა წვეულება.
მზე, მზე ჩამობარდნე რძიან ბუტკოებად,
მზე შინა და გარეთ, მზე და მყუდროება!

სრულყოფილ, სანიმუშოდ აღიარებულ, კლასიკურ ხელოვნებას იმდენი დადებითი თვისება აქვს, რომ შეუძლებელია მის არსში ერთდროული წვდომა, მისი ყველა ღირსების ერთობლივი, ერთიანი გააზრება და შეფასება. კლასიკის ცალკეულ ნიშან-თვისებებს ყველაზე ნათლად, ღრმად და დამაჯერებლად ცალკეულ მკვლევართა ნალვაწი წარმოაჩენს ხოლმე, რის გამოც მისი ძალა, გავლენა, ავტორიტეტი, საზოგადოებრივი მნიშვნელობა და აღიარება საუკუნეებით არ ნელდება. მაგრამ განა მხოლოდ სხვადასხვა თვალი ხედავს კლასიკაში სხვადასხვა ღირსებებს: პიროვნების შინაგანი, სულიერი, ინტელექტუალური ევოლუციისა თუ საზოგადოების კულტურულ, იდეოლოგიურსა და პოლიტიკურ მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა ცვალებადობის გამო ერთი და იგივე ადამიანიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ღირსებებს აძლევს პირველობას სანიმუშოდ აღიარებულ მუსიკაში, ფერწერაში, პოეზიაში.

შოთა ნიშნიანიძის ლექსთან პირველმა შეხვედრამ დამთრგუნა ავტორის პიროვნული ღირსების, აზრისა და გრძნობის გაბედულებით, სითამამითა და კეთილშობილი თავმოყვარეობით: „როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორი, ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში — შვილი და ცოლი. შემიდგნენ არაგველები თავის მგალობლის ცხედარს, ფარებზე გადამიწვინეს და წამასვენეს მცხეთას. — საით, ბიჭებო, — გავძახე... მითხრეს: უფლისა ნებით, იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით...“ მერე ყურადღება მისი პოეზიის არაჩვეულებრივმა ხატოვანებამ, მეტაფორულობამ მომტაცა, ყურადღება მომტაცა ყველაფერმა, რაც ესთეტიკურად მომხიბლავია, რაც პოეზიის წმიდათა წმიდაა, რაც, ასე ვთქვათ, ხელოვნებას ხელოვნებისათვის ემსახურება: „ზე რომ გასკდება ზოგჯერ წიფლისა სიტკბოებისგან და სიმწიფისგან და რომ იხუვლებს, ... ოქროს ქაფი, ველური სკა და ველური თაფლი, სწორედ ასე ვარ, მთელი თვე არის, ნაპირს გადმოსკდა ვნება ფარული, სხეულზე დამდის თქრიალ-თქრიალით ველური თაფლი და სიხარული...“ შემდგომ სხვადასხვა დროს, შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ხან მხატვრულად მოაზროვნე ოსტატი, ადამიანის სულიერი სამყაროს მწვდომელი მხიბლავდა, ხან ჰუმანიზმის ქადაგი, ამაღლებულისა და ზნეობრივად მშვენიერის მგზნებარე თაყვანისმცემელი, ხან კიდევ ბობოქარი ენერგია, საოცარი ძალა. არა ის ძალა, რომელიც დალუპვით მემუქრება და მზარავს, არამედ ის, რომელიც თებერვლის ცივსა და სუსხიან ღამეს კოჭრისა და წყნეთის ხანახებში წვენითა და ზალისით ავსებს იებისა და ყოჩივარდების ფესვებს, ღეროებსა და კვირტებს, შესაძლებლობას აძლევს სილამაზეს გაუმაგრდეს და გაუძლოს კავკასიონიდან მოვარდნილ ქარებს:

„დამესიზმრა, ბილიკი, ხელში მეპყრა კვერთხად, ფეხზე მეცვა ქალამანი, წელზე ელვა მერტყა. მიწის სული, ცის ფიქრი ღრუბლად მომებურა, პირველშექმნის ხმაური მესმა შორეულად. ზღვას დავკარი ბილიკი — აღსდგნენ ქალაქები და მკვდარ საუკუნეებს პეშვზე ვალაგებდი. გამოვწოვე ღრუბლიდან ცათა ხვაშიადი და მიწიდან ზეცამდე ელვად ავშრიალდი“.

ხომალდს შეუძლია ზავის პირობები უკარნახოს ოკეანეს, — მესაჭეს — შეცვალოს დინება, გააჩუმოს ქარი? შეუძლია ვინმეს ასწავლოს პოეტს ლექსის წერა, მიუთითოს ნაკლზე, შეუქოს ღირსება?..

შოთა ნიშნიანიძეს უყვარს ფანტასტიკური ამბის, მოვლენის, სიტუაციის წარმოდგენა, იგონებს ამ სიტუაციისთვის სრულიად განსაკუთრებულ ვითარებებსა და პირობებს: ეხება ჩემს სულში იდუმალ სიმებს და მეც უყოყმანოდ ვუჯერებ მას, ვენდობი მის წარმოსახულ სურათს ფსიქოლოგიური ჭეშმარიტების გამო, არ ვთვლი მას არარსებულად, წარმოუდგენლად, ცრუდ, ვინაიდან ალღოთი ვგრძნობ მის პოეტურ სიმართლეს, მისი არსებობის იდეალურ შესაძლებლობას და შეტყუებული შემოქმედის უშუალობითა და კეთილსინდისიერებით უფაქიზეს გრძნობათა სამყაროში შევდივარ.

რაღაც ტკბილი, მომხიბვლელი გრძნობა იწყებს ჟღერას ჩემს გულში, სინათლის მშობლიური ძალა, სიცოცხლე რომ მაჩუქა, ებმაურება ჩემს სულს და ანახლებს მას. აი, მითისა და დღევანდელობის წნული, აი, აწმყოზე მოპყრობილი მზერა შორეული, ამოუცნობი, მეტაფიზიკური, მაგრამ მხატვრულად შეგრძნებული და სიმაღლეებიდან განცდილი. მითის შემოჭრა დღევანდელობაში, ზღაპრის, თქმულების, ისტორიისა და რეალობის შერწყმა ქართულ პოეზიაში, ჩემის აზრით, დღეს ყველაზე ძალუმად შოთა ნიშნიანიძის ლექსში იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ სინთეზიდან ამოდის ძირითადად მისი პოეზიის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი. მაგრამ ის, რაც ჩვენ ნაკლი გვგონია, სინამდვილეში ღირსების მეორე მხარეა. ამ კუთხით თუ შევხედავთ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებას, დავტკბებით მისი მშვენიერებით და გავამართლებთ ნაკლს, როგორც მშვენიერებისა და თვითმყოფადობის აუცილებელ, ლოგიკურად გამართლებულ შედეგს.

მითებს თავისთავადი სიცოცხლე არ გააჩნიათო, გვეუბნება კამიუ, მითი გველოდება, როდის შევასხამთ მას ხორცს. თუნდაც ერთი კაცი რომ გაეხმაუროს ამ ქვეყანაზე მითის ძახილს, უმალ მოგვიკლავს იგი წყურვილს დაუშრეტელი წვენით. ჩვენი საქმეა შევინარჩუნოთ მითები, ვიმოქმედოთ ისე, რომ მათი ძილი მომაკვდინებელი არ იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს აღორძინება. მითის აღორძინებით შოთა ნიშნიანიძე მარადისობას ეზიარა. ემერსონის მსგავსად, მასაც შეუძლია თქვას, რომ „სწამს მარადისობა“, ვინაიდან ესაუბრება, გულის საიდუმლოს უმხელს პრომეთეოსსა და აქილევსს, ეკამათება ნერონსა და ბრუტოსს, ხედავს ძველ რომსა და საბერძნეთს, იბერიასა და კოლხეთს, „სულსა და შემოქმედებით პრინციპს თითოეულისა და ყველა ეპოქისა“, თავის გონებაში.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში შოთა ნიშნიანიძის გამოჩენამდე პოეზიაში ჩვენ მხოლოდ წინათგრძნობა გვქონდა იმისა, თუ რაა განახლებული, აღორძინებული მითი, როგორ ირეკლება თქმულების გამონაშუქი თანამედროვეობის სარკეში, როგორ მიედინება მთელი წარსული და აწმყო შემოქმედის სულში. მასთან არა მხოლოდ ლექსი, არამედ ცალკეული გრძნობა, ცალკეული განწყობილება, ცალკეული აზრი, ცალკეული სურათი გაჯერებულია გამოუთქმელი მითიური ხატოვანებით. განსაკუთრებული კუთხით ჭვრეტს იგი ბუნებასა და ადამიანებს: მის მუზაში უშუალობის მომაჯადოებელი სილამაზე და მოხდენილობა იდეისა და მისწრაფების კეთილშობილ სინატიფეს ეხამება, შინაგანი ღირსება კიდევ უფრო სრულყოფილდება ფორმის სრულყოფილების გამო, რომელიც აზრმა ისე შეითვისა, რომ მეორე ბუნებად, მეორე რაობად გაიხადა.

დიდი ხელოვანი პოეზიას იქ ხედავს, სადაც სიცოცხლეა. შოთა ნიშნიანიძისთვის არ არსებობს ე. წ. არაესთეტიკური, დაბალი ბუნება. ამიტომაა, რომ იგი პოეტურად იყენებს ნებისმიერ მოვლენას, თვალთახედვის სფეროში მოხვედრილ პირველსავე საგანს და უკეთილშობილეს იდეას აზიარებს მას. ავიღოთ თუნდაც ასეთი მეტაფორა „სააკაძის სამი ცხენიდან“: „...ცხენი ჭიხვინით, სისხლით გავრუმბე, თათრის სულები მოვაძოვინე, თათრის გნიასი ავკიდე ღრუბლებს და შავს ირანში მოვაწოვინე...“ შევადაროთ ამას კიდევ უფრო უცნაური და თვითმყოფადი მხატვრული სახე მომდევნო ტაეპიდან: „გზაჯვარედინად გაიკლაკნა ბედი როკაპი და მოგაწივლა, მოგახივლა გველის ორკაპი“. რატომაა პირველად ესთეტიკურ მნიშვნელობას მოკლებული ეს ორი ხატი მხატვრული, ასოციაციური აზროვნების შესანიშნავი მაგალითი? იმიტომ, რომ ბრწყინვალედ შეესატყვისება სათქმელს, ორგანულადაა შერწყმული მითთან და მითად ქცეულ ისტორიასთან: „—ვის ცხენზე ზიხარ, ვის თეთრონზე, გიორგი, გიორგი! — წმინდა გიორგიმ მიწყალობა, თეთრმა გიორგიმ! — ეგ ხორასნული ხმალია თუ ელვა-მეხია? — წმინდა გიორგიმ მისაჩუქრა, დიდმა სეხნიამ. მელის მარაბდა, ტაშისკარი, მელის მარტყოფი, სიმწარევ, ბოლმავ, მძულვარებავ, დღემდე ბარტყობდი“. ლექსში „თევდორე“ კიდევ უფრო ამაზრზენი რეალობის პოეტურ ხატად გარდაქმნის მოწმენი ვხდებით: „ეს სისხლია, ღვთის კაცო, ღვართქაფად რომ დაგდინდა, თუ რიჟრაჟმა იფეთქა ანაფორის ღამიდან. — ოსანა! — ოსანა! მოდგნენ ანგელოსები, ანაფორის ნაკუწები მიაქვთ ავგაროზებად“. თუკი სიტყვა „მითისქმნადობა“ ისტორიული თუ თანამედროვე მოვლენის, ამბის ფანტასტიკურ, ღვთაებრივ, ლეგენდარულ დონეზე აყვანის მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ თევდორე ბერის სამშობლოსათვის თავგანწირვის ფაქტი (1609) შოთა ნიშნიანიძისეულ ინტერპრეტაციაში მითისქმნადობის უბრწყინვალესი ნიმუში უნდა იყოს.

რა უდევს საფუძვლად შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ძირითად ნაკადს? თითქმის ყოველთვის სიყვარული და ერთგულება. ეს ორი გრძნობა ეუფლება მის გულს, ეს ორი გრძნობა წარმოადგენს მისი სიცოცხლის ყველა ტკივილისა და ბედნიერების უშუალო წყაროს. იშვიათად უარყოფს იგი რაიმეს, იშვიათად ჰკიცხავს, იშვიათად ჰგმობს, იშვიათად სწყევლის, მეტწილად კი უყურებს ქვეყანას სიყვარულითა და ლოცვა-კურთხევით. თვით სევდაც კი ამის გამო მის სტრიქონებში არაჩვეულებრივად ნათელი და გამჭვირვალეა.

მშვენიერება შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ერთდროულად ორ განზომილებაში აისახება: ერთი განზომილება თვალში საცემი, ხელშესახებია, მეორე — იდუმალი, შეუმჩნეველი. ჩვენ რომ ინტელექტის სასწაულებრივი დაძაბვის შედეგად თვალის ერთი შევლებით ჩავწვდეთ მისი ხელოვნების არსს, მშვენიერება გაქრება, ლექსს უმოქმედო, ინერტულ ხილვადობამდე დავიყვანთ და მხოლოდ მორთულ-მოკაზმულობაღა შეგვრჩება ხელში. ხის კენწეროზე შეგდებულ ბუდეზე მედიტაციისას შოთა ნიშნიანიძე ისეთ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, ისეთ თვისებებსა და მოქმედებას გვიხატავს, რომელთაც მოცემული საგნისა თუ პეიზაჟისთვის რეალური სიზუსტის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. აქ, ხილულ განზომილებაში პოეტი მხოლოდ პლასტიკური, გამომხატველობითი ფორმებითაა დაინტერესებული, ფერებით, ხმებით, სუბსტანციით, მოხაზულობით: ტყე ისეა გადაპორფილი ბარტყების ჟრიამულით, როგორც მზის სხივით; ბარტყების ჟივჟივ-წივწივი უფლის ხელით ნაწერი ყვითელნისკარტა ნოტებია; ტყის სიხარული კრიმანჭულისა და სხივის კიბეზე მისტის; ბუდე მუსიკალური პაწია სკივრია. იდუმალ, უჩინარ განზომილებაში ძირითადი პლასტიკურ, გამომხატველობით ფორმათა ურთიერთმიმართებანია, რითმისა და მეტაფორის, მითისა და სინტაქსური ფიგურის, რიტმისა და ანტითეზის, მთელის, ზოგადისა და ცალკეულის, კონკრეტულის ურთიერთშეღწევა და ურთიერთშეპირობებულობაა. შედეგი — ბუდე, ტყის პეიზაჟი და ბარტყების ჟღურტულ-ჭყლოპინი ისეა მოცემული, როგორც შეიძლება მეტნაკლები სიმძაფრით ყველას განგვიცდია, მაგრამ როგორიც არავის არ გვინახავს და არავის მოგვისმენია. ვიტყოდი, რომ შოთა ნიშნიანიძეს ლექსს იდეა აწერინებს, რომ ეს იდეა ფორმის გარეშე თავადაა ნატიფი და დახვეწილი, ვინაიდან არტისტის, ხელოვანის, მხატვრის იდეაა. შოთა ნიშნიანიძის ლექსი თავადაა არსის, იდეის განუწყვეტელი ძიება. ლექსი, რომელიც ფოტოგრაფიული სიზუსტით გვაწვდის საგანს, რომელიც გამორიცხავს სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებას, მოკლებულია მნიშვნელობას, მისი პოეტური არსი არარაობამდეა დაყვანილი. ლექსი, რომელიც გვაიძულებს მუდამ ფხიზლად გვქონდეს გონების თვალი, შინაგანი ერთობის პრინციპს ეყრდნობა და უსასრულო ინტერპრეტაციას ექვემდებარება: „მინდა ავუბა მხარი დროებას, სიმღერით გავსცდე დროს და განედებს. მეც კუზე შევსვი ჩემი პოემა და აქილევსთან შებმა გავბედე. გამოდის გმირი ძველ ეპოსიდან და ბრმა ჰომეროსს შესთხოვს შეწევნას; აჰა, ვეება მშვილდი მოზიდა, სტყორცნა ისარი და დაედევნა. აქილევსს ჯობნის ქინი ალაგზნებს, გულფიცხია და ქარზე სწრაფია, ისარს დაიჭერს და კუს ბაკანზე, წააწერს ჩემთვის ეპიტაფიას...“

პოეტი გზას გვიკვალავს. ხილულ განზომილებაში გამომსახველობის უშუალო ფაქტებს გთავაზობთო; გვეუბნება: კუზე ამხედრებულ პოემას, კუს ბაკანზე წაწერილ ეპიტაფიას, გასროლილ ისარს დადევნებულ აქილევსსა და სხვა ურთიერთშეჭიდულ ელემენტებს. მაგრამ ისინი მხოლოდ გულს ხვდებიან. თავისთავად პოეტური სახე უხილავს ხილულად ვერ აქცევს. ლექსის არსი, მისი ძირითადი ღირსება ყველა ელემენტის ურთიერთმიმართებით, უჩინარი მთლიანობით შობილი განწყობილება და ასოციაციების ტრაექტორიაა. ახალი ეფექტური სახე—და შემადგენელი ელემენტები ფერს იცვლიან, რამეთუ იცვლება მათი ურთიერთმიმართების ხასიათი: „როცა მზის სხივი გისოსს ედება, ცმაცუნობს, როგორც კატის ულვაში, მგონია, ვზივარ ან ვიხედები აბლაბუდიან თოფის ლულაში. რა დაცლის ამ თოფს! თორემ ნამდვილად ვგავარ ლულაში გაჩირულ ტყვიას. ალბათ, დრო მოვა და... გავვარდები, ჩემს სათქმელს ვიტყვი ადრე თუ გვიან...“

შოთა ნიშნიანიძის ზნეობრივი გრძნობის სიწმინდესა და პატრიოტიზმს განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავს: მისი პოეზია ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს და სამშობლოს სიყვარული და მორალი მასში ცხოვრებისეული გამოცდილებითა და რეფლექსიით კი არ ჩამოყალიბდა, არამედ შეწოვილ იქნა დედის რძესა და სისხლთან ერთად. პატრიოტიზმსა და ზნეობრივ სიწმინდეს შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში კიდევ უფრო მიპოეტურებს ის კეთილშობილი სიზვიადე, საკუთარ ძალაში ის ალვირახსნილი რწმენა, რომელიც პოეტმა მომხიბვლელად გამოთქვა სხვადასხვა დროს. გამოთქვა მაშინ, როცა ინდივიდუალობის დიადი მზე აღარსად სჩანდა ჩამოწოლილი ჟანგის მიღმა, როცა პიროვნება, პიროვნების ღირსება არარაობაზე იყო დაყვანილი, როცა ნაცვალსახელს „მე“ ჩვენი პრესის ფურცლებზე ყველა უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.

შოთა ნიშნიანიძე, თავმდაბალი ცხოვრებაში, ზვიადია შემოქმედებაში. „ჩემივე ლექსის ბწკარებში დამწყვდეული ვარ მგლისებრ, მგელივით მივდი-მოვდივარ, ძლივს ვატრიალებ კისერს, — მაღიზიანებს მკითხველი, ცნობისმოყვარედ მიმზერს, ქეჩოს მგელივით ავიშლი, სათქმელს ყმუილით მოვჭრი. ტუჩს გადამიხლეჩს სტრიქონი — მგლის ალესილი ლოჯი. ჰაუ, სატკივარს უხდება კბილის გაკვრა და გესლი, ვაითუ ჩემი ვიშვიში მხოლოდ გალობად გესმით...“ შეადარეთ ამას პოეტური შემოქმედების, პოეზიის ასეთი მეტაფორიზება: „რა განგებამ დამწყევლა, რა სულმა და სატანამ, ზურაბივით სხეულში ლექსი ვინ ჩამატანა, სანამ გამოჩნდებოდი, რა იმედად მიჩანდი! — შვილო, ზურაბ, სადამდი? — ვაიმე, დედა, კოჭამდი! რა ვიცოდი თავმკვდარმა, აგრე თუ დამღუპავდი! — შვილო ზურაბ, სადამდი? — ვაიმე, დედავ, მუხლამდი... ჩემო იმედ-ნუგეშო, რომ ვერ გშველი ვერრათი? — შვილო ზურაბ, სადამდი? — ვაიმე, დედა, ყელამდი... სურამისა ციხე ვარ, ხვედრით უსასტიკესი, ჩემი შვილი ზურაბი გულის ძირში მიკვნესის...“

ამბობენ, ჭეშმარიტი პოეტის სიცოცხლე წინასწარგანუსაზღვრელიაო. სიცოცხლე არ ვიცი, მაგრამ შემოქმედება. მისი ყველაზე უფრო აზარტული თავგადასავალი, მარტოსულის ფრენაა სამყაროში, არტისტული ემოციის აღმძვრელ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას თავისი საიდუმლო და თავისი გრძნეულობა აქვს. თავდავიწყების, შემოქმედებითი ექსტაზის რაღაც მომენტში საკუთარი სტრიქონის კონცენტრირებული, უკიდურესად გამძაფრებული განცდა შოთა ნიშნიანიძეში მგლის ალესილი ლოჯის ასოციაციებს იწვევს. ამ კერძო ასოციაციაში, ამ სიმბოლოდ ქცეულ განცდაში პოულობს პოეტი იმ მშვენიერებას, რომელსაც თითქოს ვერასოდეს შეელევა. მაგრამ გავა დრო და საკუთარი ლექსის ახლებური, ახალი კუთხით ჭვრეტა მას აღმოჩენის ახალი სიხარულით ტალღასავით დაიტანს ქვეშ: ძველ სიმბოლოს ახალი სიმბოლო დაუმშვენებს მხარს. ლექსი პოეტის სხეულში — ზურაბი სურამის ციხის კედელში. ამ წუთიდან ასოციაციის რიგი: ლექსი —მგლის ლოჯი — ზურაბი პოეტისა და მკითხველისათვის აბსოლუტურად უტყუარ და მუდმივ სიდიდედ იქცევა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პოეტმა შეისუნთქა, დაიმორჩილა პოეზიის გააზრებისა და განცდის ყველა არსებული და არარსებული მხატვრული ფორმა. მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა. მისი ჟინიანი, ჯიუტი, გაუცნობიერებელი ლტოლვა მარად მერყევი ანტითეზისაკენ გრძელდება, ვინაიდან ამ ლტოლვაში, შეუძლებლის მიღწევისა და მიუღწევლისთვის ბრძოლაში ხედავს იგი სიცოცხლის გამართლებასა და სიცოცხლის არსს.

ეროვნული პოეტის ნათელხილვებთან ზიარება ჩემთვის მთელი ცხოვრების განცდისა და გამოვლის თანაფარდია, თვითმყოფადი აზრისა და უნიკალურ ემოციათა დამოუკიდებელი სამყაროს გათვისებაა.

ამიტომაც მიყვარს შოთა ნიშნიანიძის პოეზია. მიყვარს, როგორც ადამიანის საუკეთესო და ულრმეს თვისებათა განხორციელება, როგორც განსაკუთრებული ნერვი ქართველი ერის უკვდავ სხეულში.

# სერგი ლაშქაროვი — დიპლომატი

მიხეილ სვანიძე

რუსეთში სხვადასხვა დროს მრავალი ქართველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ზოგიერთმა მათგანმა გარკვეული როლი შეასრულა სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამ წერილით გვინდა ქართველ მკითხველს გავაცნოთ სერგი ლაზარეს ძე ლაშქაროვი, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომლის შესახებაც ქართულ ენაზე თითქმის არაფერი დაწერილა.

სერგი ლაზარეს ძე ლაშქაროვი დაიბადა 1739 წელს მოსკოვში. მამამისი ლაზარე გრიგოლის ძე ლაშქაროვი (ბიბილური) წარმოშობით ქართული ფეოდალური ოჯახიდან იყო. 18 წლის ლაზარე თან გაჰყვა ვახტანგ VI-ს რუსეთში. მოსკოვში მან ცოლად შეირთო რუსი აზნაურის ქალიშვილი და იქ დასახლდა. ჩვენთვის უცნობია, თუ რატომ შეიცვალა ლაზარე ბიბილურმა თავისი გვარი ლაშქაროვად.

ს. ლაშქაროვმა ოჯახში თავისი დროისათვის შესაფერისი განათლება მიიღო. მან განსაკუთრებით დიდი ნიჭი გამოამჟღავნა უცხო ენების შესწავლაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასთან არსებობდა აღმოსავლური ენების შემსწავლელი სკოლა, რომელიც ამზადებდა თარჯიმნებს უცხოეთის ქვეყნებში სამუშაოდ. სკოლაში უმთავრესად იღებდნენ შეძლებული ოჯახების შვილებს. 1762 წელს ლაშქაროვი მიიღეს ამ სკოლის სტუდენტად. არსებული წესის მიხედვით, აღმოსავლური ენების სრულყოფილად დაუფლებისათვის სტუდენტები იგზავნებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოებში.

1764 წელს ს. ლაშქაროვი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს. ქართულისა და რუსულის გარდა შესანიშნავად ფლობდა თურქულ ენას. აგრეთვე შეისწავლა არაბული, სპარსული, სომხური, იტალიური, ფრანგული, ძველი და ახალი ბერძნული ენები, ლათინური. მან მალე გამოამჟღავნა დიპლომატიური ნიჭიც.

1768 წელს ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ომის დაწყებისთანავე სულთნის ბრძანებით იედი კულეს შვიდგუმბათიან ციხეში მოათავსეს რუსეთის საელჩოს თანამშრომლები და მათ შორის რუსეთის ელჩი ა. ობრესკოვი. მხოლოდ ლაშქაროვი დატოვეს საელჩოს შენობის საპატრონოდ. ასეთ რთულ ვითარებაში მან გამოამჟღავნა დიდი საზრიანობა, მოხერხებულობა, გამბედაობა და რიგ შემთხვევაში გმირობაც კი.

მიუხედავად მკაცრი მეთვალყურეობისა, ლაშქაროვმა მოახერხა საიდუმლო მიმოწერა გაება პატიმრობაში მყოფ რუსეთის ელჩთან ა. ობრესკოვთან, ხმელთაშუა ზღვაში მყოფ რუსეთის ესკადრის მთავარსარდალ ა. ორლოვთან და დუნაის არმიის მთავარსარდალთან ფელდმარშალ ა. გოლიცინთან. იგი დაუკავშირდა აგრეთვე რუსეთის ელჩს ვენაში. ს. ლაშქაროვი სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობებს აწვდიდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასა და პასუხისმგებელ პირებს ოსმალეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ომის რთულ ვითარებაში ს. ლაშქაროვმა უცხო სახელმწიფოების გემებით რუსი ვაჭრები რუსეთში დააბრუნა და ამით გადაარჩინა ისინი თურქთა ძარცვასა და ძალადობას.

ს. ლაშქაროვმა კავშირი დაამყარა ბერძნებთან და მხარი დაუჭირა მათ გამოსვლებს თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ, რის გამოც თურქები მას სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა განსაცდელისგან თავის დაღწევას. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: თურქმა ფანატიკოსებმა ალყა შემოარტყეს თურქი ვაჭრის სახლს, სადაც იმ დროს ს. ლაშქაროვი იმყოფებოდა. ისინი თხოულობდნენ ლაშქაროვს; თითქოს, ტრაგიკული დასასრული გარდაუვალი იყო, მაგრამ ლაშქაროვი თვითონ შეება სასიკვდილო საშიშროებას. იგი სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან, გამოდგა სახლის ღია აივანზე, წყლით სავსე ტაშტით ხელში და წმინდა თურქულ ენაზე მიმართა ხალხს: „თუ თქვენ ახლავე არ დაიშლებით, მე ყველას მოგნათლავთ: „სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა“... ამ სიტყვების გაგონებაზე, ხალხი გაირინდა და თანდათან დაიშალა. ლაშქაროვი კი ნავსადგურში წავიდა — იქიდან კი გემით გაემგზავრა.

1771 წელს ა. ობრესკოვისა და რუსეთის საელჩოს სხვა წევრების პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ს. ლაშქაროვი მათთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

1774 წელს ოსმალეთთან ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ ს. ლაშქაროვი სხვადასხვა დავალებებს ასრულებდა: მან დააბრუნა ოსმალეთში მყოფი რუსი სამხედრო ტყვეები, აგრეთვე სხვა ქრისტიანებიც რუსეთში. 30 გემის დახმარებით ისინი ტაგანროგში ჩამოიყვანეს და იქ დაასახლეს.

1776-1778 წწ. ს. ლაშქაროვი იყო რუსეთის ვიცე-კონსული დარდანელში. რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული შავ ზღვაზე თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობის განვითარებით. ეს უფლება რუსმა ვაჭრებმა მიიღეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით. მაგრამ ოსმალეთის მთავრობა მათ სხვადასხვა დაბრკოლებებს უქმნიდა. საქმე ისაა, რომ სულთნის მთავრობა საუკუნეთა განმავლობაში შავ ზღვას „ოსმალეთის ტბად“ თვლიდა, იქ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და ვერ ურიგდებოდა თავის პოზიციების დათმობას. ს. ლაშქაროვმა დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ რუს ვაჭრებს თავისუფლად ესარგებლათ სრუტეებით და ინტენსიურად ჩაბმულიყვნენ ამ რეგიონის ვაჭრობაში.

1779 წ. ეკატერინე II-ის 7 დეკემბრის ბრძანებით ს. ლაშქაროვი დაინიშნა რუსეთის გენერალურ კონსულად მოლდავეთში, ვალახეთსა და ბესარაბიაში. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის მთავრობისა და რუსი ვაჭრების ინტერესების დაცვის საქმეს. ასე, მაგალითად, რუსეთის სავაჭრო გემებმა მიიღეს უფლება თავისუფლად შესულიყვნენ მდ. დუნაისა და ბესარაბიის ნავსადგურებში. შემცირებულ იქნა ბაჟები მოლდავეთსა და ვალახეთში ჩატანილ საქონელზე. რუსეთის ქვეშევრდომებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მოლდავეთში, უფლება მიეცათ თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში და სხვ. ს. ლაშქაროვმა აგრეთვე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ადგილობრივი კათოლიკური მოსახლეობის მიმართ, რისთვისაც რომის პაპის მადლობა დაიმსახურა.

ს. ლაშქაროვმა გარკვეული წვლილი შეიტანა რუსეთთან ყირიმის შეერთების საქმეში. ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით ყირიმი ოსმალეთის პროტექტორატობიდან გამოვიდა და დამოუკიდებელ სახანოდ იქნა გამოცხადებული. ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა ამას და მიისწრაფოდა ყირიმი კვლავ მას დაბრუნებოდა, ხოლო რუსეთი მის ხელში ჩაგდებას აპირებდა. ყირიმში ამ დროს ორი დაჯგუფება შეიქმნა: ერთი ოსმალეთს უჭერდა მხარს, მეორე კი — რუსეთს. ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, ეკატერინე II-მ 1782 წლის ოქტომბერში ს. ლაშქაროვი დანიშნა რუსეთის რეზიდენტად ყირიმის ხანის შაჰინ გირეის კარზე. მას დაევალა შეექმნა ხელსაყრელი პირობები ყირიმის რუსეთთან შესაერთებლად და წარმატებით შეასრულა ეს მეტად საპასუხისმგებლო დავალება. ყირიმში იზრდებოდა გავლენა რუსეთის მომხრეებისა, რომლებიც მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას. 1783 წ. 8 აპრილს ს. ლაშქაროვმა საზეიმო ვითარებაში წაიკითხა ეკატერინე II-ის მანიფესტი ყირიმის რუსეთთან შეერთების შესახებ და მოსახლეობა დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე. 17 აპრილს ყირიმის უკანასკნელმა ხანმა შაჰინ გირეიმ გამოაცხადა, რომ იგი ნებაყოფლობით თმობს ხანის პრეროგატივებს. ხანობიდან გადადგომის შემდეგ, შაჰინ გირეიმ დასტოვა ყირიმი და ტამანის ნახევარკუნძულზე გადავიდა, იქიდან აპირებდა უცხოეთში გამგზავრებას. რუსეთის მთავრობა შიშობდა, რომ ოსმალეთს შაჰინ გირეი არ გამოეყენებინა მის წინააღმდეგ და დიდად იყო დაინტერესებული, რათა ყირიმის ყოფილი ხანი საცხოვრებლად რუსეთში ჩასულიყო. ერთი სიტყვით, შაჰინ გირეის ოფიციალურად უნდა ეთქვა უარი ოსმალეთის ქვეშევრდომობაზე და ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის ქვეშევრდომობა. ეს ფრიად დელიკატური მისია ს. ლაშქაროვს დაავალეს. რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შაჰინ გირეის გულის მოგებას და რუსეთში საცხოვრებლად დაყოლიებას. გადაყენებულ ხანს ყოველწლიურად 200 ათასი მანეთი პენსია დაენიშნა. მაგრამ შაჰინ გირეი რუსეთში გამგზავრებაზე ფეხს ითრევდა. მაშინ, ს. ლაშქაროვის თხოვნით, რუსეთის მთავრობამ შაჰინ გირეის უბოძა გენერლის ჩინი და უმაღლესი ორდენი. ამის შემდეგ იგი დათანხმდა რუსეთში გამგზავრებას.

1784 წ. 15 მაისს ყირიმის უკანასკნელმა ხანმა ტამანი დასტოვა, ტაგანროგში გაემგზავრა, იქიდან —ვორონეჟში, ხოლო 1786 წ. იანვარში კალუგაში ჩავიდა. ამ მოგზაურობის დროს შაჰინ გირეის განუყრელად თან ახლდა ს. ლაშქაროვი. შაჰინ გირეიმ რუსეთის მთავრობას სთხოვა, ნება დაერთო, თავის ნათესავებთან წასულიყო. 1786 წ. დეკემბერში იგი ბერდიჩევში ჩავიდა, ხოლო იქიდან თურქეთში გაემგზავრა. სულთანმა იგი კუნძულ როდოსზე გაგზავნა, 1787 წ. ზაფხულში, სულთნის ბრძანებით, იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ყირიმში დევლეთ გირეების დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა. ეკატერინე II კი ენერგიულად შეუდგა ყირიმის ათვისებას. ყირიმის რუსეთთან შეერთების აღსანიშნავად მოჭრილ იქნა სპეციალური ოქროს მედალი, რომლის ერთ-ერთი პირველი კავალერი სერგი ლაშქაროვი იყო.

1786 წლის მარტში ს. ლაშქაროვი დანიშნეს სპარსეთის საქმეთა რწმუნებულად. რუსეთის მთავრობამ იგი გრაფ გრ. პოტიომკინთან გაგზავნა, რათა შემდგომ ჩასულიყო დანიშნულ ქვეყანაში. ფელდმარშალი გრ. პოტიომკინი დიდ როლს თამაშობდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკატერინე II-ის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. მას უაღრესად დიდი წვლილი მიუძღოდა ყირიმის რუსეთთან შეერთების საქმეში. და სწორედ ყირიმის საქმეების მოგვარების დროს დაუახლოვდა ს. ლაშქაროვს. სპარსეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გრ. პოტიომკინმა არამიზანშეწონილად ჩათვალა ს. ლაშქაროვის იქ გაგზავნა, თავისთან დაიტოვა და სხვადასხვა საპასუხისმგებლო დიპლომატიურ დავალებებს აძლევდა.

ამ დროს მეტად დაიძაბა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. ოსმალეთი განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. რუსეთის სამეფო კარს სურდა გაეგო, თუ რა უკიდურეს ნაბიჯს გადადგამდა ოსმალეთი მის წინააღმდეგ. საჭირო იყო რუსეთს შეერბილებინა ეს დაძაბული ვითარება. სწორედ ასეთ პირობებში გრ. პოტიომკინი, ეკატერინე II-ის დასტურით, გზავნის ს. ლაშქაროვს სპეციალური დავალებით კონსტანტინოპოლში, რუსეთის ელჩის ი. ბულგაკოვის დასახმარებლად. მისმა ჩასვლამ კონსტანტინოპოლში ევროპის დიპლომატებს შორის დიდი აურზაური გამოიწვია. მას უკვე კარგად იცნობდნენ, როგორც გამოცდილ დიპლომატს.

ს. ლაშქაროვისათვის აშკარა გახდა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ემზადება რუსეთთან ომისათვის. კონფლიქტი გარდაუვალი ჩანდა, ისიც ნათელი იყო, რომ ომის დაწყებისთანავე რუსეთის ელჩს ი. ბულგაკოვს დააპატიმრებდნენ. ს. ლაშქაროვი დაუკავშირდა დანიის ელჩს, თავის ძველ მეგობარს და სთხოვა მას, ი. ბულგაკოვის დაპატიმრების შემთხვევაში, მისთვის ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა (დანიის ელჩმა პირნათლად შეასრულა ეს თხოვნა).

1787 წ. მარტში ს. ლაშქაროვი სამშობლოში გამოემგზავრა. 24 აგვისტოს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ამ ომში რუსეთმა სამხედრო წარმატებებს მიაღწია. რუსეთმა თურქეთს შესთავაზა დაეწყო საზავო მოლაპარაკება. გრ. პოტიომკინმა ამ მოლაპარაკების წარმოება ს. ლაშქაროვს დაავალა. მან ეს საპასუხისმგებლო საქმე წარმატებით დააგვირგვინა. სწორედ, მისი აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ იქნა იასის საზავო ხელშეკრულების პირობები, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1791 წლის 29 დეკემბერს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სწორედ, აქ, იასაში 1791 წ. 25 იანვარს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი. ბუნებრივია, იბადება კითხვა, იასაში ჩასულმა ბესიკმა და მისმა საელჩოს წევრებმა დაამყარეს თუ არა კონტაქტი თავის თანამემამულე ს. ლაშქაროვთან და თხოვეს თუ არა მას დახმარება თავიანთი დიპლომატიური ამოცანის მოგვარების საქმეში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ვფიქრობთ, ეს აიხსნება იმით, რომ ქართველმა მეცნიერებმა, რომლებსაც შესწავლილი აქვთ ბესიკის ამ ელჩობის ისტორია, არ იცოდნენ ან არ მიუქცევიათ ყურადღება იმისათვის, რომ ს. ლაშქაროვი ქართველი იყო. ბესიკის იასაში ჩასვლა, სადაც იმ დროს ს. ლაშქაროვი იმყოფებოდა, შემთხვევითი არ ყოფილა.

ბესიკის ამ ელჩობის ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ვ. მაჭარაძეს და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მოკლედ, რომ იმერეთის მეფე დავითმა ბესიკი რუსეთში გაგზავნა მფარველობითი ტრაქტატის დადების მიზნით (მსგავსი იმისა, როგორიც დადებულ იქნა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წ. გეორგიევსკში). ამ დროს მთელი კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის საქმეები გრ. პოტიომკინის კომპეტენციაში შედიოდა და ამიტომ ბესიკი რუსმა მოხელეებმა მასთან გაისტუმრეს. 1787 წ. სექტემბერში ბესიკი კრემენჩუკში ჩავიდა, სადაც გრ. პოტიომკინი იმყოფებოდა. ბუნებრივია, რომ გრ. პოტიომკინი ბესიკის ელჩობის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ს. ლაშქაროვს თხოვდა რჩევასა და კონსულტაციას.

ჩვენი ვარაუდით, ბესიკის მოლაპარაკება გრ. პოტიომკინთან ს. ლაშქაროვის მეშვეობითა და ხელისშეწყობით მიმდინარეობდა.

1790 წ. 9 იანვარს იასიდან ბესიკის მიერ გრ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გრ. პოტიომკინს იგი ს. ლაშქაროვის პირით დაუიმედებია, სამშობლოში მალე გაგიშვებო: „ბრძანებისამებრ თქუვენისა აუწყებს ბესიკი გრ. პოტიომკინს, რომელიცა მე უფალმან ლაშქაროვმან იმედიულ მყო მსწრაფლ წარსულად მამულად ჩემდა, რომლითაცა ვბედავ ამას მოხსენებად, რათა ადრე მოხდეს წარსულაი ჩემი“.

ბესიკის გარდაცვალების შემდეგ, ს. ლაშქაროვმა დახმარება აღმოუჩინა მისი ელჩობის წევრებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში. 1791 წ. 8 დეკემბერს სვიმონ გაბაშვილი გრაფ ბეზბოროდკოს (რომელმაც გრ. პოტიომკინი შეცვალა) წერდა: „...ვთხოვე ჩემს ქვეყანაში გაშვება და მებრძანა სერგი ლაზარიჩის (ლაშქაროვის — მ. ს.) პირით: მცირედს ხანს მომიცადეო და პეტერბურგიდან რომ გამოვბრუნდები, დაუყოვნებლად გაგისტუმრებ სრულის პასუხითო. მერმედ ეს უბედურება მოიწია და, უგანათლებულესი კნიაზი (გრ. პოტიომკინი — მ. ს.) მიიცვალა და დავრჩი შვიდის კაცით ამ უცხოს ქვეყანაში“.

1791 წ. თებერვალში გრ. პოტიომკინი პეტერბურგში გაემგზავრა და 7 აგვისტოს უკან დაბრუნდა. იგი მძიმედ იყო დაავადებული და 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. ასე, რომ, ქართველი ელჩობისათვის ველარ მოიცალა.

ასევე, საფიქრებელია, რომ ბესიკის დაკრძალვა და საფლავის მარმარილოს ქვაზე წარწერის გაკეთება, ქართულ და ბერძნულ ენებზე, ლაშქაროვის დახმარებით უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ ბესიკის გარდაცვალების შემდეგ მისი ელჩობის წევრები მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ და უთუოდ ვერ შესძლებდნენ ბესიკის ძეგლისათვის საჭირო თანხის გამოყოფას.

1794 წელს ეკატერინე II-მ ს. ლაშქაროვს დაავალა საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაძღოლოდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საქმეებს. ამ დროს ეს უჯრედი საგარეო კოლეგიაში არ არსებობდა და მას მოუხდა დიდი მუშაობის ჩატარება მის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ ს. ლაშქაროვის დაუღალავი და აქტიური საქმიანობის შედეგად, 1796 წელს შეიქმნა რუსეთის საგარეო კოლეგიასთან აზიის საქმეთა დეპარტამენტი, რომლის პირველი მმართველი გახდა ს. ლაშქაროვი, ეკატერინე II-თან პირადი მოხსენების უფლებით. ამ დეპარტამენტის შექმნა განპირობებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი რუსეთის დიდი ინტერესით. ამ უწყებას ევალებოდა ურთიერთობა ეწარმოებინა ჩინეთიდან დაწყებული კავკასიის ქვეყნების ჩათვლით. აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ს. ლაშქაროვის დანიშვნა შემთხვევითი არ იყო. მას საკმაოდ დიდი დიპლომატიური გამოცდილება ჰქონდა. ამასთან ერთად იგი თავისუფლად ფლობდა რამდენიმე აღმოსავლურ ენას, რაც ხელს უწყობდა ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან პირადი კონტაქტების დამყარებასა და ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას.

ს. ლაშქაროვი დიდი ავტორიტეტითა და პატივით სარგებლობდა რუსეთის სამეფო კარზე. მას დიდად აფასებდა ეკატერინე II და პატივს არ აკლებდა. ერთხელ, ხელგაშლილი ცხოვრების მოყვარე ს. ლაშქაროვისთვის, ხუმრობით უკითხავს ეკატერინე II-ს: „გოლიათო, სანამდე უნდა ვიხადო შენი ვალები?“ — „ვიდრე [illegible]დობას არ დაივიწყებ“, — უთქვამს დიდოფლისათვის ს. ლაშქაროვს, რომელსაც, ჩია ტანადობის გამო, ხუმრობით გოლიათს უწოდებდნენ.

აზიის საქმეთა დეპარტამენტში მუშაობის დროს ს. ლაშქაროვის ყურადღების ცენტრში იმყოფებ-

ოდა საქართველოსთან ურთიერთობის საკითხები. მას ევალებოდა ქართველი უფლისწულების მიერ უავგუსტოესის სახელზე გაგზავნილი ყოველგვარი თხოვნის პირადად მიღება, თარგმნა რუსულ ენაზე და შემდეგ მისი წარდგენა იმპერატორისა თუ მინისტრისათვის, პირადი თვალსაზრისის მიხედვით, მის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე რუსეთში საქართველოდან ჩამოსული ელჩების დახვედრა, მათი დაბინავება, მოლაპარაკების წარმოება, უმაღლესი მოხელეებისა და იმპერატორისადმი მათი წარდგენა და სხვა. მას მიმოწერა ჰქონდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის და გარსევან ჭავჭავაძის წერილები ს. ლაშქაროვისადმი და სხვა.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები დიდ იმედებს ამყარებდნენ „ამ ქვეყნის შვილის“ სიტყვასა და საქმეზე.

1797 წ. 8 თებერვალს ერეკლე II ს. ლაშქაროვს წერდა: „თქვენის მხვლელობისაგან ჩვენს საქმეზედ გარჯა თქვენ მიერ ნიადაგ ჩვენთვის კეთილისმწადნელობა განცხადებული გვაქვს და სარწმუნო ვართ, რადგანაც ამ ქვეყნის (საქართველოს — მ. ს.) შვილი ხარ, ამას იქითაც ამ ქვეყნის ბედნიერებისათვის მოღვაწეობა გექმნებით და გარჯას არ დააკლებთ, ამისათვის მადლობელი ვართ თქვენის მხვლელობისა“.

დედასამშობლოს მიმართ სიყვარულის გრძნობის გაღვიძებით ცდილობდნენ ქართველები მის მიმხრობას თავიანთ მხარეზე და როგორც ეტყობა, ზოგჯერ კიდევაც სარგებლობდნენ მისი კეთილისმწადელობით.

1798 წ. 20 აგვისტოს ს. ლაშქაროვი გიორგი XII-ს წერდა: „რაც შემძლებლობა მაქვს, თქვენი სამეფო სახლისა და სამეფოს ერთგული და შემატების მცდელი ვარ, და ღ-თ საქმეს აქამდინაც მოვაღწევინეთ, რომელსაც თქვენის სიმაღლის დესპანი უფალი კნიაზი ჭავჭავაძეც მიმოწმებს, და თუ კნიაზ გიორგი ავალოვი გამოგებრუნებინათ, ახლა საქმე სრულებით როგორც თქვენი სამეფო სახლის შესამატი იყო, ისე შესრულებული იქნებოდა“.

საყურადღებოა ის, რომ როდესაც წყდებოდა სახელმწიფო საბჭოში საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი, ს. ლაშქაროვი იცავდა ქართლ-კახეთის სუვერენულ უფლებებს და მხარს უჭერდა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიურ ერთეულად დარჩენას. ამასვე მოითხოვდნენ პეტერბურგში ჩასული საქართველოს წარმომადგენლებიც.

განზრახული იყო ს. ლაშქაროვი იმპერატორის სახელით გაეგზავნათ საქართველოში მეფისა და ხალხის ერთგულების ფიცის მისაღებად. მაგრამ შემდგომში ეს გადაწყვეტილება შეცვლილ იქნა. ქართველების თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველო საბოლოოდ შეუერთა რუსეთის სახელმწიფოს.

ვინ იცის, ეგებ ამით აიხსნება ის, რომ ს. ლაშქაროვმა პირადი სურვილით დაწერა განცხადება პენსიაზე გასვლის შესახებ, რომელიც 1804 წ. 4 იანვარს დაკმაყოფილებულ იქნა. ის ფაქტი, რომ ამ დროს ს. ლაშქაროვი 64 წლისა იყო და ჯერ კიდევ შესწევდა მუშაობის უნარი (ამაზე ქვემოთ), ვფიქრობთ, მეტყველებს იმაზე, რომ იგი მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო. საფიქრებელია, რომ მან არ გაიზიარა მეფის რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ: საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეტად დაიძაბა მდგომარეობა ამ ქვეყნებში. გამოსვლები დაიწყო კახეთში, თიანეთში, ამიერკავკასიის სახანოებში. ამას მოჰყვა 1804 წ. ირანის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ს. ლაშქაროვი გაემგზავრა ბელორუსიაში საცხოვრებლად (ქ. ვიტებსკის მახლობლად მამული ჰქონდა). მაგრამ 1807 წ. გაზაფხულზე იგი პეტერბურგში გამოიძახეს და საპასუხისმგებლო დავალება მისცეს.

1806 წ. თურქეთმა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. რადგან ამ დროს რუსეთ-საფრანგეთის ომი მიმდინარეობდა, ეს ომი მისთვის არასასურველი იყო. რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული თურქეთს დაზავებოდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის სამეფო კარზე გაახსენდათ, რომ თურქეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებაში დიდი გამოცდილება და წარმატება ჰქონდა ს. ლაშქაროვს და ამიტომ მას მიმართეს — იგი დაინიშნა რუსეთის კონსულად მოლდავეთსა და ვალახეთში. მაგრამ მისი იქ ჩასვლის მთავარი ამოცანა იყო — ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყება. იასიდან იგი რიმნიკში ჩავიდა. აქ რუსეთის ჯარების მთავარსარდალი იყო გენ. ი. მიხელსონი. 18 აგვისტოს ს. ლაშქაროვმა დროებითი ზავი დადო თურქეთთან. 19 აგვისტოს გარდაიცვალა გენ. ი. მიხელსონი და მთავარსარდლად დანიშნულ იქნა ღრმამოხუცებული ფელდმარშალი ა. პროზოროვსკი. იგი თავის დროზე ცუდ ურთიერთობაში იმყოფებოდა გრ. პოტიომკინთან და სასტიკად სძულდა იგი. რადგან ს. ლაშქაროვი გრ. პოტიომკინის მეგობარი იყო, მან თავისი რისხვა ს. ლაშქაროვზე გადაიტანა — არ მოიწონა და არ დაამტკიცა დროებითი ზავის პირობები, რის გამოც ს. ლაშქაროვი უკან გაიწვიეს. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ მის მიერ ხელმოწერილი დროებითი ზავი, თითქმის ორი წლის განმავლობაში, 1809 წლის გაზაფხულამდე ძალაში დარჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომ ა. პროზოროვსკიმ თურქეთთან მოლაპარაკება მ. კუტუზოვს დაავალა. მასაც იგივე ბედი ეწია, იგი გაიწვიეს და ვილნოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ს. ლაშქაროვმა გაატარა ვიტებსკში, თავის მამულში, საიდანაც თვალყურს ადევნებდა გრანდიოზულ ისტორიულ ეპოპეას — რუსეთში ნაპოლეონის შემოჭრასა და განდევნას. 1814 წ. 6 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა, დაკრძალულია ვიტებსკის მონასტერში.

ს. ლაშქაროვის მოღვაწეობა სათანადოდ იყო დაფასებული: იგი იყო მრავალი ორდენის კავალერი. მას უბოძეს მამულები ყირიმში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვ.

1798 წ. გიორგი XII-მ საქართველოსათვის გაწეული სამსახურისათვის ს. ლაშქაროვს დაუბრუნა მამული გორის მაზრაში, რომელიც რუსეთში წასვლამდე მამამისს ეკუთვნოდა.

სერგი ლაშქაროვმა დიპლომატიურ სარბიელზე დაჰყო ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს. მას ყოველთვის ეკავა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობები და განსაკუთრებით ეხერხებოდა რთული მოლაპარაკებების წარმოება, რის გამოც, ხელოვანი დიპლომატის სახელი დაიმკვიდრა. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის დიპლომატიის რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ოსმალეთის იმპერიასთან, ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა და კეთილმოსურნეობას იჩენდა საქართველოსთან ურთიერთობისას. იყო აღმოსავლეთმცოდნე-დიპლომატი, დიდი წვლილი შეიტანა აზიის საქმეთა დეპარტამენტის ჩამოყალიბებაში, მისი კადრების მომზადებაში და გარკვეული ამაგი მიუძღვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოვებაში.

# წერილები კორტასარზე

გამოჩენილი არგენტინელი მწერლის ხულიო კორტასარის გარდაცვალებიდან ექვსი წლის თავზე, სამი წერილი გამოაქვეყნა ჟურნალმა „კასა დე ლას ამერიკამ“.

გთავაზობთ ამ წერილების ოდნავ შემოკლებულ თარგმანს.

## გაბრიელ გარსია მარკესი

### არგენტინელი, რომელმაც მთელ ქვეყანას შეაყვარა თავი

უკანასკნელად პრაღაში თხუთმეტიოდე წლის წინ გახლდით კარლოს ფუენტესთან და ხულიო კორტასართან ერთად. რადგან სამივეს ერთნაირად გვეშინოდა თვითმფრინავის, გადავწყვიტეთ პარიზიდან მატარებლით გვემგზავრა. დრო თავზესაყრელი გვქონდა და სანამ გაყოფილი გერმანიის გაყინულ ღამეში მივქროდით ჭარხლის მინდვრებს, ქარხნებსა და ომისდროინდელ ნანგრევებს შორის, გული მოვიოხეთ ლაპარაკით. ის-ის იყო დასაძინებლად მოვემზადეთ, რომ კარლოს ფუენტესს აზრად მოუვიდა ეკითხა ხულიოსთვის, ჯაზის ორკესტრს ფორტეპიანო როდის და ვისი ინიციატივით დაემატაო. წესით, ამ უბრალო შეკითხვას უბრალო პასუხი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კორტასარმა, რომელიც ყველაფერთან ერთად, უზადო ორატორიც გახლდათ, ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ჯაზის ისტორიის შესახებ, არ გამორჩენია არც ერთი ლეგენდა თუ ფაქტი. ჩვენ ვუსმენდით და თან ძეხვითა და ლუდით ვიქცევდით თავს. მე და კარლოს ფუენტესს, ალბათ, არასოდეს დაგვავიწყდება ის ღამე, ხულიოს ხმა და სიტყვებზე უფრო მეტყველი ჟესტები.

ამის შემდეგ, ჩვენ ერთმანეთს თორმეტი წლის შემდეგ შევხვდით მანაგუას ერთ-ერთ პარკში. ხულიო ბრბოს წინაშე იდგა უიარაღოდ, უფრო, სწორად — განუმეორებელი ხმით შეიარაღებული და ხალხს თავის მოთხრობას უკითხავდა. მოთხრობაში მოკრივე ლაპარაკობს ბუენოს-აირესის დაბალი ფენების დიალექტზე, რომლის გაგებაშიც ჩვენ, დანარჩენ მოკვდავებს, ტანგოს მეტრფეთ მოურავეთ გვიშველის. კორტასარმა თავად აირჩია ეს მოთხრობა ხალხში წასაკითხად. ბრბო კი, რომელთა შორის იყვნენ პოეტები, რევოლუციონერები და მათი მოწინააღმდეგენი, ერთ მუშტად შეკრული იჯდა მოლზე და სულგანაბული უსმენდა მოკრივის ალსარებას. ძნელად გასაგებ არგენტინულ დიალექტზე მეტად, ხალხს კორტასარის განუმეორებელი, არაამქვეყნიური ხმა აჯადოვებდა.

ვიხსენებ ამ ორ შემთხვევას. პირველად, მატარებელში, როცა თავისი მჭევრმეტყველებით, საოცარი მეხსიერებითა და განსწავლულობით გაგვაოცა, და მეორედ, ხალხის წინაშე, როცა შეიძლებოდა თავისი მოთხრობის გაუგებარი დიალექტის წყალობით, ხალხის სასაცილო გამხდარიყო, თუმცა, პირიქით კი მოხდა; და ვრწმუნდები, რომ ხულიო კორტასარი ერთადერთია ჩემს ნაცნობებს შორის, ორი შეხვედრით ასეთი ღრმა შთაბეჭდილება რომ დატოვა ჩემზე.

მისი მოთხრობების პირველი კრებული ბარანკილიას ერთ-ერთ სასტუმროში წავიკითხე, სადაც ერთ პესოდ და ორმოცდაათ სენტავოდ ვათევდი ღამეს, ხელმოცარული მოთამაშეებისა და მხიარული მეძავი ქალების გარემოცვაში და პირველივე სტრიქონებიდან მივხვდი, რომ ხულიო სწორედ ისეთი მწერალი იყო, როგორიც მე თვითონ მსურდა დიდობაში ვყოფილიყავი.

შემდეგ შევიტყვე, რომ ხულიო სენ-ჟერმენის ბულვარზე მდებარე კაფე Old Nave-ში დადიოდა საწერად, და მეც რამდენიმე კვირა ვდარაჯობდი, სანამ ერთ დღეს არ შემოვიდა — მაღალი, ქვრივის მოსასხამის მსგავს გრძელ შავ პალტოში გახვეული. გამჭვირვალე ხბოსებრი თვალებიდან დიდი სიკეთე ელვრებოდა. კუთხეში მდგარ მაგიდასთან წერდა მოსწავლის რვეულში და კალმიდან გამონაჟონი მელანი თითებს უსვრიდა. მაშინ კორტასარი თავისივე მოთხრობის გმირს — უსახელო სამხრეთამერიკელს მივამგვანე, რომელიც ცნობისწადილით უცქერის გილიოტინაზე თავის მოკვეთის პროცესს. მთხრობელი ვერ ბედავს მასთან გამოლაპარაკებას, რადგან, ამერიკელის გაბრაზებისა ეშინია, თვითონაც ხომ ასე მოიქცეოდა მსგავს შემთხვევაში.

საოცარი ის გახლავთ, რომ მაშინ Old Nave-ში მეც ამ შიშმა ამიტანა და ვერ გავბედე გამოვლაპარაკებოდი, შორიდან ვუყურებდი, როგორ წერდა თითქმის ერთი საათი, არც არაფერი დაულევია ნახევარი ჭიქა მინერალური წყლის მეტი. ქუჩაში სიბნელე რომ ჩამოწვა, კალამი ჯიბეში შეინახა და იღლიაში რვეულამოჩრილი მოსწავლესავით გავიდა გარეთ.

ცოტა ხნის წინ, მეც მჯეროდა ლეგენდისა, რომ ხულიო უკვდავია, რადგან განუწყვეტლივ იზრდება, თუმცა იმავე ხნისაა, რამდენისაც დაიბადაო. სიცოცხლეში ვერ გავუბედე მეკითხა, მართალი იყო ეს თუ არა, ისევე, როგორც ვერ გავბედე მეამბნა მისთვის 1956 წლის იმ საღამოს შესახებ, Old Nave-ში შორიდან რომ ვუყურებდი და მისვლისა მეშინოდა.

კარგ მწერალს, მთელი ცხოვრება თან სდევს პატივისცემა, სიყვარული და, რაღა თქმა უნდა, შური. არც ხულიო გახლდათ გამონაკლისი. ის იქნებ ვერც კი ხვდებოდა, როგორ შეაყვარა მთელ ქვეყანას თავი და თუ სხვები ერთხელ კვდებიან, ხულიო მეორედ უნდა მომკვდარიყო სირცხვილისგან, როცა ნახავდა, როგორ შესძრა მთელი მსოფლიო მისმა სიკვდილმა.

## კლარიბელ ალეგრია

### მოზიდული მშვილდი

ხულიო კორტასარის სახით, ჩვენმა ამერიკამ, დაკარგა არა მარტო ამ საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, არამედ ჩვენი ხალხების თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი.

ხულიოს არც მაშინ დაუკარგავს თავმდაბლობა, საქვეყნოდ აღიარებული მწერალი რომ გახდა. ყველას მოკრძალებით ექცეოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისადმი იჩენდა კეთილმოსურნეობას.

ჩვენ მრავალი წლის ნაცნობობა გვაკავშირებდა და მთელი ამ ხნის მანძილზე, არ მახსოვს, ხულიოს რაიმე შეუფერებელი ფრაზა წამოესროლოს ან დაუფიქრებელი ჟესტი გაეკეთებინოს. ხშირად მეუბნებოდა: როცა კაცი წიგნის საწერად ჯდება, ბოლომდე უნდა მოზიდოს მშვილდი; წიგნი რომ დასრულდება, მშვილდი კედელზე უნდა ჩამოკიდოს და მეგობრებში ორი ჭიქა ასწიოს.

ქედმაღალი არასოდეს ყოფილა. სწორედ ამიტომ, გრძნობდნენ ახალგაზრდები მის გვერდით თავს კარგად. ხულიოს დიდბუნოვნებაზე ისიც მეტყველებს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, უკვე ავადმყოფი, საწოლიდან რომ წამოდგა, რათა ერნესტო კარდენალთან ერთად მონაწილეობა მიეღო სატელევიზიო დისკუსიაში, რომელიც მთლიანად კუბასა და ნიკარაგუას ეხებოდა. სასიკვდილოდ განწირული პარიზიდან, ბარსელონას ჩავიდა ჩვენი რევოლუციების დასაცავად.

სამხრეთამერიკელები ვალში ვართ ხულიოსთან და, ჩემი აზრით, ყველაზე დიდ პატივს, მაშინ მივაგებთ მას, თუ არ შევწყვეტთ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

## ხუან გელმანი

### წერილი

ძვირფასო ხულიო!

გადავწყვიტე, წერილით მომემართა, რადგან თქვენზე ლაპარაკს თქვენთან ლაპარაკი მირჩევნია. თქვენ ხომ კარგა ხანია, ჩემი მეგობარი, ჩემი განუყოფელი ნაწილი ხართ.

მახსოვს, 1971 წელს პაკო ურონდომ არგენტინის ერთ-ერთი გაზეთის ამონაჭერი გამოგიგზავნათ პარიზში, სადაც ლაპარაკი იყო სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მცდელობაზე. ამით პაკომ მიგახვედრათ, რომ თვითონაც მონაწილეობდა ამ გამოსვლაში და რომ თქვენც თავისთან ეგულებოდით. ეს პირველი შემთხვევა იყო, პაკომ სიკვდილს რომ ჩახედა თვალებში, და თქვენც იქ იყავით. ყველაფერი ეს პაკომ ამ ფლიდი ქვეყნის წინააღმდეგ, სიმართლისა და სილამაზის სახელით ჩაიდინა და მისი განუყოფელი თანამგზავრი თქვენი ღირსება, თქვენი სიმართლე და რწმენა იყო.

რა საინტერესოა, მწერალი ხულიო კორტასარი ოცდაათი წლის წინ ტოვებს სამშობლოს და პარიზში სახლდება, იქ ქმნის თავის ნაწარმოებებს, და ჩვენ, თქვენს მერე მოსული თაობები, იარაღით ხელში რომ ვიბრძვით სიმართლისთვის, მართალი სიტყვისთვის, ვკითხულობთ თქვენს მოთხრობებს და ვხვდებით, რომ არასდროს გიღალატიათ ჩვენთვის, მართალი სიტყვისთვის, ბუენოს-აირესის ნასერსის სუნით გაჟღენთილი კაფეებისთვის.

იმ მწერლების მეტი რა მინახავს, არგენტინიდან ფეხი რომ არ გაუდგამთ და მაინც ფრანგულ სტილში წერენ. მე კი ბუენოს-აირესს პარიზში დაწერილი თქვენი მოთხრობებით ვეცნობოდი. ამაშია თქვენი გენიალობა. ვფიქრობ. არ არის საჭირო, აგიხსნათ, რატომაა თქვენი მოთხრობები უფრო თამამი, ვიდრე ბორხესისა, უფრო იდუმალი და ამავე დროს, უფრო გასაგები.

მე თქვენ ყოველთვის თქვენსავე პერსონაჟს გამგვანებდით, ერთი ფანჯრიდან მეორეში, ერთი არსებიდან, მეორეში გადასასვლელ გზებს რომ იგონებს.

მუდამ ვგრძნობ თქვენს უსაზღვრო სიყვარულს. ვიცი, რომ თქვენი ქმნილებები ჩვენ დაგვიფარავს და დაგვეხმარება, და რომ თქვენი საუკეთესო ქმნილება თავად თქვენ ბრძანდებით.

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვასალიამ.

---

## იქმნება ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაცია

1990 წლის 3 თებერვალს 15 საათზე დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის შენობაში (რუსთაველის გამზირი №19) ჩატარდება საქართველოს ახალგაზრდა კრიტიკოსთა (თეატრმცოდნეები, კინომცოდნეები, მუსიკათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები) ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა.

ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთ ვთხოვთ სარეგისტრაციოდ გამოცხადდნენ 3 თებერვალს, 14 საათზე. დამატებითი ცნობების მისაღებად მოგვმართეთ ამავე მისამართზე 30.31/I. 1990 წ. 15-საათიდან 18-საათამდე.

ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი

## ყურადღება!

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ გამოცხადებული თანამედროვე ქართული პიესების რესპუბლიკური კონკურსის (დევიზით: „ადამიანი და ისტორია, ადამიანი და სარწმუნოება, ადამიანი და ბუნება“) ვადა გაგრძელებულია ა. წ. 1 მარტამდე.

ნაწარმოებები უნდა გამოგზავნოთ საქართველოს კულტურის სამინისტროში, მისამართით: 380008, რუსთაველის პროსპექტი, 37.

# ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...

როლანდ თოფჩიშვილი

ჩვენ მხოლოდ ორიოდე მაგალითი მოვიყვანეთ ქართველთა გაოსებისა XIX-XX ს.ს.-ში. ასეთი პროცესები ხომ უფრო ადრეც იყო. სწორედ ასეთი გაოსებული ქართველები არიან ის ოსები, რომელთა გვარები -ურ და -ძე სუფიქსებით ბოლოვდება. ისტორიის უკან დაბრუნება შეუძლებელია. ადამიანის ეროვნებას მისი სული და შეგნება განსაზღვრავს. რომ არ შემომედავონ, კიდევ ერთ გაოსებულ ქართულ გვარს დავასახელებ — გერგაული (გერგაულოვი). ამ გვარს საფუძვლად უდევს უძველესი ქართველური (კოლხური) სახელი გერგა, გერგო, რომელსაც ბოლო დრომდე სამეგრელოს ყოფაში იყო შემორჩენილი. აქედანაა ნაწარმოები ქართული გვარი გერგაია. თავისთავად ცხადია, ძველმა ქართულმა სახელმა გერგამ დაუდო საფუძველი შიდა ქართლის მთაში გერგაულის გვარს, რომლებიც, გაოსების შემდეგ, უკვე XX ს.-ში, გერგაულოვებად იქცნენ.

იგივე ლაიტმოტივი გ ხდევს ი. გაგლოითის ვრცელ წერილს „ღია წერილი ნუგზარ ცერაძეს". გაგლოითის კრიტიკის ადრესატია ცერაძე, რომელმაც დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში", რომ ცხინვალში ცოტა ხნის წინ თითო-ოროლა ოსთა ოჯახი თუ ცხოვრობდა. აქ მხოლოდ ქართველთა უბნები თუ გამოიყოფოდა. გაგლოითი ჩამოთვლის იმ ოსურ ოჯახებს (გვარებს), რომლებიც ომისწინა და რევოლუციამდელ ცხინვალში ცხოვრობდნენ. ხაზს უსვამს, რომ რიგი სოფლები ცხინვალის ირგვლივ ოსებით იყო დასახლებული. ასე და ამრიგად, როგორც ცერაძე წერს, ოსები მხოლოდ მთაში ცხოვრობდნენო. უფრო მეტიც, ი. გაგლოითის მიხედვით, ოსთა დასახლებები შიდა ქართლის ბარში უკვე არსებობდა XIII-XIV საუკუნეებში. საინტერესოა, რომელ ისტორიულ საბუთებზე აქვს ი. გაგლოითს ლაპარაკი, რომლებითაც შიდა ქართლის ბარში და თუგინდ მთაშიც 6-7 საუკუნის წინ ოსური დასახლებები დასტურდება? გაგლოითი გაუოცებია ცერაძის იმ წინადადებას, რომ ცხინვალში ოსური მოსახლეობის დამკვიდრება ავტონომიის მიღებამ განაპირობა, თუმცა, ნაწილობრივ ამაში არც მას ეპარება ეჭვი, მაგრამ, მას ცხინვალსა და შიდა ქართლში ოსთა ოდინდელი მკვიდრობის დამადასტურებლად იგივე მასალა მოაქვს, რაც მამითს. ოსთა შიდა ქართლის, ანუ დღევანდელი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დიდი ხნის მკვიდრობის დამადასტურებელია თურმე ოსური წარმომავლობის ქართული გვარები. აი, ეს ქართული (ოსყოფილი) გვარები: ცერაძე, ოქროპირიძე, კასრაძე, ბლიაძე, ბურნაძე, ჯაფარიძე, მაისურაძე, სალამაძე, ბელელური, ბაგაური, თედიაშვილი, სრესელი, იაშვილი, გოდაბრელიძე, ლომიძე, გომართელი... გაგლოითის საყურადღებოდ, ერთ რამეს ვიტყვი: როგორც ისტორიკოსმა, მან უნდა იცოდეს, რომ, თუ, დავუშვათ, ვინმე ბლიაძემ, ანდა მაისურაძემ, თავისი ოსური წარმომავლობის შესახებ მას მასალა ჩააწერინა, ის, ჯერ ერთი, გადასამოწმებელია, სხვადასხვა წყაროებით და, მეორე, საქართველოსა და კავკასიის თითქმის ყველა ხალხში არსებობდა ერთი გვარის, უფრო სწორედ, ერთი ადამიანის (ასეთი ადამიანი სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც შეიძლებოდა ყოფილიყო), სხვა გვარში შესვლის ჩვეულება. სოფელში მოსული, თუ ის, განსაკუთრებით, მესისხლეობის გამო იყო გადმოვარდნილი, დამხვდურის გვარზე ეწერებოდა. განსაკუთრებით, ხშირი იყო ასეთი მიგრანტების უმემკვიდრეო ოჯახში ზედსიძედ შესვლა, რომელიც მემკვიდრეობის მიღების გამო სიმამრის გვარს იღებდა. ასეთი გადმოვარდნილი პიროვნებანი ჩვეულებრივ ქართულ სოფლებში ოსებიც იყვნენ ხოლმე და თუ რომელიმე ჯაფარიძის, მაისურაძის, ბურნაძის, ჯიბლაძის, იაშვილის ოჯახში შესულმა ოსმა დამხვდურის გვარი მიიღო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი გვარები ოსები არიან? ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან. პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერტულში აბაევები მკვიდრობდნენ. ამ სოფელში მოსახლე აბაევების ერთი შტო წარმომავლობით ქართველები არიან ძირად, ჯირკველაძეები, რომელთა წინაპარიც აქ XVIII საუკუნის ბოლოს რაჭიდან გადმოსახლებულა. გარკვეული მიზეზების გამო ჯირკველაძეები აბაევებად დაეწერნენ. ჯირკველაძეების მიერ აბაევების გვარის მიღება და გაოსება დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითა და საარქივო მონაცემებით. დღეს რომ რომელიმე აბაევმა თქვას, ქართველი ვარ წარმომავლობით — გვარად ჯირკველაძე, განა შეიძლება ჩვენ ეს მთლიანად აბაევების გვარზე გავავრცელოთ და ოსი აბაევები წარმომავლობით ქართველებად მივიჩნიოთ? ეს ხომ ოსი ხალხის გულისწყრომას გამოიწვევდა. მეცნიერი ისტორიკოსი კი ასეთ ნიუანსებში უნდა ერკვეოდეს.

ოსების შიდა ქართლში მიგრაციის შესახებ, ს ბედნიეროდ, გაგვაჩნია საისტორიო წყაროები, თუმცა, ზოგს არ უნდა ისინი სწორედ ან, საერთოდ, წაიკითხოს. ამ საკითხზე, ჩემი აზრით, მეცნიერულად ამომწურავი წერილი გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა ჯ. გვასალიამ. ზოგიერთ მასალას კიდევ დავუმატებ. ოსთა შიდა ქართლის მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ნათელ სურათს გვიხატავს XIX ს.-ში არაერთგზის ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერა, ამ კომლობრივი აღწერების ურთიერთშედარება. კამერალური აღწერის დავთრებში ოსები ძირითადად „სიზნის" კატეგორიით არიან მოხსენიებული. XIX ს.-ის დასაწყისში ოსები ძირითადად განსახლებულნი იყვნენ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის და მეჯუდას ხეობების მხოლოდ უკიდურესად მთიან ზოლში. ამ დროისათვის შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსური დასახლებები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით იყო წარმოდგენილი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალსა და ახალგორში არც ერთი ოსური ოჯახი არ მოსახლეობდა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ საოჯახო სიების დედნები, რომლებიც, საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახება, დაწვრილებით მაქვს შესწავლილი. ხოლო, ვისაც საარქივო მასალაზე (საოჯახო სიების დედნებზე) ხელი არ მიუწვდება, ვთხოვ, ნუ დაიზარებს და ჩაიხედოს ამავე საოჯახო სიების სტატისტიკურ კრებულში, რომელიც აღწერიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, 1893 წელს გამოვიდა «Свод статистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г». (ცხინვალის ნომერი წიგნში 1414-ია — გორის მაზრის, ხოლო ახალგორის 1599—დუშეთის მაზრის).

XIX ს.-ის პირველ ნახევარში ოსთა მთიდან მიგრაცია ძირითადად მთისწინეთში ხდებოდა, ხოლო XIX ს.-ის მეორე ნახევარში დაიწყო ინტენსიური გადასახლება შიდა ქართლის ბარის სოფლებში. ამ სტრიქონების ავტორს გააჩნია საარქივო მასალები, რომლითაც დაინტერესებულთ შეუძლია მიანიშნოს, რომ მთისწინეთისა და ბარის ამა თუ იმ სოფელში, ოსთა ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლები მთის რომელი სოფლიდან და როდის გადმოსახლდნენ. საგაზეთო წერილში ამ მასალების მოტანის შესაძლებლობა არაა. ამ რიგის მცირე მასალა ჩვენს მიერ გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მნათობის" 1987 წ. № 12-ში.

შიდა ქართლის ისტორიული ეთნოდემოგრაფიული ვითარების გასარკვევად, ჩვენი ოსი კოლეგები ერთგვარ ტენდენციურობას იჩენენ იმ თვალსაზრისით, რომ, მაგალითად, სამეცნიერო მიმოქცევაში არ შემოაქვთ ცნობილი მეცნიერის ვ. აბაევის შემდეგი სიტყვები:

«Исторические и языковые факты подтверждают, что поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в последние 200 лет. Они выселились гонимые малоземельем и нищетой, из разных высокогорных районов Северной и Южной Осетии и принесли с собой мешанину говоров и наречий» (В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1949, გვ. 501).

ჩვენი მხრით, დავსძენთ, რომ იგივე შეიძლება ითქვას ლეხურას და მეჯუდას ხეობებზე. რაზან ქსნის ხეობაზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ითქვას, რომ XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ქსნის ხეობაში ქართველები მთელი მოსახლეობის კომლთა რაოდენობის 81,3%-ს შეადგენდნენ, ოსები — 18,7%. 1873 წელს ეს მაჩვენებელი აქ ოსების სასარგებლოდ შეიცვალა (ქართველები 73%, ოსები 27%, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქსნის ხეობის მთიანი ნაწილიდან მთელი რიგი ქართული გვარების აყრითა და ქართლისა და კახეთის ბარში ჩასახლებით.

ოს მეცნიერებს სამეცნიერო მიმოქცევაში არ შემოაქვთ აგრეთვე ზ. ვანეთის სტატია «К вопросу о времени заселения Юго-Осетии», რომელიც სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა 1936 წელს. ზ. ვანეთი წერს:

«Время, когда современные осетины заняли Юго-Осетию, возможно определить с приблизительной точностью. При этом выясняется, что они не являются потомками прежних юго-осетин, а переселились в Юго-Осетию после того, как в известный исторический момент эта горная страна была оставлена прежним населением спустившимся в долины Грузии» (გვ. 378).

ამ სტრიქონებიდან, ჩანს, რომ დღევანდელი სამხრეთელი ოსები გვიან პერიოდში არიან გადმოსახლებული ჩრდილოეთიდან. მაგრამ თურმე უფრო ადრეც, შიდა ქართლის ისტორიული მიწა-წყალი სამხრეთ ოსებით ყოფილა დასახლებული, რომლებიც საქართველოს ბარში გადასახლდნენ და რომლებშიც, რა თქმა უნდა, ის ქართული გვარები იგულისხმებიან, რომლებიც ვანეთის სტატიის დაბეჭდვიდან 50 წელზე მეტი ხნის შემდეგ შემოგვთავაზეს მამითმა და გაგლოითმა. ისინი არად დაგიდევენ ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ სიტყვებს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 363-364).

რა წყაროთი განსაზღვრავს ზ. ვანეთი დღეს შიდა ქართლში განსახლებულ ოსთა ძირითადი გვარების მიგრაციას ჩრდილოეთ კავკასიიდან? ჩვენი აზრით, ის იყენებს ორიგინალურ და მეტად სანდო მასალას. ესაა გადმოცემები. გვართა შესახებ ასეთი გენეალოგიური გადმოცემები უცხო არ იყო ჩვენი მთისთვისაც. სულ ცოტა ხნის წინათ ნახავდით ბევრ ხევსურს, რომელიც თავისი წინაპრის 10-15 თაობას დაგითვლიდათ. ასეთი გენეალოგიური გადმოცემები, საბედნიეროდ, დაცული ყოფილა ოს ხალხშიც. ასე, რომ ზ. ვანეთის სიტყვები რომ ვისმაროთ, ჯავის ხეობაში (სამხრეთ ოსეთის ამ ცენტრში) მოსახლე ძირითადი გვარები ჩრდილოეთ კავკასიიდან 10 თაობის წინ გადმოსახლებულან. ხოლო ზოგიერთი, უფრო ადრე. მაგალითად, გაგლოევები გადმოსახლების შემდეგ 12 თაობას ითვლიდნენ. ბეგიზოვები მაღრან-დვალეთში 16 თაობის წინ დამკვიდრებულან. ყველა გადმოცემით ყველაზე ადრე სამხრეთისაკენ სწორედ ეს უკანასკნელი გვარი ბეგიზოვი გადმოსახლებულა. ზ. ვანეთი ერთ საუკუნეზე სამ თაობას ანგარიშობს და ასკვნის, რომ შიდა ქართლში განსახლებული ძირითადი ოსური გვარები, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული არიანო 4-5 საუკუნის წინ, ე. ი. XV-XVI ს.ს.-ში. ზ. ვანეთი არასწორად გამოითვლის. ჩვეულებრივ, ერთ საუკუნეში ოთხი თაობა ეტეოდა, და არა სამი. თუ ვიანგარიშებთ ერთ თაობაზე 25 წელს (და ეს ასეცაა, რადგან მამაკაცის საქორწინო ასაკი ოსებში 20 წლის ასაკს ემთხვეოდა), გამოდის, რომ სამხრეთით ჩრდილოეთიდან ოსების მიგრაცია ორნახევარი — სამი საუკუნის წინ განხორციელდა, ე. ი. XVII საუკუნეში.

პფაფის მონაცემებითაც, თვით ჩრდილოეთ კავკასიის ქურთათის ხეობაში დღეს მოსახლე ოსური გვარები XV-XVI ს.ს.-ში დასახლებულან. ხოლო ამ ხეობის უფრო ადრინდელი მოსახლეობა იმავე პერიოდში თრუსოში (დღევანდელი ყაზბეგის რაიონი) მიგრირებულა.

აშკარად გამიზნული ტენდენციურობით კითხულობენ და თარგმნიან ოსი ისტორიკოსები (გ. თოგოშვილი) XVII საუკუნის პირველი ნახევრის მამულის ნასყიდობის წიგნს მიცემულს ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებისათვის, სადაც ვკითხულობთ: „ამოწყდა ზემოჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. მოგყიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისისა სასაფლაოთა, საქნავითა, სათიბითა... ძიგანიძე, მისი მემკვიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ... ამისი მოწამენი არიან ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი" (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 363-364). საბუთში სიტყვასიტყვით წერია, რომ ზემო ჯავის მოსახლეობა ამოწყდა ოსებისაგან, ოსთა თავდასხმებისაგან. გ. თოგოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა კი საბუთი შემდეგნაირად თარგმნეს და შესაბამისად არასწორად ნათარგმნი საბუთი ოს კოლეგებს შემოაქვთ სამეცნიერო მიმოქცევაში: «Вымерла Верхняя Джава и не стало там Осетин» (История Осетии в документах и материалах. Составили Г. Д. Тогошвили и И. Цховребов, т. I, Цхинвали, 1962, с. 103).

ვისაც ქართული ენა ესმის, ამ საბუთის გაგება მხოლოდ ერთგვაროვნად შეიძლება და არა ისე, ვის როგორც აწყობს. იმისთვის მაინც გაეწიათ ანგარიში, რომ საბუთში მოხსენიებული ზემო ჯავაში მოსახლე ძიგანიძე ქართველია. მადლობა ღმერთს, ამ ძირის ოსური გვარი არ არსებობს, თორემ მტკიცება ძიგანიძის ოსობის შესახებ არ აგვცდებოდა. სხვათაშორის, საბუთიდან ისიც ირკვევა, რომ ოსთა სამხრეთისაკენ მიგრაცია არც თუ ისე მშვიდობიანი იყო.

რადგან ოსთა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიგრაციაზე ჩამოვარდა სიტყვა, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო მეჯუდას ხეობაში ოსთა მიგრაციის საკითხს. ხეობის უკიდურეს ზემო წელში XVIII საუკუნის დასასრულს 5 ოსური სოფელი იყო (იხ. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 40), ხოლო დანარჩენ სოფლებში მთიდან მეჯვრისხევამდე მოყოლებული, სულ ქართველები ცხოვრობდნენ, ანდა სოფლები ნასოფლარებად იყო ქცეული. სოფ. მეჯვრისხევი გორის რაიონში შედის. მეჯვრისხევს ზედ აკრავს სოფელი ღრომი, რომელიც ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონს განეკუთვნება. ღრომს ზემოთ, მეჯუდას ხეობაში დღეს ხეობის უკიდურესი ნაწილის ისროლის ხევის გარდა, ყველა სოფელში ოსები მოსახლეობენ. XIX ს.-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან კარგად ჩანს, თუ როდის დასახლდნენ მეჯუდას ხეობის სოფლებში (ღრომი, გორეთი, მოხისი, ივრეთი, ბიეთი, ანდორეთი, ბიყარი, მეჯვრისხევი, ჭალისუბანი...) ოსები. დრომდე ჯერ კიდევ 1886 წელს მთლიანად ქართველები მკვიდრობდნენ (იხ. Свод... გორის მაზრის სოფელი 882 ნომრით). 1814 წლის აღწერის მიხედვით, ღრომის ზემოთ, ხეობაში არსებული ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები უკვე ნასოფლარებად იყვნენ ქცეული. სად წავიდა ზემოთ დასახელებული ნასოფლარების მოსახლეობა? სად გადასახლდა, ანდა ვინ იყვნენ ისინი? ანდორეთის, ბიეთის, ივრეთის, გორეთის, ბიყარის მკვიდრი ქართველთა შთამომავალნი შიდა ქართლის ბარის სხვადასხვა სოფლებში გაფანტულან, ძირითადად მეჯვრისხევში. მაგალითად, დღეს მეჯვრისხევში მოსახლე ბეგიაშვილები ბიყარიდან არიან მიგრირებული. სხვათაშორის, დღეს ბიყარში მოსახლე ტუაევები და დუდაევები, თავად მიუთითებენ ბეგიაშვილთა ნასახლარებს. ბენდერიდან ჩამოსულან მეჯვრისხევში ხახუტაშვილები XVIII ს.-ში. 1814 წელს ბენდერში უკვე 17 კომლი ოსი ცხოვრობდა, მაგრამ ყველა მათგანს მიწერილი აქვს, რომ ისინი დროებით მცხოვრები ლიახველი ოსები არიან. ბიყარიდან არიან მეჯვრისხევში მოსული ფიდიურებიც. 1781 წლის აღწერაში მეჯვრისხევში მითითებულია ბიყრელი ფიდიური. მეჯუდას ხეობის სოფ. ჭალისუბნიდან არიან მიგრირებული ახალუბნელი ფსიტიძეები. სოფ. ივრეთის მკვიდრნი იყვნენ ინაურები და მილაძეები. მეჯვრისხევში მოსახლე ვეშაპურებიც მეჯუდას ხეობის სოფ. ვეშაპურიდან (სოფელ მოხისთანაა) არიან მიგრირებული. ასე იყო ყველა ხეობაში. ქართველი მთიელები თანდათან ბარში მიდიოდნენ საცხოვრებლად, მათ ნასოფლარებზე კი ჩრდილოეთიდან მიგრირებული ოსები მკვიდრდებოდნენ. ასეთია ადამიანის ყოველდღიური [illegible] რაფება — გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები.

კიდევ ერთი ხეობის — ფრონეების შესახებაც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ეს დღევანდელი ზნაურის რაიონია. საბედნიეროდ გაგვაჩნია 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი, რომელშიც დღევანდელი ზნაურის რაიონის სოფლებიცაა შეტანილი. აღწერილი არიან ოჯახის უფროსები გვარითა და სახელით. დავთარში შეტანილ არც ერთ სოფელში 1715 წლისათვის ოსური მოსახლეობა არ იყო. ისინი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, იგივე მდგომარეობა იყო შენარჩუნებული ერთი საუკუნის შემდეგ. ახლა კი, ამ სოფლებში ან შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობაა, ანდა მათში მთლიანად ოსები არიან დამკვიდრებული. აღნიშნულ დავთარში ჩამოთვლილი ბევრი ქართული გვარი დღეს აღარ არსებობს. ისინი XVIII საუკუნის შფოთიან დროს შეეწირნენ. ნაწილი კი უფრო მყუდრო და მშვიდ ადგილებში გადასახლდნენ. ნასოფლარებზე ოსები დამკვიდრდნენ XIX ს.-ში. ახლა შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობაა ძვიმლეთში, არკნეთში, ერკნეთში, ხუნდისუბანში, თილვაში, ოქონასა და ტყისუბანში, ფათქინეთში, ქალეთში. მთლიანად შეიცვალა მოსახლეობა და ახლა ოსებითაა დასახლებული ს[illegible]თი, ფრინევი, ღვერთეთი, თო[illegible]ნეული, ბეყმარი, წორბისი, თერეგვანი, ოჟორა, ლარისთავი, ბალთა, მეტეხი. ფრონეების ხეობაში XVIII ს.-ის დასასრულს ოსური მოსახლეობა რომ არ იყო, კარგად ჩანს ეს იოანე ბაგრატიონის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან. სხვათაშორის, მის დროს, სადაც კი, ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა, ყველგან აღნიშნული აქვს ასე: „გუფთა, ოსები სახლობენ"; „ოსის

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო", № 3.

სოფელი მარილეთი"; „საფაშეთი (ოსები არიან მოსახლე)", „ჭურთას ოსის სოფელი"... იოანე ბაგრატიონს საქართველოში ოსთა განსახლების უაღრესად ობიექტური სურათი აქვს მოცემული. დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია ნახოს, სად, საქართველოს რომელ სოფლებში იყო ოსთა დასახლებები. პატარა ლიახვის ხეობაზედ ი. ბაგრატიონს ნათქვამი აქვს: „ამასვე მიეწერებოდა (ქსნის საერისთაოს — რ. თ.) პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა" (გვ. 88).

დღევანდელი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ისტორიული ეთნოდემოგრაფიული ვითარების დამახინჯებული სურათის წარმოდგენა სურთ, როდესაც ასევე არასწორად კითხულობენ სხვა ქართულ საისტორიო საბუთებს. მიზანი ერთია, წარმოადგინონ არარეალური ეთნოდემოგრაფიული სურათი. ადგილი აქვს ოსთა რაოდენობის ერთგვარ გაზრდას XVIII ს.-ის საქართველოში. მაგალითად, ავიღოთ 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა, რომელშიც ვკითხულობთ: „არს ქსნის ოსი 2 000. არს ქსნის საერისთავოს ქრისტიანე მართლმადიდებელი კომლი ათას ექვსასი". ამ საბუთის არასწორი წაკითხვა საშუალებას აძლევს ზოგიერთ მკვლევარს, რომ აღნიშნული ცნობა გაავრცელონ ქსნის ხეობაზე. საბუთში ლაპარაკია ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსების შესახებ. ქსნის საერისთავო კი ცნობილია, რომ გაცილებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ისტორიის ნარკვევებში (გამოვიდა რუსულ ენაზე, თბილისში 1985 წელს) წერია, რომ თურმე XVIII ს.-ის საქართველოში ითვლებოდა 7 000 კომლზე მეტი ოსი (გლეხი), მათ შორის, არაგვის ხეობაში 1 200 კომლი, ქსნის ხეობაში 2 000 კომლი და მაჩაბლის ოსი 860. ე. ი. ლიახვის ოსნი. თუ დავუკვირდებით საისტორიო მონაცემებს, აშკარაა, საბუთების ტენდენციური წაკითხვა. რატომ ავრცელებენ ქსნის საერისთავოსა და არაგვის საერისთავოს დიდ ტერიტორიებზე მცხოვრებ ოსებს მხოლოდ არაგვის ან ქსნის ხეობებზე? ქსნის ხეობაში 1878 წელს 283 კომლი ოსი ცხოვრობდა. თუ 1770 წელს 2 000 კომლი იყო, სად წავიდნენ ერთი საუკუნის განმავლობაში? რატომ ვერ ანსხვავებენ ეს ავტორები ქსნის საერისთავოს ტერიტორიას ქსნის ხეობისაგან? იგივე შეიძლება ითქვას არაგვის ხეობის ოსთა შესახებაც, წყაროში არაგვის საერისთავოს ოსები იგულისხმებიან და არა არაგვის ხეობის. მასში დასახელებულია კაიშაურის მიმდებარე ის რეგიონები (ზახა, თრუსო, ჭვრივი), რომლებიც არაგვის ხეობაში არ შედიოდნენ და შორს იყვნენ ამ ხეობისაგან და ოსებით იყო დასახლებული. არაგვის ხეობაში ოსები მხოლოდ ლუდაში მკვიდრობდნენ 1878 წლის მონაცემებით, არაგვის ხეობაში (ე. ი. ლუდაში) სულ 49 კომლი ოსი (374 სული) ცხოვრობდა. ასე ამახინჯებენ რეალურად არსებულ XVIII საუკუნის ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციას შიდა ქართლში. ანდა როგორ შეიძლებოდა ქსნისა და არაგვის ხეობაში ამდენად მეტი ოსი ყოფილიყო, ვიდრე ლიახვის ხეობებში? საერთოდ, 1770 წლის დემოგრაფიული ძეგლი, როგორც სხვა წყაროებიდან შედარებითი შესწავლით ირკვევა, მთლად სანდო არ უნდა იყოს. მასში მეტი რაოდენობითაა ნაჩვენები არამარტო ოსური, არამედ ქართული მოსახლეობაც და არა მარტო, შიდა ქართლის მთაში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ასეთია მოკლედ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით ოსთა შიდა ქართლში განსახლების სურათი. ახლა კი ღმერთმა განსაჯოს როგორი მეცნიერული უფლება აქვთ მამითის და გაგლოითის საქართველოში ოსთა განსახლება ამტკიცონ უძველესი დროიდან.

დასასრულ მკითხველს კიდე ერთი ანტიმეცნიერული ციტატა უნდა გავაცნო 1985 წელს მოსკოვში გამოცემულ **«Демографический энциклопедический словарь»**-ში ასეთ რამეს ვკითხულობთ: **«Ю. О. входила в состав феод. Грузии и в 1801 вместе с Грузией добровольно присоединились к Рос. империи»** (გვ. 545. სტატიის ავტორი ბ. კაბულოვი). ამ ერთ წინადადებაში რამდენიმე შეცდომაა! 1) საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში და არც რუსეთის იმპერიის დროს, საქართველოში არასდროს არსებულა სამხრეთ ოსეთი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, 2) 1801 წელს საქართველო ნებაყოფლობით არ შეერთებია რუსეთს. რუსეთმა მუხანათურად დაარღვია 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გააუქმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიად, კოლონიად აქცია, 3) რაც მთავარია, „სამხრეთ ოსეთი", რომელიც თურმე ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, საქართველოსთან ერთად, ნებაყოფლობით შეერთებია რუსეთს. სად იყო XVIII-XIX ს.ს.-ში სამხრეთი ოსეთი? როგორც ადმინისტრაციული ერთეული, შიდა ქართლის მთამთისწინეთში ხომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. როდის წარმოადგენდა ის საქართველოს სახელმწიფოში სახელმწიფოს? იქნებ გეორგიევსკის ტრაქტატის რაიმე დანართი არსებობს „სამხრეთ ოსეთის" რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ? იქნებ ერეკლე II საქართველოში შემავალი ოსეთის თავადებს შეუთანხმდა, როდესაც ასეთ ნაბიჯს დგამდა.

როგორც ვხედავთ, ეს ისტორიკოსთა ფანტაზიას, საზღვარი არა აქვს. ყოველივე ეს, ისტორიკოსთა მიერ ისტორიის შეგნებულ გაყალბებად უნდა მივიჩნიოთ, თუ უვიცობად? ერთი რამ ცხადია, ასეთი „მეცნიერებით" მავან და მავან „მეცნიერებს" სურთ შიდა ქართლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა თავად ჩააყენონ სტუმრის მდგომარეობაში.

## P.S.

ა). წერილი დაწერილი გვქონდა, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა „ოსეთის მშრომელებისა და ადამონ ნიხასის" მიმართვა საკავშირო ორგანოებისადმი. ცხადი შეიქმნა, თუ რისთვის ამზადებდნენ მამითი, გაგლოითი და სხვა მსგავსი მეცნიერები ნაყალბევ „ნაშრომებს". მიზანი აშკარაა: შექმნან ანტიქართული განწყობილება ოს მოსახლეობაში, რომლებსაც არასდროს არ ჰქონიათ ქართველებთან რაიმე დაპირისპირებელი. ჩვენ არა გვაქვს პასკვილის განხილვის საშუალება, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ სულ ახლახან მიღებულმა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ, რომელსაც ჯერ არც დაუწყია ფუნქციონირება, თურმე „დასაბამი მისცა ოლქის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ოსების ხელოვნურ ასიმილაციას ქართველების მიერ". საშინელი ცილისწამებაა! ცილისმწამებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ ის ქართული ფეოდალური ერთეულების სამაჩაბლოსი და ქსნის საერისთავოს ერთობლიობაა. რა ჰგონიათ „ადამონ ნიხასის" ლიდერებს, ქართველები წინაპრების სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, იმ მიწა-წყალს, რომელზედაც ჩვენი ერის უმნიშვნელოვანესი კულტურის ძეგლებია (იკორთა, თიღვა, წირქოლი, ხოფა, ლარგვისი, ყანჩაეთი, არმაზი, კუსირეთი...) სხვას უბოძებენ? ნურას უკაცრავად! ყველამ უნდა იცოდეს, საქართველოს ოსეთის მიწა-წყალი არასოდეს დაუპყრია. პირიქით, კი იყო, ოსური ეთნოსი მშვიდობიანად დაეფუძნა (თუ მშვიდობიანად დაიპყრო) შიდა ქართლის მთა-მთისწინეთში და ახლა მისი საბოლოო მიტაცება სურს, თანაც სხვისი საშუალებით.

ქართველი ხალხი არც ა-ო-ს შეცვლას დაუშვებს. ისტორიული და იურიდიული თვალსაზრისით, ოლქის შექმნაც კი თავის დროზე გაუმართლებელი იყო. ნათქვამია, თაგვმა თხარა, თხარაო...

დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს, ოსებმა სად შეინარჩუნეს დ განავითარეს მშობლიური ენა, კულტურა, ყოფა და ტრადიციები, თუ არა საქართველოში?

ბ). ამ ბოლო დღეებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტს წერილობით და პირადად, არა ერთმა ქართველმა მიმართა, რომლებიც თავიანთი გვარების ისტორიის გარკვევას თხოულობენ. ეს ის გვარებია, რომლებიც მამითმა და გაგლოითმა ოსური წარმომავლობისად გამოაცხადეს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: სალამაძე, ხრესელი, შოშიტაშვილი, ჩიტიშვილი, ხაჩიური... ამ გვარების მატარებელნი შეიძლება მშვიდად იყვნენ! მათ ქართველობაში ეჭვი არავის შეიძლება შეეპაროს და ისინი წარმომავლობითაც ქართველები არიან. რამდენიმე სიტყვით ვიტყვი, რომ ხრესელები, რომლებიც ქსნის ერისთავთა აზნაურები იყვნენ, სამხრეთ საქართველოდან წარმომავლობენ. გვარს საფუძვლად უდევს სოფლის სახელი ხლესა (დღეს ნასოფლარია ახალციხის რაიონში). შოშიტაშვილის გვარს საფუძვლად უდევს მამაკაცის ძველი ქართული სახელის, შოშიას კნინობითი ფორმა შ ო შ ი ტ ა (შდრ. სუსიტაშვილი, ბეჟიტაშვილი, ზუბიტაშვილი...). შოშიტაშვილი ერთ-ერთი ძველი ქართული გვარია. ჩიტიშვილები ჩეთიევებიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ, მათი ადრინდელი გვარია ნარიმანიძე. ხაჩიურები ქართლის მთიანეთის ერთ-ერთი ძველი გვარია და არაფერი აქვს საერთო ოსურ გვარ ხაჩიროვთან. ხაშია, ხაჩია, ხაჩილ, ხაჩირ, ხაჩო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უაღრესად გავრცელებული სახელი იყო. უნდა ითქვას, რომ ოს მეცნიერებს იერიში ძირითადად **იმ ქართულ გვარებზე მიაქვთ**, რომლებიც დღევანდელი ა-ო-ის ტერიტორიაზე მკვიდრობენ და რომლებიც შიდა ქართლის მთიანეთის ოდინდელი მკვიდრები არიან. კომენტარის გარეშეც გასაგებია, რატომაც აკეთებენ ისინი ამას.



## დაგპედებოდეთ ნატვრის ახდენა..:

დმანისი — ისტორიული საორბელიანო-საბარათიანო, ქართული ლაშქრის მეწინავე სადროშო, მტერთა რისხვა და მოყვრის იმედი, ათას ისტორიულ ქარტეხილებს გამოვლილი უძველესი ქართული ქალაქი.

ისტორიული დმანისი (როგორც ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მოგვითხრობს) დასახლებულია ბრინჯაოს ხანიდან. შუა საუკუნეების საქართველოს სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი. არაბების, სელჩუკების, თემურლენგის შემოსევებისაგან იავარქმნილი. XVIII საუკუნიდან გაპარტახების გზაზე დამდგარი...

ტრაგიკული ისტორიის მიუხედავად, ქართულ სულს არასოდეს არ უგრძვნია ისეთი ობლობა, როგორც ბოლო სამოცდაათ წელში. ჩვენს საუკუნეში დმანისში ქართველთა მასობრივი მიგრაცია და არაქართველთა იმიგრაცია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. 80-იანი წლების დასაწყისში ქართველთა ხვედრითი წილი აქ მხოლოდ 12% შეადგენდა. ვისაც ხუთიოდე წლის წინანდელი დმანისი ახსოვს (შორს რომ აღარ წავიდეთ) კარგად მოეხსენება, თუ რაოდენ დიდი საქმე გაკეთდა და კეთდება მას შემდეგ რაც დმანისის რაიონს ბატონი ომარ ელოშვილი ჩაუდგა სათავეში.

ეროვნულ მოძრაობის აღმავლობამ თავისი სასიკეთო კვალი უკვე დაამჩნია ქვემო ქართლს. შარშან ამოქმედდა დმანისის სიონი, ორიოდე წლის წინ გაიხსნა ქართული საშუალო სკოლა, 1990 წლის 20 იანვარს კი მართლაც ისტორიული დღე გაუთენდა დმანისს: რაიონის მესვეურებისა და მთელი საზოგადოებრიობის დიდი მონდომების შედეგად დაარსდა ქართული თეატრი-სტუდია სახელწოდებით „ქვემო ქართლი".

დმანისის რაიონის განთიადის კულტურის სახლში უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი, ბლომად იყვნენ სტუმრებიც. თეატრმა მაყურებელს უჩვენა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე შექმნილი პიესა „ჩემო კალამო".

სიხარული ზეიმობდა იმ დღეს განთიადის კულტურის სახლში. სპექტაკლის დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დმანისის ღვთითკურთხეულ მიწაზე ქართული თეატრის დაარსება და დალოცა თეატრის დასი — თეატრის დირექტორი ჯუმბერ კოპალიანი, სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა ბოკუჩავა, მთავარი რეჟისორი ზინა კვერენჩხილაძე და ახალგაზრდა მსახიობები: აკაკი ხიდაშელი, ხათუნა ბოკუჩავა, ვეროკო შოშიტაშვილი, ბელა ფანჩულიძე, ზაზა მაღალაშვილი, კობა ცხაკაია, ზაზა დარსალია, შიო გელენიძე, გია სისაური.

ახლად დაარსებული თეატრი-სტუდია ახლო მომავალში მაყურებელს უჩვენებს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის პიესას „ღალატს".

თეატრი-სტუდია ჯერჯერობით იმუშავებს განთიადის კულტურის სახლში, ვიდრე თეატრს გადაეცემა ახალი შენობა დმანისში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივმა დმანისში შეიძინა საცხოვრებელი სახლი და საჩუქრად გადასცა თეატრის კოლექტივს.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ:

„ეს არის ისტორიული დღე ჩვენი ერის ცხოვრებაში, საფუძველი ჩავუყარეთ ქართულ თეატრს ამ საოცარ მიწაზე. მე არ შემიძლია ჩემი დიდი სიყვარული არ გავუმჟღავნო დმანისის რაიონის მესვეურებს და პირადად ბატონ ომარ ელოშვილს. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დმანისის რაიონი გახდა ქართული რაიონი, რომ დაუბრუნდა თავისი პირვანდელი სახე, არ არის მხოლოდ თეორიული ლაპარაკი, მე კარგად მახსოვს ხუთი წლის წინანდელი დმანისი და დღეს გული სიხარულით მევსება ასეთ საოცარ ცვლილებას რომ ვხედავ. პირადად, მე ასე მგონია, რომ სწორედ ამან გამოიწვია ქართული თეატრის შექმნის აუცილებლობა. დღეს კიდევ ერთხელ გაისმა ილიას სიტყვები, ეს იყო ძალიან მაღალ პროფესიულ დონეზე გაკეთებული დადგმა. გიორგი გეგეჭკორის, გოგი ხარაბაძის, ზინა კვერენჩხილაძის და ახალგაზრდა მსახიობთა მონაწილეობით. დღეს საფუძველი ჩაეყარა თეატ-სტუდიას. სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც თვით თეატრ-სტუდიის მსახიობები, ისე საქართველოს სხვადასხვა თეატრიდან მოწვეული მსახიობები და რეჟისორები. ეროვნულ მოძრაობას ორგანულად მოჰყვა ქართული თეატრის აღმავლობა. აი, ახლაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ ხალხი მოიყვანა თეატრამდე, რადგან უოვლად შეუძლებელია სრულფასოვანი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბება ეროვნული აზროვნების გარეშე.

დმანისში ქართული თეატრის დაარსების იდეა ეკუთვნოდა ჩვენი ეროვნული მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენელს ზურაბ ჭავჭავაძეს, სამწუხაროდ, ზურაბი ვერ მოესწრო თავისი იდეის განხორციელებას, ეს მისმა მეგობრებმა გააკეთეს. ძალიან გამიხარდა, რომ თეატრის გახსნაზე ვნახე ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, რომელმაც მოახერხა და ჩამოვიდა დმანისში".

ეროვნული სულის ზეიმი იყო იმ დღეს დმანისში. იწვოდა ბატონი გურამ ბათიაშვილის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი სანთელი და იფრქვეოდა ბედნიერების, სიხარულის ცრემლები. ბედნიერება დანათლოდეს დმანისის თეატრს ხელოვნების „ეკლიან" გზაზე.

**ზიპ ᲗᲐᲡᲝᲔᲕᲘ**

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

აკაკი დაუთაშვილის ფოტო

## ღვთისა და ერის შეწევნით

გასული წლის დეკემბერში ვანში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „სამრეკლო". საზოგადოების მიზნება ითვალისწინებს მრავალშვილიანი, ხელმოკლე ოჯახების, ინვალიდებისა და დავრდომილი, მარტოხელა ადამიანების დახმარებას. უმთავრესი მიზანი კი არის ქალაქის ცენტრში ეკლესიის აშენება. უკვე შეირჩა ადგილი. აქ ამჟამად ყოფილი ადმინისტრაციული შენობა დგას, რომელიც იმდენად დაზიანებულია, დღეს თუ ხვალ დაინგრევა. შენობიდან უკვე გამოასახლეს რამდენიმე ორგანიზაცია.

ჩვენს თაოსნობას მხარს უჭერს მოსახლეობის უმრავლესობა. ამას წინათ ვანს ესტუმრა ბატონი აკაკი ბაქრაძე, მასთან შეხვედრის დროს ქალაქის საზოგადოებრიობამ ერთხმად გამოთქვა სურვილი, რომ ეკლესია აშენდეს სწორედ ყოფილი ადმინისტრაციული შენობის ადგილას.

რამდენიმე ორგანიზაციამ საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშზე უკვე ჩარიცხა საკმაოდ სოლიდური თანხა. ამ მხრივ განსაკუთრებით მადლობის ღირსია ვანის „საქაგრომრეწვი" (დირექტორი ო. ბაზიარი). დიდი მორალური მხარდაჭერა გვაქვს ვანის პარტიული და ადმინისტრაციული ორგანიზაციებისაგან. ძალიან გვეხმარება ვანის სასამართლოს თავმჯდომარე დ. კოვზირიძე. ენთუზიაზმით შეხვდა თაოსნობას ქალაქის მთელი ახალგაზრდობა.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ვანში არსებობს ძველებურად მოაზროვნე ადამიანების ერთი ჯგუფი, რომელიც ადმინისტრაციული შენობის დანგრევის წინააღმდეგია. მათი აზრით, ეს ადგილი და შენობა „წმინდაა", რადგან აქ წლების წინათ პარტიის რაიკომი იყო, ლაპარაკია იმ წლებზე, რომლებსაც თვით პარტიამ რეპრესიებისა და უძრაობის პერიოდი უწოდა. სამაგიეროდ გვთავაზობენ, ეკლესია ავაშენოთ ქალაქიდან შორს, სადმე მთაზე. ჩვენს ოპონენტებს არ ესმით, რომ მონასტრის აშენებას არ ვაპირებთ. მათ არ იციან და არც უნდათ გაიგონ, რომ ეკლესია, როგორც წესი, შენდება დასახლებული ადგილის ცენტრში.

საქველმოქმედო საზოგადოება „სამრეკლო" თხოვნით მიმართავს ყველას, — ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კერძო პირებს, — დაგვეხმაროს ამ საღმრთო საქმის აღსრულებაში.

**ვანის საქველმოქმედო საზოგადოება „სამრეკლო". საზოგადოების ბანკის ანგარიში 70064.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სევდიანი ამბავი ანუ აკადემიკოს სახაროვის ერთი საიდუმლო



— ვისთან რეკავთ? — მეკითხება დეიდა შურა.

— აკადემიკოს სახაროვთან.

— ღმერთო მიშველე, სახაროვთან ჩემი სახლიდან? არავითარ შემთხვევაში.

დეიდა შურა დღეს ჩემი ბინის დიასახლისი გახლავთ. მასთან მას შემდეგ მოვხვდი, როცა მოსკოვის ვერც ერთ სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვე. დეიდა შურა ცხოვრობს შვილიშვილთან, პატარა შუროჩკასთან ერთად. როგორც თვითონ თქვა, მატერიალურად უჭირს, მოსკოვში ჩამოსულებზე ბინასაც ამიტომ აქირავებს. მისი ერთადერთი ქალიშვილი ვალენტინა თურმე ციხეში ზის — ქრთამის აღებისათვის მიუსჯიათ 10 წელიწადი.

— დეიდა შურა, რისი გეშინიათ? ძველი დრო ხომ აღარ არის, ანდრეი დიმიტრის ძე ახლა ისევ დაფასებული კაცია, დეპუტატად აირჩიეს, ხედავთ, საჯაროდ გორბაჩოვს აკრიტიკებს, — ვამშვიდებ მე.

— არ დაიჯერო, არ დაიჯერო, — ხელებს ასავსავებს დეიდა შურა, — ეგ ისე, მოსაჩვენებლად, ხალხის თვალის ასახვევად ხდება, თორემ მაგათთვის სახაროვი ისევ სახაროვად დარჩა. მის ტელეფონს, ჩემო კარგო, „კაგებე" ძველებურად უსმენს. მეც შარში არ გამხვიო, ალრიცხვაზე ამიყვანენ, ვინ იცის, რა ხდება? ბერიას დრო არ მოგვიბრუნდეს.

— ბერიასი და ეჟოვისა, არა, დეიდა შურა? — მეგობრულად ვტუქსავ თითით ოჯახის დიასახლისს და მეზობელ მალაზიასთან ჩამწკრივებული სატელეფონო ჯიხურებისაკენ მივეშურები.

●

აკადემიკოს ანდრეი სახაროვთან შეხვედრა, მართალი გითხრათ, ჩემთვის არავის დაუვალებია. ეს სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, როდესაც მან, ყველასათვის მოულოდნელად, საქართველოს პატარა იმპერია უწოდა, მანამდე კი, მანამდე, ანდრია დიმიტრის ძე სახაროვი ერთგული დამცველი გვყავდა ქართველებს.

9 აპრილისადმი მიძღვნილი პირველი საპროტესტო მიტინგი, ძველ არბატზე, მოსკოვში, სწორედ ანდრეი სახაროვის ინიციატივით მოეწყო, როგორც მნახველები მყვებიან, იმ დღისით ცივი და სუსხიანი ამინდი იდგა. ანდრეი სახაროვი პროგრესულად მოაზროვნე მრავალრიცხოვან მოსკოველთა ჯგუფთან ერთად ქართველთა კულტურული ცენტრის „მზიურის" კარებს მიადგა. მოსულებს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდათ — ქართველებისთვის სამძიმარი უნდოდათ ეთქვათ, შემდეგ კი აქვე საპროტესტო მიტინგი გაემართათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა მეტად გაუგონარი ამბავი, ქართველების კულტურული ცენტრი, ამ დროს ყოველთვის ღია რომ იყო, სამძიმარზე მისულ მოსკოველებს გამოკეტილი დახვდათ. მეტი რა გზა იყო, საპროტესტო მიტინგი ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო.

რკინასავით გაუტეხელი ბუნებისა და ფიზიკურად ავადმყოფი ბერიკაცი დიდხანს იდგა თურმე იმ დღეს წვიმაში და ხალხს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შესახებ დაწვრილებით მოუთხრობდა.

თბილისში რომ ჩამოვიდა, ისიც კარგად მახსოვს, სხვებთან ერთად ტელევიზორში ვუყურე, როგორ მზრუნველობით დასტრიალებდა ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულ ქართველ გოგონებს.

მესამედ მე თვითონ ვნახე, მოსკოვში, ლუჟნიკებში გამართულ მრავალათასიან საპროტესტო მიტინგზე. ისევ საქართველო, ისევ 9 აპრილი იყო მისი საუბრის თემა. ხალხს თბილისში ნანახსა და განცდილზე უყვებოდა, თუმცა ამ ამბავს თვითონაც განიცდიდა, სულ ახლოს ვიდექი და ვგრძნობდი, ზედმეტი მღელვარებისაგან როგორ კანკალებდა.

შემდეგ კი რა მოხდა? მოხდა გაუგონარი რამ, — როდესაც ყველას გვეგონა, რომ აკადემიკოს სახაროვის სახით დიდი ქომაგი გამოგვიჩნდა, ცის კაბადონზე მეხივით გასკდა მისი ნათქვამი.

საქართველო პატარა იმპერიააო...

●

— გამარჯობათ, ანდრია დიმიტრის ძევ!

— გამარჯობათ! — მესმის ყურმილში სახაროვის ცივი ხმა.

— საქართველოდან გახლავართ, ჟურნალისტი ვარ, თქვენთან შეხვედრა მსურს, ინტერვიუ მინდა ჩამოგართვათ.

— არავითარი ინტერვიუ, ტყუილად ირჯებით, — მპასუხობს იგი და ტელეფონის ყურმილს მიკიდებს.

ერიჰა, ვფიქრობ, „იმპერიალისტი" თუ ვგონივარ.

ხელახლა ვრეკავ.

— ანდრეი დიმიტრის ძევ! — ვეუბნები და თან ეშმაკობას ვხმარობ — ტელეფონი შემთხვევით გაგვეთიშა, გთხოვთ ბოლომდე მომისმინოთ, მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც თქვენს ღვაწლს ადამიანთა უფლებებისთვის ბრძოლაში დიდად აფასებს. არც ის დამვიწყებია, რა დიდი ამაგი დაგვდეთ 9 აპრილის შემდეგ თბილისში ჩამოსვლით.

— რა გინდათ, პირდაპირ მითხარით, — მაწყვეტინებს იგი.

— რა და რატომ გვიწოდეთ ჟურნალ „ოგონიოკში" ქართველებს იმპერიალისტები?

— იცით, რას გეტყვით? — აშკარად შეეტყო ხმაზე გაბრაზება, — ბოლოს და ბოლოს, თავი მომაბეზრეთ ქართველებმა.

ვიფიქრე, ყურმილს ისევ დამიკიდებს-მეთქი, მაგრამ მოულოდნელად სახაროვმა ასეთი რამ მითხრა:

— მართალი გითხრათ, ახლა არ მცალია და არც ჯანმრთელობა მიწყობს თქვენთან შესახვედრად ხელს. დამირეკეთ ხუთი დღის შემდეგ, ვფიქრობ, რომ სწავლულთა სახლში შევხვდეთ, ჩვენი ურთიერთობაც მაშინ გავარკვიოთ.

— იცით, ანდრეი დიმიტრის ძევ, ხუთ დღეს მოსკოვში ნამდვილად ვერ დავრჩები, იქნებ, ხვალ დილისათვის მოვახერხოთ?

— მორჩა, ლაპარაკიც აღარ მინდა თქვენთან, — თქვა მან და ტელეფონის ყურმილი ახლა უკვე დამიხეთქა. მე მესამედაც ავკრიფე მისი ტელეფონის ნომერი.

— ანდრეი დიმიტრის ძევ, ამ დასალუპ საბჭოთა კავშირში, არაფერი რომ არ ვარგა, ხედავთ ისევ გაგვეთიშა ტელეფონი, ძალიან გთხოვთ ერთხელაც მომისმინოთ, გეფიცებით, ხუთი დღე მოსკოვში დარჩენა ნამდვილად არ შემიძლია. მე აქ ავადმყოფი ძმა მიწევს, დღეს უნდა გამოწერონ, ყირიმში მიმყავს ახლა სამკურნალოდ. ბილეთები თვითმფრინავზე ხვალისათვის გვაქვს შეკვეთილი, — ამჯერად მას მე სიმართლე ვუთხარი.

— რა მოუვიდა თქვენს ძმას? — შემეკითხა სახაროვი, აშკარად ვიგრძენი, ხმა რომ დაურბილდა.

— ხერხემალი აქვს ნატკენი, მშენებლობაზე დაიზიანა, წელიწადზე მეტია ვერ დადის, რომ იცოდეთ, რა ვაჟკაცია...

— დაა... ვერ არის ეგ კარგი საქმე, — თქვა სახაროვმა. შემდეგ პაუზა ჩამოვარდა, ბოლოს ისევ გაისმა: — მოდით, ტელეფონზე ვცადოთ, ჰა, რას იტყვით?

— გისმენთ, ანდრეი დიმიტრის ძევ, — ავღელდი და მექანიკურად ჯიბეში კალამი მოვიჩხრიკე.

— თუ იცით, თქვენ, რომ იმპერია მე კი არა, ციტრინიაკმა გიწოდათ, — მეუბნება მოულოდნელად.

— ვინ ციტრინიაკმა? — გამიკვირდა.

— ვინ და ავტორმა, თქვენ რა, არ წაგიკითხავთ ის ინტერვიუ? როდესაც იმპერიების დაშლაზე ვსაუბრობდით, „რსფსრ" ვახსენე, უნდა დაიშალოს, უზარმაზარი ავტონომიური რესპუბლიკების საპყრობილეა-მეთქი. ციტრინიაკმა სიტყვა შემაწყვეტინა, მცირე იმპერიებს რაღა ვუყოთო, შემეკითხა და მაგალითად საქართველო დამისახელა. საქართველო რა შუაშია-მეთქი, გამიკვირდა, როგორ არ იცით, საქართველოს აფხაზეთი და ოსეთი რომ დაპყრობილი აქვს, ქართველები ახლაც ავიწროვებენ აფხაზებსა და ოსებს, ჯერ აფხაზეთს დაესხნენ და დაარბიეს, ახლა ოსებს ხოცავენო.

— თქვენც ადექით და იმპერია გვიწოდეთ, არა?

— აკი გითხარით, ციტრინიაკმა გიწოდათ-მეთქი. მხოლოდ ეგ არის, ჩემს ნათქვამად გაასაღა, ინტერვიუ წინასწარ აღარ წამიკითხავს, შემდეგ კი, როცა გამოქვეყნდა, რაღას ვუშველიდი.

— მერე რატომ აღარ უჩივლეთ, ამოგეღოთ ხმა, რატომ უნდა ვფიქრობდეთ თქვენზე ცუდს?

— იცი, ჩემო კარგო, მომწყინდა ამდენი სიყალბე, მთელი სიცოცხლე ჰიდაობა, ჰიდაობა, ჰიდაობა, ბოლოს და ბოლოს, როდემდე გავუძლებ, როდემდე ვიქნები ცოცხალი. ისა ჯობია, თქვენს ძმას მიხედოთ. შემდგომში თუ ჩამოხვალთ მოსკოვში, მნახეთ, ყველაფერს თვითონვე დავწერ და ხელსაც მოვაწერ, ახლა კი, როგორც გითხარით, თქვენ ძმას მიხედეთ.

●

ამ ამბის შემდეგ მოსკოვში ჩასვლა ველარ მოვახერხე, იმ საერთო უბედურებებს, რომლებმაც საქართველო შავებით შემოსა, პირადად ჩემიც დაერთო — ძმა დავკარგე და აკადემიკოს სახაროვთან შეხვედრაზე ფიქრის თავიც აღარ მქონდა. ეს ამბავი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამახსენდა — ჩემს მეხსიერებაში ყოველივე დეტალურად ამოტივტივდა.

როდესაც ვფიქრობ და ყველაფერს ანალიზს ვუკეთებ, აკადემიკოს სახაროვთან დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი მახსენდება.

მოსკოვის ბურდენკოს სახელობის ინსტიტუტში, სადაც ჩემი ძმა იწვა, ავღანეთიდან ჩამოყვანილი ჭაბუკი გავიცანი, სახაროვივით იმასაც ანდრეი ერქვა, დიდი ტრაგედია გადაეტანა ამ ანდრეის, თუმცა, ამასაც თუ გადატანა ჰქვია, — ორივე ფეხი ხელყუმბარისაგან ძირში ჰქონდა მოწყვეტილი.

ერთხელ იმ „კომსომოლსკაია პრავდას" ნომერი ვაჩვენე, სადაც აკადემიკოს სახაროვს ლანძღავდნენ იმის გამო, რომ მან თითქოს კანადელ კორესპონდენტთან საუბრის დროს ცილი დასწამა საბჭოთა არმიას — საქმე ეხებოდა მტრის ალყაში მოქცეული საბჭოთა ჯარისკაცების მასიურად მოსპობას საბჭოთა ვერტმფრენებიდან. ეს ამბავი, თუ გახსოვთ, სსრკ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდანაც გაისმა, სახაროვს სამხედრო უწყების წარმომადგენლებმა მაშინ ლამის სახალხოდ თავპირი ჩამოამტვრიეს.

— შენ რას იტყვი, მართალია ეს ამბავი, მართლა ხოცავდნენ საბჭოთა ვერტმფრენებიდან საბჭოთა ჯარისკაცებს? — შევეკითხე ანდრეის.

ანდრეის კი, რომელიც აქამდე არაფერს მიმალავდა, ამჯერად არაფერი უთქვამს, მხოლოდ ეგ იყო, სევდიანად დაიხედა იმ ადგილზე, სადაც უწინ ფეხები ჰქონდა.

**შალვა შარაშიძე**

1990 წლის 2 იანვარი

ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა ფელიქს კრიმსკიმ მაშინ გადაიღო, როდესაც აკადემიკოსმა სახაროვმა თბილისში ქიმიური ნივთიერებებით მოწამლული ქართველი ქალიშვილები მოინახულა

საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს მწერალთა კავშირის თანამშრომელს ათინა გეორგიევა-ალხაზიშვილს მეუღლის

**ალექსანდრე (საშა) ალხაზიშვილის**

გარდაცვალების გამო.


ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურული საქართველო
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ბუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს. მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ამაშუკელი, თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, დავით მჭედლური, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).